ალექსიმ ონიანი

საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნ ა კ ა დ უ ლ ი“
19 თბილისი 62

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი ზაფხულობით თითქმის ყოველწლიურად აწყობს ტურისტულ ლაშქრობას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა მოეწყო სვანეთში.

ჩვენ მოგზაურთა აღწერილობებიდან ვიცნობდით სვანეთის წარსულს, და ახლა, როდესაც შევეცქეროდით მარადიული მყინვარებით თავშემკობილ მის ბუშბერაზ მთებს, ამ მთათა კალთებზე მცხოვრებ ადამიანებს, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ყოველ ნაბიჯზე ვხედავდით იმ დიდ გარდაქმნებს, რომელიც ახალმა ცხოვრებამ მოახდინა მთაში.

წიგნში ჩართული ფოტოსურათების ნაწილი გადაღებულია ჩვენი ტურისტული ჯგუფის მონაწილეთა მიერ, ნაწილი კი ამოღებულია აკად. ნ. კეცხოველის ფოტოარქივიდან.

ესარგებლობ შემთხვევით და გულითად მადლობას ეუხდი ყველა იმათ, ვინც დიდი სტუმართმოყვარეობით მიიღო ჩვენი ჯგუფი და კიდევ უფრო გაგვიმტკიცა სიყვარული თავისი შრომისმოყვარე, ამაყი ხალხისადმი.

ა. ვ ტ ო რ ი.

შორეული მთების სურნელი

24 ივლისის დილას ჩვენი ინსტიტუტის კარი შევაღე. დერეფნის ბოლოს რამდენიმე ახალგაზრდა გაცხარებით კამათობდა.

— სწორედ დროზე მოხვედი, — მითხრა ერთ-ერთმა, — შენი დახმარება გვჭირდება.

— რა მოხდა?

— სვანეთში წასვლა გვინდა.

გულში სიხარულმა გამკრა. ექსკურსიაში მონაწილეობის სურვილი მეც გამოვთქვი.

— მაშ მარშრუტის დაზუსტება შენთვის მოგვინდვია. — დამავალეს ამხანაგებმა ხანმოკლე საუბრის შემდეგ და ჩვენ-ჩვენი სამუშაო ოთახებისაკენ წავედით.

იმ დღეს განსაკუთრებული ხალისით ვმუშაობდი. მომავალ ექსკურსიაზე ვფიქრობდი, ჩუმად ვღიღინებდი და საქმით გართული ნარკოტიკების სუნს აღარ ვგრძნობდი. პირიქით, თითქოს შორეული მთების სურნელება აღწევდა ჩემამდე და სუნთქვას მიმსუბუქებდა.

საღამოს, შინ რომ დავბრუნდი, საქართველოს რუკები გადმოვალაგე. გულმოდგინედ ვეძებდი იმ პუნქტებს, სადაც უნდა გვევლო და ღამეები გვეთია. შუაღამემდე ვუკირკიტე რუკებს და მარშრუ-

ტის წინასწარი სქემა შევადგინე. მეორე დღეს ჩემი შედგენილი მარშრუტი ამხანაგებს გავაცანი. ყველა კმაყოფილი დარჩა, ექსკურსიის წარმატებით ჩატარებაში ეჭვი არავის ეჭარებოდა.

გეგმის თანახმად, თბილისიდან ქუთაისში მატარებლით უნდა ჩავსულიყავით. ქუთაისიდან თვითმფრინავით ჩემ მშობლიურ სოფელში გადავფრინდებოდით, იქ ერთ-ორ დღეს დავყოფდით, მერე კი ყორულდაშში ავიდოდით და იქიდან ლასდილის ქედით უშგულში გადავიდოდით; უშგულიდან — კალაში, კალადან — უღვირის გავლით მულახში, ხოლო მულახიდან — მესტიაში. მესტიიდან ორი გზა გვქონდა: თუ ამინდი და ჯგუფის შემადგენლობის განწყობილება ხელს შეგვიწყობდა, მესტიიდან უკან დაბრუნდებოდით კალაში და იქიდან ლატფარის ულამაზესი მთით ისევ ქვემო სვანეთში გადმოვიდოდით; იმასაც ვფიქრობდით, რომ ლატფარის მთაზე მთვარიან ღამით გვევლო; წაკითხულიც მქონდა და გაგონილიც — მთვარიან ღამეში ლატფარის თხემიდან შეუდარებლად ლამაზი და დიდებულია კავკასიონის ყინულოვან მწვერვალთა პანორამაო; მაგრამ, თუ უამინდობა ლატფარის მთაზე ხელს აგვაღებინებდა, მაშინ ერთადერთი გზალა გვრჩებოდა — მესტიიდან ზუგდიდს ავტობუსით უნდა ჩავსულიყავით. ამ გზის სილამაზეზეც ბევრი რამ გაგვეგონა და, ცხადია, არც ეს გზა დაგვწყვეტდა მაინცდამაინც გულს.

25 ივლისს გამგზავრებისათვის ყველაფერი მზად გვქონდა, ჯგუფი საბოლოოდ იყო დაკომპლექტებული. ექვსი ქალი და სამი ვაჟი. ასეთი შეფარდება ბარე არ მოგვწონდა, მაგრამ არცთუ ისე საშიში იყო, რადგან ჩვენი გზა სამანქანო შარას დიდი მანძილით არსად სცილდებოდა და, თუ რომელიმე მანდილოსანი დაიღლებოდა, შეგვეძლო ავტოტრანსპორტით გვესარგებლა.

27 ივლისს ქუთაისში ჩავედით. როგორც ზემოთაც ვთქვით, აქედან გადაფრენას ვაპირებდით, მაგრამ უამინდობამ ფრენაზე ხელი აგვაღებინა. დილიდანვე წვიმდა. დღის დაკარგვაც არ გვინდოდა. ამიტომ ავდექით და ლენტეხში მიმავალ ავტობუსს გავყევით.

ავტობუსში სულ უკანა რიგში ვიჯექი. ჩემს გვერდით 24-25 წლის ახოვანი ვაჟკაცი იჯდა. თავზე კეპი ეხურა და საწვიმარი ლაბადა ეცვა. პირველად უბრად იყო. შემდეგ ჩვენი ვინაობით დაინ-

ტერესდა და გაგვეცნო. სამთო ინჟინერი გამოდგა, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში ემუშავა და ახლა მშობლიურ კუთხეში მიდიოდა შვებულებით. თურმე ნუ იტყვით, თანასოფლელები და სახლიკაცებიც კი ვყოფილვართ.

ჩემი სახლიკაცი მეტად სასარგებლო კაცი გამოდგა. მან კარგად იცოდა ახალი ელსადგუოების მშენებლობის გეგმები და ვატაცებით გვიყვებოდა მათ შესახებ.

სასაუზმოდ ტვიშში გავჩერდით. შოფერს არც კი უკითხავს მგზავრებისათვის, ისე გაჩერა მანქანა. ანდა კითხვა რა საჭიროა! ტვიში ტრადიციული სასაუზმო და სასადილო ადგილია. ჩამვლელებიც აქ ჩერდებიან და ამვლელებიც. ცხელ საუმელს გეახლებიან, ტვიშური ღვინით ყელს ჩაისველებენ და შემდეგ კვლავ თავის გზას გაუდგებიან.

შოფერი გვაჩქარებდა. ხუმრობა ხომ არაა, ლენტეხში უნდა ასულიყო და იმავე დღეს იქიდან ხალხი ქუთაისში ჩამოეყვანა. წარმოიდგინეთ, რამდენიმე ათეული წლის წინ რომ ვინმეს ასეთი რამ ეთქვა! ვინ დაიჯერებდა, რომ ერთ დღეში კაცი ქუთაისიდან ლენტეხს ავიდოდა და იქიდან ქუთაისს დაბრუნდებოდა. ერთი კვირის დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ძლივს უწევდნენ ხოლმე ქვემო სვანეთიდან წასულნი ქუთაისს და ისიც ისე, რომ მგზავრების სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. კლდოვან ბილიკზე ერთი ფეხის დასხლტომა და, ლაშდაღრენილ უფსკრულში გადაიჩეხებოდნენ! კიდევ უფრო საშიში იყო მეწყერი და კლდიდან მოწყვეტილი ლოდები. დღეს კი,— არა თუ ერთ დღეში, ფრენა რომ ყოფილიყო, ქუთაისიდან 25 წუთში ჩემს სოფელში ვიქნებოდით.

ჩვენი მანქანა ისევ ზევით მიჰყვება რიონის ნაპირს. შოფერი გამოცდილი კაცი ჩანს. მანქანა დიდი სისწრაფით მიჰყავს, მაგრამ მაინც არ გვანჯღრევს. პატარა ორმოებსა და უსწორმასწორო ადგილებსაც მარჯვედ უქცევს გვერდს. მალე ალპანამდე მივაღწიეთ. აგერ შოვისკენ მიმავალმა ავტობუსმა მარჯვნივ გადაუხვია, ხიდზე გადავიდა და ისევ რიონის ნაპირს გაჰყვა. ჩვენი კი ლაჯანურის ხეობაში შევიდა.

გემრიელი საუზმის შემდეგ მანქანაში მხიარულებამ იმატა. ჩემი ამხანაგები საამო ხმით მღერიან. დანარჩენი მგზავრები კმაყოფი-

ლი სახით უგდებენ ყურს. ზოგი მათგანი კიდეც შეელის მომღერ-ლებს.

მალე ორპირის მაღალი კედლები გამოჩნდა. უცებ, თითქოს ავ-ტობუსი გვირაბში შევიდაო, ბინდ-ბუნდში მოვექეცით. შარაგზა კლდის ფერდშია შეჭრილი; მარჯვნივ ტინის კლდეა ამართული, ზე-ვიდანაც ვეება ტინები გვფარავს. მხოლოდ მარცხნივაა კლდე გახს-ნილი და ჩვენც აქედან გადავცქერით ლაჯანურის ლოდიან კალა-პოტს. უზარმაზარ ქვებს შორის კლაკვნით მიედინება მდინარე. ლაჯანურის იქეთა მხარესაც სალი კლდეა ამართული. უთუოდ ამის გამო ჰქვია ამ ადგილს ორპირი.

ერთ ხანს ასე ვიარეთ კლდის სახურავქვეშ. წინათ აქ გავლისას შოფრები წამდაუწუმ ყვიროდნენ — „თავები! თავებიო!“ საკმარი-სი იყო ცოტაოდენი ყურადღების მოდუნება და კლდის გამოშვე-რილ ქიმს შეახეთქებდით შუბლს. ახლა კი გზა გაუფართოებიათ, კლდის ქიმები მოუმტვრევიათ და შოფერიც უდარდელად მიაქრო-ლებს ღია ავტობუსს; იცის, რომ მის მგზავრებს ფათერაკი არ ელის.

ორპირის ვიწროებს რომ გავცდით, თვალწინ ლაჯანურის ნაყო-ფიერი ჭალები გადაგვეშალა. ირგვლივ ყველაფერი ვაზს დაუფა-რავს. ავტობუსმა სწრაფად გაირბინა ვენახიანი ჭალები და ლაჯა-ნურჰესის მშენებლობის უბანში შევიდა.

დიდი მოძრაობა იყო ლაჯანურჰესის მშენებლობაზე. მოდიოდ-ნენ საშენი მასალით დატვირთული მანქანები. მდინარის ნაპირე-ბიდან მოისმოდა ბულდოზერებისა და ექსკავატორების გუგუნი. ჩვენი თანამგზავრი ინჟინერი ორპირში დაწყებულ საუბარს განაგრ-ძობდა. ახლა ის ლაჯანურჰესის შესახებ გველაპარაკებოდა. გრან-დიოზული გეგმაა დასახული. ცხენისწყალი თავისი კალაპოტიდან ლაჯანურის კალაპოტში უნდა გადმოაგდონ. ამისათვის საჭიროა ამ ორი მდინარის ხეობათა გამყოფი ქედი გვირაბით გაიხვრიტოს. ამ გვირაბით იდენს ცხენისწყალი ლაჯანურის ხეობაში. მდინარე მდი-ნარეს აუბამს მხარს, ბუნების სტიქიურ ძალას ადამიანი მოთოკავს, სულ მალე ამ ხეობაში უძლიერეს ელსადგურთა სისტემის მშენებ-ლობა დამთავრდება და ჩვენი ქვეყანა ელექტროენერგიის კიდევ ერთ დიდ ნაკადს მიიღებს.

ჩვენმა მანქანამ სოფელი ორბელიც უკან მოიტოვა და მაღალ უღელტეხილს შეუდგა. აქედან ხელისგულივით გამოჩნდა ლაჯანუ-

რის ჭალებში და ფერდობებზე შეფენილი სოფლები. ჩემს ამხანაგებს ფოტოაპარატები აქვთ მომარჯვებული. დროდადრო კინოაპარატიც მუშაობს. ლეჩხუმის ბუნების სილამაზეს ადვილად გამოჰყავს წონასწორობიდან ჩვენი დინჯი ოპერატორი. სანახაობებით ყველა აღფრთოვანებულია. ახლა უამინდობას ვუმადლით კიდეც, რომ ექსკურსიის განზრახულ მარშრუტში ცვლილება მოხდა.

მანქანამ აღმართი აათავა, სერზე ავიდა და თავქვე დაეშვა. გამოჩნდა ცხენისწყლის ჭალები, ფერდობებზე შეფენილი ვენახიანი სოფლები და ქვევით, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებული ლეჩხუმის რაიონული ცენტრი ცაგერი. დამრეც ფერდობზე მიმავალ დაკლაკნილ გზაზე შოფერს მანქანა დინჯად მიჰყავს. ჩვენც კმაყოფილნი ვართ ნელი სვლით, უფრო დამშვიდებით შეგვიძლია ფოტოაპარატების მომარჯვება.

სამი ციხე და ხალხის ისტორია

ჯერ კიდევ ქუთაისში დავპირდი ამხანაგებს, რომ ცხენისწყლის ხეობაში, მურის ხიდთან, ვნახავდით სამ საინტერესო ციხეს, უფრო სწორად, ციხის ნანგრევებს. ჩემმა ამხანაგებმა ამ ციხეთა სახელებიც იცოდნენ. ამიტომ, როცა ორბელის მთაზე ავედით და თავქვე დავეშვით, ამხანაგებმა პირობა შემახსენეს.

თვალი გავაყოლე ორბელის მთიდან ქვევით ჩამყოლ ქედს. ქედი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება და ცხენისწყლის ნაპირას კედელივით ამართული მაღალი კლდით მთავრდება. ამ კლდის თავზე ერთმანეთის მიყოლებით სამი ციხის ნანგრევი მოჩანს.

— აი აქეთ, პირდაპირ ქედზე რომ ციხის ნანგრევი ჩანს, მაგას „დაუხვდი“ ერქვა, — დამასწრო ჩვენმა თანამგზავრმა ინჟინერმა, — ეს ციხე პირველი ხვდებოდა მტერს, პირველი არტყამდა მომხდურს და, თუ მტერი არც ისე ძლიერი იყო, საქმე ამით მთავრდებოდა. მაგრამ ზოგჯერ მტერი ზღვასავით აწვებოდა, ციხე „დაუხვდისთან“ სისხლის ტბას აყენებდა და წინ მოიწევდა. ამ დროს მას ჩურგიდან მოეშველებოდა ხოლმე ციხე „დაჰკარი“, აი, ის — „დაუხვდის“ ქვემოთ, ქედს ოდნავ აქეთ რომ მოჩანს. ციხე „დაჰკარიდან“ ხეობაში მიმავალი ყველა ბილიკი ჩანს და მასში ჩასაფრებულ მებრძოლებს ხელიდან ვერავინ გაუსხლტებოდა, თუნდაც გასხლ-

ტომოდა, მტერი მაინც შორს ვერ წავიდოდა. მაშინვე ბრძოლაში ჩაებმებოდა ციხე „არ გაუშვა“. ამ ციხის მხოლოდ თავი ჩანს აქედან ქედის ბოლოში... ხალხში მრავალი თქმულება და ლეგენდაა ამ ციხეების შესახებ შემონახული. თურმე არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მტერს სამივე ციხე აეღოს და წინ გზა გაეკაფოს. თვით ვახუშტი ბატონიშვილის ნაბრძანებიც ამას ადასტურებს. ეი, რას ამბობს ჩვენი სახელოვანი მეცნიერი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“: „მას ზეით ცხენის-წყალზედ არს კავკასიის ძირს შურის ციხე, არვისგან შემუსვრილ-აღებული“. სხვათა შორის, ამ ციხეების ნანგრევებს შესანიშნაი ლექსი უძღვნა ჩვენმა პოეტმა იოსკლი აბაშიძემ, — დასძინა ინჟინერმა, — დასაწყისი ახლაც მახსოვს:

> მურის ძველ ხიდთან, სადაც გორმახებს
> თითქოს მდინარემ დანა დაუსვა,
> სამი ციხე დგას: ციხე—„დაუხვდი“,
> ციხე „დაჰკარი“ და „არ გაუშვა!“

ამასობაში ჩვენი მანქანა საგრძნობლად ქვევით დაეშვა. კვლავ გამოჩნდა ლეჩხუმის ვენახიანი სოფლები, ლამაზი ოდა-სახლები, ბოვლილი ეზოები, წალკოტები და ირგვლივ გაშლილი ყანები. სოფლიდან ჩვენი ავტობუსი ცხენისწყლის ჭალებში ჩასრიალდა. ჯერ ორღობეებში ვიარეთ, შემდეგ კლდოვან შარაზე გადავედით და მალე შურის ძველ ხიდს მივადექით.

ხმაურითა და ალიაქოთით მორბოდნენ ცხენისწყლის მღვრიე ტალღები მურის ხიდის ქვეშ. ჩახდა, იმ მთებში, საითკენაც მივდიოდით, კოკისპირულად წვიმდა. ამას მთების თავზე დაწოლილი შავი ღრუბლებიც ადასტურებდნენ.

მურის ხიდს რომ გავცდით, ერთმა ჩემმა ამხანაგმა იკითხა, ცხენისწყალი რატომ დაერქვა ამ მდინარესო. პასუხის გაცემა ლენტეხელმა გლეხმა დამასწრო.

— ამას ჩვენ ცხენისწყალს კი არა, ლაშხურას ვუძახით.—თქვა მან. — ლაშხურა კი იმიტომ ჰქვია, რომ ლაშხეთის მთებში გამოდის და ლაშხეთზე ჩამოივლის. არ ვიცი, ბარში ცხენისწყალს რატომ ეძახიან.

— თუ ლაშხურა ჰქვია, მაშ ცხენისწყალი რაღა შუაშია?! იქნებ ძველად ბევრი ცხენი ძოვდა ამ ჭალებში, ვიღაც მოგზაურმა ნახა და ცხენისწყალი შეარქვა. ასეთი შემთხვევები ცოტა როდია.

— გადაწყვეტით ვერც მე გეტყვით რამეს, — ჩავერიე ლაპარაკში, — ძია-კაცი სწორს ამბობს, მაგრამ ლაშხეთში ამ მდინარეს მარტო ლაშხურა კი არა, ცენისწყალიც ჰქვია. უფრო სწორად, ამ მდინარის მთავარ ტოტს ჰქვია ცენისწყალი. ეს ტოტი ცენის მთებიდან მოედინება. იქაა სოფელი ცენა და, ვფიქრობ, ცხენისწყალი ცენისწყალიდან უნდა იყოს ნაწარმოები.

ჩანს, ჩემმა პასუხმა ყველა დააკმაყოფილა, რადგან შემდეგ ერთავის არაფერი უკითხავს ამის შესახებ. მე კი ძალაუნებურად ერთხელ კიდევ ჩამაფიქრა ცხენისწყლის ეტიმოლოგიის საკითხმა. საქართველოს გეოგრაფიაში მდინარე რიონის შენაკადთა შორის ვახუშტი ასახელებს ცხენისწყალსაც და მის შესახებ შემდეგს წერს: „ხოლო ამას რიონს მოერთვის ჩრდილოდამ აბაშა-ტეხურის მდინარე, უნაგირსა მთის ზეით, ისულეთს. ამას ზეით რიონს, ტყვურს, მოერთვის ჩრდილოეთიდანვე ცხენის-წყალი. ეს გამოსდის ლეჩხუმისა და სვანეთის შორის კავკასსა და მოდის აღმოსავლეთს ჩრდილოს შუადამ სამხრეთ-დასავლეთს შუა. არამედ მდინარისა ამის სახელი არს პირველ მდინარე თაკვერისა, ხოლო ოდეს მოაშთო ცხენნი ანაკოფიიდამ უკუმოქცეულის ყრუს სპათა, ამისთვის უწოდეს ცხენის-წყალი“.

ეს მდინარე ცხენისწყლის სახელწოდების წარმოშობის შეტად გონებამახვილური განმარტებაა, მაგრამ მურვან ყრუს ლაშქრობამდეც ცხენისწყალს ძველი ბერძნები ამავე სახელით მოიხსენიებენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ცხენისწყალი ბერძნების მიერ შერქმეული სახელწოდებაა. ჩანს, მათ ცენისწყალი გაიგეს როგორც ცხენისწყალი, ხოლო შემდეგ ქართულ ლიტერატურაში და მეტყველებაში ბერძნულიდან გადმოვიდა ამ სახით. ამგვარი შემთხვევები იშვიათი როდია.

მურის ხიდს იქეთ ავტობუსი გაჩერდა. ჩვენს მიერ გამიზნული ექსკურსია ფაქტიურად აქედან იწყებოდა. ახლა ვიდექით სწორედ იმ ადგილას, რომლის შესახებაც დასძენს ვახუშტი: „მუნიდამ გარდავალს სვანეთის გზა“.

სვანეთი დასავლეთ საქართველოს მთიანი მხარის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ის შეიცავს ორ რაიონს — მესტიის და ლენტეხის რაიონებს. თვით სახელწოდება სვანეთი, ჩანს, სვანთა ტომიდან მომდინარეობს, რომელსაც, ძველი ბერძენი გეოგრაფის, სტრაბონის

თქმით, ეპირა „კავკასიის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არს“. ცხადია, სტრაბონის დროს და შემდეგ საუკუნეებშიც სვანთა ტომს, ანუ ი. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართველების მესამე შტოს“, გაცილებით ფართო ტერიტორია ეპირა, ვიდრე დღევანდელი სვანეთია. ტომობრივი წყობილების დაშლისა და ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესში ბარში მცხოვრები სვანები უფრო ადრე შევიდნენ საერთო ქართულ ოჯახში. პტოლომესა და სომეხი ისტორიკოსის ფაუსტი ბიზანტიელის ცნობით, სვანები ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში გაითქვიფნენ კოლხებში. შემდეგ ბარს მთაც მიჰყვა და სახელწოდება სვანეთი დარჩა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი კუთხის გეოგრაფიული სახელი.

ასეა თუ ისე, სვანეთის მთები განთქმულია სილამაზით, მოსახლეობა—სტუმართმოყვარეობით, და ჩვენ თამამად, ალალი გულით მივემართებით მათი სოფლებისაკენ.

ჩვენი მანქანა ისევ აღმა აუყვა ცხენისწყლის ხეობას. უკან მოვიტოვეთ სალი კლდეები და გორმახები. დაიწყო გაშლილი ადგილები. თითქოს ამინდმაც მოწყალების თვალით მოგვხედა. ჭალებში ჩამოწოლილმა ნისლმა მაღლა აიწია და ტყით დაბურული ლამაზი ხეობა მთელი სიმაღლით გამოჩნდა. მალე ღრუბლების კედელიც გატყდა, ბზარში მზემაც გამოიჭყიტა და ზაფხულის ძალა გვაგრძნობინა.

ვენახიანი სვანეთი

— ვაზი თუ ხარობს სვანეთში? — მეკითხებიან ამხანაგები და გაფაციცებით ათვალიერებენ ცხენისწყლის ჭალებს, ვაზს ეძებენ, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ სიმინდის ყანები ჩანს.

— ხარობს ზოგიერთ სოფლებში, — ვეუბნები მე და ბავშვობაში გაგონილ თქმულებას ვუამბობ, — ერთხელ თურმე ღმერთმა გადაწყვიტა, მთელი ჩვენი ქვეყანა ვენახებით დეფარა. ყველა კუთხე ფეხით შემოიარა და ყველგან ვაზი ჩაყარა. ბოლოს მთებისაკენაც წამოსულა. ღმერთს უნდოდა აქაც გაეშენებინა ვენახი. გზად ლეჩხუმში გამოიარა და ვაზი ჩაყარა. როდესაც მურის ხიდამდე მიაღწია, წინ ზევიდან მომავალი ეშმაკი შეხვდა.

— საით მიბრძანდებიო? — ჰკითხა მან ღმერთს.

— ზევით, მთებში მივდივარ! — უპასუხა ღმერთმა, — ყველ-
'გან ვაზი ჩავყარე და ეს მხარეღა დამრჩაო.

— მაშ ეს წვალება ამიცდენია შენთვისო, — მიუგო მზაკვარმა ეშმაკმა ღმერთს, — ამის ზევით საშინელი გზებია. ვიცოდი სიარული გაგიჭირდებოდა და მთელი ეს ხეობები მე შემოვიარე, ვაზი ყველგან მე ჩავყარეო!

ღმერთმა ეშმაკს დაუჯერა და უკან დაბრუნდა. ასე დარჩა სვანეთი უვენახოდ.

— მაშ სვანეთი მთლიანად უვენახოა?

— ეს ძველი თქმულებაა, — ღიმილით ამბობს ლენტეხელი გლეხი.

მე კი ჩემის მხრით ვთხზავ და ვუმატებ:

— მართალია, ღმერთმა ეშმაკს დაუჯერა და უკან დაბრუნდა, მაგრამ მერე მის ნათქვამში მაინც ეჭვი შეეპარა და შესაჭოწმებლად წამოვიდა. ნახა, რომ სვანეთს ვაზის ნაცვლად მოცხარი, მოცვი, ჭნავი და ჯახველა მოსდებოდა. განრისხდა, მაგრამ რაღა უნდა ექნა. ვაზის თესლი ცოტაღა ჰქონდა და სვანეთის ზოგიერთ სოფლებში ის მოაპნია. მას შემდეგ ამ სოფლებში პატარ-პატარა ვენახები გაჩნდა.

ამხანაგებს ეღიმებათ, მაგრამ, ჩვენი თანამგზავრი ლენტეხელი გლეხები კი გულისყურით მისმენენ.

ავტობუსი აღმართს აუყვა და მალე ბორცვზე გაშენებულ სოფელში შევედით. ესაა რცხმელური. შარაგზის ორივე მხარეს საბლებია ჩამწკრივებული. ეზოები ზოგან მაღალი, ზოგანაც დაბალი ბესრითაა შემოღობილი. ეზოში ყველას ვენახი აქვს ჩაყრილი და იმერული ყაიდის ოდების ქვედა ქვიტკირის სართულებს მხოლოდ ვაზებს შორის ან ეზოში მიმავალი ბილიკების გასწვრივ სწვდება თვალი. ალაგ-ალაგ ოდების წინ ლამაზი ტალავრებია გაკეთებული. ვაზი მწვანე მტევნებითაა დახუნძლული. ჩანს, ოჯალეში ჭარბობს. ყველა ეზოში დგას ვაშლის, მსხლის, ქლიავისა და ბლის ხეები. ვენახში სიმინდია შეთესილი. სიმინდში კი ლობიო ან კარტოფილი შეურგავთ, ასე, რომ მიწის ნაკვეთი მაქსიმალურად აქვთ გამოყენებული. სამაგიეროდ, მიწას კარგად უვლიან. სასუქად ნაკელს იყენებენ. აქ ნაკელი იმდენად ფასობს, რომ გლეხები „შავ ოქროსაც" კი უწოდებენ. ყანაში არც ერთი კენჭი არ უნდა დარჩეს. მოხნავენ,

მოფოცხავენ და, თუ სადმე კიდევ გამოჩნდა ღორღი, იმასაც მოაცილებენ. დათესვით პირველად სიმინდი ითესება. თუ გოგრაც უნდათ, სიმინდის თესლში ურევენ. ლობიოს და კარტოფილს შემდეგ შერგავენ სიმინდის ნათესში. სიმინდს ორჯერ-სამჯერ თოხნიან. ამის გარდა, გლეხი ყოველდღიურად ყანაშია და საგულდაგულოდ აშორებს სარეველა ბალახებს. თუ ყანა სქელია, „გამოჩალავს". ამრიგად, ის მთელი წლის განმავლობაში თავს დასტრიალებს მიწას. ცხადია, არანაკლებ უვლიან ხორბლეულის ნათესებსაც. სიმინდი და ხორბალი აქ თანაბრად ხარობს და თანაბრადაც ფასობს. ამიტომაა, რომ კოლმეურნეობის ფართობთა ნახევარი სიმინდს უკავია, ნახევარი კი ხორბლეულ კულტურებს. საინტერესოა, პურის გამოცხობის ადგილობრივი წესი. ოჯახისათვის, ჩვეულებრივად, ე. წ. „სიმინდიან" პურებს აცხობენ. სიმინდიანი პური შემდეგნაირად მზადდება: აიღებენ სიმინდის და პურის ცომის დაახლოებით თანაბარი ზომის გუნდებს. პურის გუნდას გააგრძელებენ და სიმინდის ცომის გუნდას გარს შემოაკრავენ. ამგვარად მიღებულ მრგვალ გუნდას გააბრტყელებენ და თონეში ჩააკრავენ. ხშირად სიმინდის ცომში ნედლ ყველს შეურევენ და ისე აცხობენ. ასე, რომ მიიღება ნახევრად ხაჭაპურის მსგავსი რამ. გარდა ამისა, აცხობენ სუფთა პურსა და მჭადსაც. იციან ხაჭაპურებიც, რომელთაც შემდეგში ჩემი ამხანაგების ქებაც დაიმსახურეს.

როგორც კი სოფელ რცხმელურს გავცდით, კვლავ ცხენისწყლის ჭალებში აღმოჩნდით. აქ სოფლის თავიდან ზევით მიიმართება გრძელი, მაგრამ არცთუ ისე ფართო მინდორი. ქვედა ნახევარზე სიმინდი თესია, ზედაზე კი ხორბალი. მინდვრის თავში შვიდწლიანი სკოლის თეთრი შენობა დგას. სკოლის ეზო ახალი მესრითაა შემოღობილი და შიგ მწვანე ბოლი ბიბინებს. ეზოში ღერძი, ორძელი და სხვა სპორტული იარაღები ჩანს.

სკოლის შენობას ცოტაზე გაეცდით და ჭალაც დაილია. შარა უკვე წყლის ნაპირს მისდევს; მხოლოდ ალაგ-ალაგ შეიჭრება თხილის ან თხმელის ტანმორჩილ ტყეში და მალე ისევ მდინარის ნაპირზე გადის. ცხენისწყლის ხეობა ამ ადგილას შემოსილია ფოთლოვანი ტყით. ხეობის მზიანეთში, რომელ მხარეზეც ჩვენი ავტობუსი მიჰყვება შარას, წაბლის ხშირი კორომებია. არის რცხილა და წიფელიც. სამხრეთ ფერდობზე კი უფრო მაღალი ტყეა, უმეტესად

წიფლნარი. წიწვიანები მხოლოდ ხეობის ფერდობის ზედა ზოლში ჩანს.

მდინარე აქ სწრაფად მოედინება. ამღვრეული ტალღები გამეტებით ეხეთქებიან ვეებერთელა ლოდებს. ხშირად ასეთ ლოდებს შორის ძლიერი ჩქერალები იქმნება. თუ ცაგერის ჭალასთან ფიქვის და ნაძვის მორები აქა-იქ ეყარა, აქ უკვე ყოველ ნაბიჯზე ჩანს ზედახორად შეწყობილი მორები. მათი რაოდენობა მით უფრო მატულობს, რაც ზევით მივდივართ. ეტყობა, ახლაც ეზიდებიან ფერდობებიდან ხე-ტყეს, დაცურება ეს-ეს არის დაიწყო.

რაც აღმა მივდივართ, ტყის მასივები უფრო იზრდება. მალე წიწვიანები ხეობის ფერდობთა ქვედა ზოლშიც შემოერია. ზევით კი მთლიანად ნაძვის და სოჭის კორომებია. აი საიდან გამოაქვთ ხე-ტყე. ალაგ-ალაგ ციცაბო ფერდობებზე ჩამომავალი შუროებიც მოჩანს. მათზე დასრიალებული მორები პირდაპირ ცხენისწყალში ცვივა.

ტყეს ახლა გამორჩევით ჭრიან. ასე რომ, ახლად გაჩეხილი და გატიტვლებული ადგილები არსად ჩანს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც იციან ტყის ფასი და მთავრობის ღონისძიებას მხარს უჭერენ. ხე-ტყის დამზადების მუშები უმეტესად ადგილობრივი გლეხები არიან. ისინი ისე ფრთხილად „გამოჩალავენ“ ხოლმე ტყეს, როგორც სქლად დათესილ სიმინდის ყანას. სიფრთხილე, დიახაც საჭიროა, თორემ რა იქნება სვანეთის მთები და ხეობები უტყეოდ? გადახრიოკებული ადგილები, სადაც არა თუ ადამიანს, ხვლიკსაც გაუჭირდება ფეხის მოკიდება და არსებობა.

რცხმელურიდან წამოსვლის შემდეგ კიდევ რამდენიმე ვენახიანი სოფელი გავიარეთ და ლენტეხის რაიონულ ცენტრში — ლექსურაში შევედით.

ლექსურასთან ცხენისწყალს ორი მდინარე უერთდება: ხელედურა და ლასკადურა. ხელედურას ხეობა ქვემოთაა და ცხენისწყალს სოფლის ბოლოს მარცხენა მხრიდან უერთდება. მდინარე ლასკადურა კი პირდაპირ ლექსურაზე ჩამოდის.

„სოიუზტრანსის“ ავტობუსის უკანასკნელი სადგურიც ლექსურაა. აქედან უკვე სხვა ტრანსპორტზე უნდა გვეზრუნა, ლაშხეთისაკენ მიმავალი მანქანისთვის უნდა დაგვედარაჯნა. მალე ისიც გა-

მოჩნდა. სწრაფად მოვთავსდით მანქანაზე და ერთი ორი საათის შემდეგ სოფელ სასაშში ვიყავით.

სოფელი სასაში ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას მდებარეობს, ზღვის დონიდან 1.100 მეტრის სიმაღლეზე. სოფლის ზემო და ქვემო ნაწილები გაშენებულია ცხენისწყლის ჭალაში, ხოლო შუაგული—მდინარე სგიმრაშულის გამოტანის კონუსზე. მდინარე სგიმრაშული ჯვრის მთიდან მოედინება და სოფელ სასაშის ბოლოს უერთდება ცხენისწყალს. ის კარგ ამინდებში საშუალო სიდიდის ღელეა, ანკარა და დასალევად გემრიელი. ამ დროს თვალი რომ ააყოლოთ მის კალაპოტს, რამდენიმე ადგილას შენიშნავთ თოვლივით ქათქათა ზოლებს—ჩანჩქერებს. წვიმიან ამინდში მდინარე სგიმრაშული მრისხანე და დაუნდობელია; მისი ტალღები ამ დროს ნაფოტებივით მოაქროლებს ძირფესვიანად მოგლეჯილ ხეებს და კენჭებივით მოაგორებს უზარმაზარ ლოდებს.

სოფელი სასაში სიდიდით თითქმის ყველაზე დიდი სოფელია მთელ ლენტეხის რაიონში, ხოლო სილამაზით ერთ-ერთი პირველთაგანი. დასახლება, ჩვეულებრივად, როგორც ლენტეხის რაიონის ყველა სოფელში, მჭიდროა. სახლები ერთმანეთისაგან პატარ-პატარა ეზოებითაა გამოყოფილი. ამ ბოლო დროს კი სოფლის დასახლების სტრუქტურა მნიშვნელოვნად იცვლება. ისინი, ვინც წინათ მდინარე სგიმრაშულის ნაპირას ცხოვრობდნენ და წყალდიდობისას საფრთხე მოელოდათ, ახლა უშიშარ ადგილებში სახლდებიან. მგზავრი, რომელიც ამ რამდენიმე ათეული წლის წინ უამინდობის დროს მოხვდებოდა სოფელ სასაშში, ალბათ განცვიფრებული დარჩებოდა იმის გამო, თუ რატომ აირჩია ხალხმა სამოსახლოდ ისეთი „ცოფიანი" მდინარის ნაპირი, როგორიც სგიმრაშულია. მაგრამ საკმარისია, ადამიანმა ოთხივ მხრით მიმოიხედოს და მიზეზიც ნათელი გახდება. ცხენისწყლის არცთუ ისე ფართო, მაგრამ შედარებით ნაყოფიერი ჭალები ხალხს სამოსახლოდ არ ემეტებოდა. ამ ჭალას ტყით შემოსილი ფერდობი ესაზღვრება. ეს ფერდობი ჯვრის მთის ძირს წარმოადგენს. ტყე ქვედა ზოლში უმეტესად ფოთლოვანია. მხოლოდ აქა-იქ ჩანან ცალკეული ნაძვები და სოჭები. შემდეგ მოდის ნამდვილი შერეული ტყის ზოლი. ნაძვის გარდა არის ახოვანი სოჭის ხეები. სულ მაღლა კი სუბალპები და ალპები. ცხადია, ჰაერი სოფელ სასაშში სანაქებო იქნება. წიწვიანი ტყეები კარგ საავარაკო პირობებს ქმნის,



ლაზეთის სოფლები.

და მართლაც, სოფლიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს პატარა, მაგრამ ლამაზი აგარაკი მოაში.

სახლები სოფელ სასაშში თითქმის მთლიანად ახალი ტიპისაა. მხოლოდ აქა-იქ მოჩანს ძველი მაჩუბები, რომლებსაც დღეს საქონლის სადგომად იყენებენ. ახალი სახლები უმეტესად ორსართულიანია — ფართო ჯარ-ფანჯრებით და აივნებით. სახლები ყავრითაა დახურული, თუმცა ალაგ-ალაგ ფიქალიც გვხვდება. ეს ძველი კარგი ტრადიციის აღდგენაა. ფიქალი ხომ ყავართან შედარებით დიდხანს ძლებს და ტყეც დაიზოგება!

მეურნეობის ძირითადი დარგი სოფელ სასაშში, ისე როგორც მთელს ლენტეხის რაიონში, მემინდვრეობაა. მინდვრის კულტურებიდან უპირატესობას ანიჭებენ სიმინდს და ხორბლეულს. საკოლმეურნეო ფართობის ნახევარზე სიმინდი ითესება, ხოლო ნახევარზე ხორბლეული კულტურები. ეს ფართობი ძირითადად მოიცავს ცხენისწყლის ჭალებს და მის ახლომახლო ფერდობებს. უფრო ზემოთ, ტყის ზონაში საგანგებოდ გატეხილ ახოებში, ითესება კარტოფილი. კარტოფილის ნათესები ძალიან ხშირად სუბალპურ ზონაშიც კი ადის.

მთაში განსაზღვრული პირობებია მესაქონლეობის განვითარებისათვის. სასაშის კოლმეურნეობას აქვს მეძროხეობის მოზრდილი ფერმა, რომელიც გაშენებულია ფასის მთის ძირას, ლაფურის მიდამოებში. ზაფხულობით ნახირი მიშვებულია მთის საძოვრებზე, ხოლო ზამთრობით ბაგურ კვებაზე გადაჰყავთ. ლაფურის მთები მდიდარია ალპური ხალიჩებით — უხვი სათიბ-საძოვრებით.

ბოტანიკური დარაიონების მიხედვით, მთლიანად ლაშხეთი და კერძოდ სოფელი სასაში მოთავსებულია კონტინენტური მეხილეობის და მევენახეობის სარტყელში. მეხილეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ლაშხეთში ადრეც არსებობდა, მაგრამ მეხილეობა მაშინ სულ არ იყო განვითარებული. ამის მიზეზს ისევ და ისევ უგზოობა წარმოადგენდა. უგზოობა შეუძლებელს ხდიდა ხილის გატანას ბაზარზე, რაც თავისთავად მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარების დიდ სტიმულს წარმოადგენს. დღეს გზის პრობლემა გადაწყვეტილია. ლაშხეთის სოფლებში მიდის არა მარტო საურმე გზა, არამედ საავტომობილოც. ცხადია, დღევანდელ პირობებში ახლებურად შეიძლება დაისვას მეხილეობის განვითა-

რების საკითხი, და, აი, პირველი სასურველი შედეგები უკვე თვალნათლივ ჩანს. ეზოებში ხშირია ვაშლისა და მსხლის ხეები. ამ რამდენიმე წლის წინ კი ალბათ პატარა ნამყენები ამოიტანეს. მართალია ჯერჯერობით კიდევ არ ჩანს ხეხილის ფართო საკოლმეურნეო ბაღები, მაგრამ იმედია მალე ისინიც გამოჩნდებიან. საამისოდ ყოველგვარი პირობები აქვთ ლაშხელ კოლმეურნეებს.

სოფელ სასაშში და საერთოდ ლაშხეთში ხელსაყრელი პირობებია მევენახეობის განვითარებისათვისაც. ამის მაუწყებელია ის პატარ-პატარა ვენახები, რომლებიც კოლმეურნეთა ეზოებში არც ისე იშვიათია დღეს. მართალია ამ პატარა ვენახებში გაშენებულია უმეტესად იზაბელას ჯიშის ვაზი, მაგრამ აქ არანაკლებ გაიხარებს ზოგიერთი სხვა ჯიშიც. საჭიროა მხოლოდ ინიციატივა და საქმის ცოდნა. საქმის მცოდნე აგრონომები კი აქაურ კოლმეურნეობებს საკმარისად ჰყავთ.

ძველისა და ახლის ჰიდილი

გადაწყვეტილი გვქონდა, ერთი ორი დღე სოფელ სასაშში დავრჩენილიყავით.

მეორე დღეს აგარაკ მოაშისაკენ გავემგზავრეთ.

მოაშში ნაძვნარით გარშემორტყმული პატარა ლამაზი მინდვრებია. მინდვრებიდან ორი-სამი კილომეტრის დაშორებით გამოდის რკინანარევი მინერალური წყაროები. წინათ ამ წყაროებთან აშენებული იყო აბანო და მოაგარაკეები სამკურნალოდ იქ დადიოდნენ. ახლა კი მინერალური წყლები მილებით მოაშში გადმოუყვანიათ და აბანოც აქ აუშენებიათ.

ამბობენ, ძველად მოაშის მინდვრებს სახნავად იყენებდნენო. ერთხელ ხვნის დროს გუთანი დიდ ლოდს წამოედო და ამოაგდო. კვალი რომ გაიტანეს და უკან მობრუნდნენ. ხარები ახლადამოგდებულ ლოდთან გაჩერდნენ და რაღაცას დაეწაფნენ. „მოაშ! მოაშ!“ — ბევრი უძახა გუთნისდედამ, მაგრამ ამაოდ. მაშინ ხარებს წინ მოექცა და დაინახა, ქვის ამონაგდებში წყარო გამოდიოდა. გეშო გაუსინჯა ნახა, რომ წყარო ვეძა (მჟავე წყალი) იყო და ამის შემდეგ ამ ადგილს ხალხმა მოაში უწოდა, ვეძა კი სოფლელების საყვარელი სასმელი წყალი გახდა. მოგვიანებით მოაში სააგარაკო ადგილად გადაიქცა.

მოაშის მჟავე წყალი დავლიეთ და ნაძვნარში გასეირნება დავა-

პირეთ. მაგრამ ამ დროს რაღაც ხმაური შემოგვესმა. ხმაური ქვემოდან მოდიოდა. მინდვრის ბოლოს, სასადილოს ეზოში, ხალხს მოეყარა თავი. მინდორი სირბილით ჩავვერი და მალე მეც იქ გავჩნდი. უწესრიგო ხმაურში პირველად ვერაფერი გავარჩიე. არც ჩემს კითხვაზე გამცა ვინმემ პასუხი. ყველა წინ მიიწევდა და აინტერესებდა საკუთარი თვალით ენახა, რაც იქ ხდებოდა. მალე მივხვდი, რომ ვიღაცეები ჩხუბობდნენ.

— თემრაზ, კმარა! ჩვენ დაგვანებე და ჩვენ მოვუვლით ამას! — ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა ვიღაც გამზავებელთაგანი. ჩანდა, მისი ხმა მოჩხუბართ არ ესმოდათ. ამიტომ ის უფრო გაანჩხლდა.

— თემრაზ, გეყოფა, თორემ, დედას გეფიცები, ცუდ ამბავს დავატრიალებ!

ხალხი ღელავდა, ხმაურობდა. ქალების წივილ-კივილი იქაურობას აყრუებდა.

— ძმები არიან და რად აკვდებიან ერთმანეთს?!

ხალხი კვლავ აიზვირთა და ტალღამ შუაში შემითრია. მართლაც ძმები დასტაკებოდნენ ერთმანეთს. გელას, უმცროს ძმას, სახე ბრაზისაგან დამანჭოდა და უფროს ძმას, თემრაზს, თავგამეტებით სცემდა. თემრაზი მხოლოდ თავს იცავდა და ამავე დროს ცდილობდა გაავებული უმცროსი ძმა გაეკოჭა. უცებ თემრაზმა გელას წელზე შემოჰხვია ხელები, ჯერ მიწას მოწყვიტა, შემდეგ ძირს დაანარცხა. და ზედ გადააჯდა.

— კაკო, ქამარი მომეცი! — დაიყვირა თემრაზმა.

ხმაჩახლეჩილმა გამზავებელმა ქამარი სწრაფად მიაწოდა, თანაც თემრაზს მიეშველა გელას გაკოჭვაში.

ერთი სკოლის ამხანაგი დავინახე, რომელიც შეწუხებული სახით მისჩერებოდა მოჩხუბართ.

— ჯუმბერ, რა მოხდა, რად წაიკიდნენ ძმები? — შევეკითხე მას.

— სასადილოში გელა არჩილის ბიჭს შეხვედრია და ჩხუბი აუტეხია. მაშინვე თემრაზი გაჩენილა იქ და ძმისთვის გასაზავებლად ხელი უტაცია და, აი, საქმე სადამდე მივიდა! გელას უნდა თემრაზს ხელიდან გაუსხლტეს და არჩილის ბიჭს დაედევნოს.

გონებაში გაიელვეს წარსულის ამბებმა, რომელთაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა ძმების დღევანდელ შეტაკებასთან.

იმ ამპების მომსწრე არც მე ვარ, არც თემრაზი და, მით

უმეტეს, არც გელა. სხვისი მონაყოლი მომისმენია, მაგრამ ახლა ყველაფერი ისე ცხადად დამიდგა თვალწინ, როგორც ძმათა წელანდელი ჭიდილი. მე ვხედავდი ყორნისფერ ბედაურზე ამხედრებულ თავმომწონე ვამეხს, რომელიც ღიღინით უახლოვდება ცოლოურის სოფელს. თეთრი ჩოხა აცვია და მხრებზე კიდემოქარგული თეთრი ყაბალახი გადაუგდია. ლამაზად გადავარცხნილ სქელ შავ ქოჩორს ნიავი ოდნავ ურხევს. თავი მაღლა აუწევია და წინ თამამად იყურება. წელზე შემორტყმულ ვერცხლის ბალთიან ქამარზე ვერცხლითვე მოჭედილი პატარა სატევარი დაუკიდია. სხვა რამ იარაღი თან არა აქვს.

პატრონივით თავმომწონეა ვამეხის ყორნისფერი ბედაურიც. კბილებით ლაგამს ხრავს, ხოლო წვრილ მაღალ ფეხებს ლამაზად მოაცურებს ჰაერში. ახალი ნალი ულმობლად ამსხვრევს გზაზე მოჩნეულ კენჭსა და ღორღს. აი, ცოლოურის სოფელიც გამოჩნდა, ვამეხმა ბედაურს მათრახი დაანახვა და ოთხით წაიყვანა. სოფლის მისადგომებთან აღვირი ერთბაშად დაქაჩა და ცხენი შეაყენა. გზას იქით, სიმინდის ნაყანევში, კაცი დაინახა, რომელიც ხარ-მარხილს მიუძღოდა წინ.

— ისაა, ნამდვილად ისაა!— ხმამაღლა თქვა ვამეხმა და ადგილზე მოთამაშე ბედაურს ფერდში ქუსლი შეახო. ცხენი ადგილიდან მოწყდა, გზიდან მარჯვნივ გადაუხვია, ღობეს გადაეცლო და დინჯად მიმავალ ხარ-მარხილს ქშენით ჩაუქროლა გვერდით.

— ჰა, შენა ხარ, გეგი! ის როგორ იყო — ვამეხს ვანანებო, დედას ვუტირებო? ვის უტირებ დედას, შე ჯუჯავ შენა! — ვამეხმა გეგის ქუდზე ხელი აუკრა და გადაუგდო.

— ვამეხ, გეყო რაც მქელე, ახლა თავი გამანებე, თორემ!..

— რაო, ახლაც მემუქრები?!

— გიმეორებ — შენი გზით წადი... საცოლე წამართვი და გეყოფა. აწი თავი გამანებე. ნუ მქელავ, თორემ ყველაფერს ვფიცავ, მართლა განანებ!

— შენ რა უნდა მიქნა, ლაჩარო, ბერდანის იმედი ხომ არ გაქვს? შენზე ხელსაც არ გავისვრი. ცხენს გავასრესინებ ფლოქვებით შენ თავს! — და ვამეხმა მართლაც დააჯახა ცხენი გაფითრებულ გეგის.

— მაშ ასე, კაცად არ მაგდებ ხომ?! — დაფარა გეგის ხმამ ცხე-

ნის ჭიხვინი. გვერდზე გახტა და, როგორც კი ფეხი მიწას შეახო, ჩახმახშემართული თოფი უკვე ვამეხზე ჰქონდა მიმიზნებული.

— არ გა... — შეჰყვირა შიშნაჭამმა ვამეხმა, მაგრამ მისი ხმა თოფის ხმამ შთანთქა...

როდესაც ბოლი გაიფანტა, ვამეხი ჯერ კიდევ ცხენზე იჯდა. მაგრამ ხმას ვერ იღებდა. სახე დალმეჭოდა და მხრებში მოხრილიყო. მკერდიდან გადმონადენი სისხლი თეთრ ჩოხას წითლად უღებავდა.

გეგის კი ჩახმახი ხელახლა შეეყენებინა, თოფი მარჯვედ ეჭირა და პირველი გასროლის შედეგს მოთმინებით უცდიდა.

— მომკალი შე... — ძლივს ამოიგმინა ვამეხმა და ცხენიდან მოწყვეტით გადმოეკიდა.

— შენ თავს დააბრალე! — ნიშნის მოგებით უპასუხა გეგიმ. შემდეგ შეტრიალდა, ხარ-მარხილი მიატოვა და ტყისაკენ ჰქნა პირი.

გეგის მამის მიერ თავისი ვაჟისთვის აკვანში დანიშნულს ღა. შემდეგ ვამეხის ცოლს, ელენეს, ქმრის მოკვლის ამბავმა ცნობა წაართვა. მერე, როდესაც გონს მოეგო, ქმრის ცხედარს ჩაეხუტა. მწარედ დასტირა და სასაფლაოზე გამომშვიდობებისას მტკიცე ფიცი დასდო, რომ შვილებს შურისძიების გრძნობით აღზრდიდა.

ელენეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მეორეც ვაჟი ეყოლა.

ძმა ძმას მხარს მისცემს და სისხლსაც უკეთ აიღებენო — ფიქრობდა ის.

ზამთრის ერთ დღეს სოფელში ყაჩაღად გავარდნილი გეგის დაღუპვის ცნობა მოვიდა — ღამე მთაში დარჩენილიყო და გაყინულიყო. ელენემ ქმრის სიკვდილივით შეიცხადა გეგის დაღუპვა. მაგრამ ქმრის სისხლის აღების იმედს მაინც არ ჰკარგავდა, რადგან იცოდა, რომ სისხლის აღება მკვლელის ნათესავებზეც შეიძლებოდა. ელენემ მხოლოდ ოდნავ შეცვალა ბავშვების აკვანთან დასამღერებელი სიტყვები.

„იმ ჯუჯას ადამიანური სიკვდილი არ დასცალდა, გენაცვალეთ, მაგრამ ხომ დარჩენ მისი ნათესავები, თქვენც იმათზე აიღებთ მამის სისხლს“.

ფიქრებიდან თემრაზის ბოხმა ხმამ გამოიყვანა.

— შენი ჭირიმე, კაკო, კარგად მოუარე, არსად გაგექცეს, —

ეუბნებოდა ის ხმაჩახლეჩილ გამზავებელს, რომელსაც შაგრად გაქაჩულ გელასთვის ჩაეკიდა ხელი და ამშვიდებდა.

ხალხის ხმაური უკვე დამცხრალი იყო. მე თემრაზს შევხედე და გამეღიმა. ოფლში გაწურული მხარბეჭიანი ვაჟკაცი ჩამოგლეჯილ პერანგის ნაფლეთებს მხრებზე ისწორებდა. სახე სისხლით ჰქონდა გასვრილი, ქოჩორი ჩამოსწეწოდა და ცალი ხელით დოინჯშემოდგმული ხალხში ბოძივით იდგა.

ხელებგაკრული გელა კი სამ კაცს მიჰყავდა მახლობელი სახლისაკენ. ის ისევ ღრიალებდა, იგინებოდა, იმუქრებოდა, ფეხს ითრევდა და ცდილობდა თავი გაეთავისუფლებინა. უცებ კაკოს ხელიდან გაუსხლტა, მინდორში გაგორდა და ბალახს პირით დაუწყო გლეჯვა, თან მთელი ხმით გაჰყვიროდა:

— მამაჩემის სისხლი, მამაჩემის სისხლი!..

მზე დასავლეთით იყო გადახრილი, როცა მოაშიდან უკან გამოვბრუნდით. გამოვცდით მინდორს და ცხენისწყლის ხეობას ზემოდან გადავხედეთ. აქედან ხელისგულივით ჩანდა მზით გაშუქებული ლაშხეთი.

ლაშხეთი ულამაზესი თემია ლენტეხის რაიონში. აქ ცხენისწყლის ხეობა ერთბაშად იშლება. ლაშხეთის ტერიტორიაზე ცხენისწყალს მრავალი შენაკადი უერთდება ორივე მხრიდან. ეს მდინარეები საუკუნეების განმავლობაში ქმნიდნენ გამოტანის მასიურ და ფართო კონუსებს. ამ კონუსებზე დროთა განმავლობაში ნიადაგს მოუკიდებია ფეხი და ადამიანთა დასახლებისათვის მშვენიერი პირობები შეუქმნია. ლაშხეთის სოფლები ძირითადად ამ გამოტანის კონუსებზეა გაშენებული.

პირველი შენაკადი, რომელიც ცხენისწყალს ლაშხეთის ტერიტორიაზე უერთდება, არის მდინარე ხეშკური. ეს ღოშგმარისა და ვორვაშის მთებიდან იღებს სათავეს. ხეშკურის ნაპირას მდებარეობს სოფელი ლუჯი, რომელიც ამჟამად სასაშის კოლმეურნეობაში შედის. მდინარე ხეშკურის და ცხენისწყლის შესაერთის მახლობლად მდებარე ჭალები ნოყიერია და უხვ მოსავალს იძლევა. კოლმეურნეობა აქ მონაცვლეობით თესავს სიმინდს და ყორბლეულებს.

სოფელ სასაშის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ცხენისწყალს კიდევ ორი მდინარე უერთდება მარცხენა მხრიდან; ესენია მურგოული და სგიმრაშული. ცხენისწყალს შენაკადები აქვს მარჯვნიდა-

ნაც. მათ შორის ყველაზე შმაგი მდინარეა ფიშყორი. ფიშყორი წელიწადი-თორმეტი თვე მღვრიე მოედინება. წვიმიან ამინდებში კი ადევდება ხოლმე და შეუპოვრად მოაგორებს უზარმაზარ ლოდებს, მოეზიდება ღორღსა და შლამს. ხშირად ფიშყორი ისე ადიდდება, რომ ცხენისწყალს გზას გადაუკრის, აგუბებს და კალაპოტსაც კი უცვლის. მდინარე ფიშყორის გამოტანის კონუსზე მდებარეობს სოფლები: მებეცი, ლეკოსანდი, ჟახუნდერი და ნაწილობრივ ლემზაგორი.

ფიშყორის გარდა ცხენისწყალს მარჯვნიდან უერთდება მდინარეები: აშხაშური და ხანაშური. აქვე მდებარეობს სოფელი: ჩიხარეში, მის ზემოთ კი სოფელი მელე. ჩიხარეშის და მელეს გასწვრივ ცხენისწყლის მარცხნით მდებარეობს სოფლები: შკედი, ღობი და ნაცული. ამ სოფლებზე ჩამოდის მდინარეები: ღობშური და ცხენშური. უკიდურესი სოფელი ლაშხეთის თემისა მახაში. სოფელი მახაში ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს საკმაოდ დამრეც ფერდობზეა შეფენილი.

ლაშხეთის ცენტრალური სოფელი ჟახუნდერია. რევოლუციის შემდეგ პირველი საშუალო სკოლა ლაშხეთის თემისათვის აქ გაიხსნა. ამჟამად კი ლაშხეთში მეორე საშუალო სკოლაცაა სოფელ ჩიხარეშში. ლამაზია ჟახუნდერი. განსაკუთრებით ლამაზია საშუალო სკოლის შენობის ზემოთ შემოღობილი ადგილი, რომელსაც ადგილობრივად „სუფს“[1] უწოდებენ. სუფის ცალ მხარეს აშენებულია ეკლესია, რომლის გარშემო იფნის, პანტის და მაჟალოს ხეივანია, მეორე მხარეს მოლიანი მინდორია. ამ მინდვრის შუაგულში დგას ვეება ცაცხვი, რომლის ტანს ცხრა კაცი ძლივს უწვდენს გარშემო ხელს. ცაცხვის ვარჯს ეზოის დიდი ნაწილი აქვს დაჩრდილული.

სოფელ ჟახუნდერში, კერძოდ „სუფში“, წინათ მრავალი სათემო დღესასწაული იმართებოდა. აქ ტარდებოდა წარმართობის დროიდან მომდინარე რელიგიური დღეობა „ლიმურყვამალ“ ანუ კოშკობანა. ჩვენი დიდი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს დღესასწაული მიძღვნილი იყო ნაყოფიერების ღვთაებისადმი. დღესასწაული ზამთარში, ყველიერის მეორე დღეს ტარდებოდა. წინდაწინ თოვლისაგან აგებდნენ დიდ კოშკს და შემდეგ მთელი

[1] სუფი სვანურად ნიშნავს ფორს, მოედანს.

გიგანტი ცაცხვი

დღესასწაული ამ კოშკის გარშემო იმართებოდა. დღერბაში მონაწილეობას იღებდა მთელი ლაშხეთი, კოშკის გარშემო შეიკრიბებოდა საგანგებოდ ჩაცმულ-გამოწყობილი ხალხი და იწყებდნენ დღეობას. ქეიფის შემდეგ იწყებოდა სხვადასხვა სანახაობების ჩვენება. ასეთ სანახაობათა შორის იყო ე. წ. „მელია ტულეფია", რომელიც გამოხატავდა მშობლის მიერ შვილების მფარველობის და მათი ბოროტი სულისგან დაცვის იდეას.

სანახაობებს მოჰყვებოდა ცეკვა-სიმღერა. ცეკვა-სიმღერის დღეობაში მონაწილე ხალხი ასრულებდა, როგორც საერთო ძალით, ისე ცალ-ცალკე, სოფლების მიხედვით, რასაც თან სდევდა შეჯიბრი. ასეთ შეჯიბრს, ცხადია, სჭირდებოდა წინასწარი სამზადისი. ეს დღესასწაულები იყო ერთ-ერთი კარგი საშუალება ადამიანთა ურთიერთობის დასამყარებლად. უეჭველია, რომ მსგავსი დღეობები წარმოადგენდა ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა თავის გამოჩენის ასპარეზსაც. აქ ისინი ერთმანეთს გაიცნობდნენ და ხშირ შემთხვევაში კიდეც უმიჯნურდებოდნენ.

მურყვამობის დროს განსაკუთრებულ გრანდიოზულ სანახაობას მაინც სპორტული შეჯიბრებები წარმოადგენდა. ასეთი შეჯიბრების მოწყობა აღნიშნული დღესასწაულის დროს შემთხვევით ხასიათს არ ატარებდა. სპორტული შეჯიბრებებისათვის ხალხი თითქმის მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდა. ცხადია, სამზადისს თავისუფალი დრო ეთმობოდა. შეჯიბრება ჯერ სოფლების შიგნით ტარდებოდა. აქ ვლინდებოდნენ საუკეთესონი, რომლებიც გადიოდნენ მახლობელ სოფლებს შორის მოწყობილ შეჯიბრებაში. ასეთი შეჯიბრებები ქვემო ლაშხეთში (მდინარე ფიშყორს ქვემოთ) ცალკე ტარდებოდა და ზემო ლაშხეთში—ცალკე. სწორედ ამ ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი გადიოდნენ მურყვამობის დროს გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

სპორტული შეჯიბრებები დღის მეორე ნახევარში იწყებოდა და გვიან საღამომდე გრძელდებოდა. იყო ჭიდაობა, სირბილი, ხტომა და ქვის სროლა. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა ჭიდაობა. ნაცადი, კუნთმაგარი ფალავნები თავდავიწყებით ერკინებოდნენ ერთმანეთს. წყვილში ერთი ზემო ლაშხელი უნდა ყოფილიყო და ერთი ქვემო ლაშხელი. ერთ-ერთი მოჭიდავის დამარ-



ეული კოშკი მაჩუბის ტიპის სახლითურთ.

ცხების შემდეგ იმავე მხრის სხვა მოჭიდავეს შეეძლო დასჭიდებოდა გამარჯვებულს. ჭიდაობის წესი შემდეგნაირი იყო: მოჭიდავეს ქამარი მჭიდროდ უნდა ჰქონოდა წელზე შემორტყმული. ჭიდაობის დასაწყისში მოწინააღმდეგენი ერთმანეთთან მიდიოდნენ, ერთიმეორეს ქამარში ჩასჭიდებდნენ ხელს და ჭიდაობა ამ მომენტიდან იწყებოდა. ფანდები ძირითადად კეთდებოდა ფეხებით. მთავარი იყო შიდაკაური, გარეკაური და მოცელვა. საუკეთესო ფანდად ითვლებოდა მოგვერდი. კისრულზე გადაყვანის შემთხვევები იშვიათი იყო, რადგან ჭიდაობა ძირითადად ერთმანეთის პირისპირ დგომით და ქამარში ხელის ჩავლებით ტარდებოდა.

მოჭიდავე გამარჯვებულად ითვლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ის ორივე ბეჭზე დასცემდა მოწინააღმდეგეს. არ შეიძლებოდა ჩოქზე დამდგარი ან დამჯდარი მოწინააღმდეგის წაქცევა.

შეჯიბრი დიდხანს გრძელდებოდა. დღეობის დამთავრების შემდეგ გამარჯვებული მხარე ზეიმით მიდიოდა შინისაკენ.

ლაშხელები მსგავს შეჯიბრებაში გამარჯვებას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ ფალავანთა სახელები თაობიდან თაობაში გადადიოდა. ამ სახელებს ქება-დიდებით იხსენიებდნენ თავყრილობის ადგილებში.

წარმართობიდან უკანასკნელ დრომდის ლაშხეთში კიდევ რამდენიმე დღეობა იყო შემორჩენილი. ერთი მათგანი, რომელსაც „განცხდები" ეწოდებოდა, გაზაფხულის მოახლოებისას თუ დადგომისას იმართებოდა. ამ დროისათვის, ხალხის თქმით, მზის ამოსასვლელი ადგილი ვერძის სამ ნახტომზე გადაინაცვლებს აღმოსავლეთით და ღილას მნათობი ლაშხეთის თავში აღმართული ლამაზი მწვერვალის ჭითხაროს წვერზე ამოჰყოფს თავს. დღეობა სოფელ ჩუკულის მახლობლად აშენებულ სამლოცველოსთან იმართებოდა. ღამენათევი ხალხი ცისკრის ამოსვლას ფეხზე ხვდებოდა. როდესაც ცისკარი გამოჩნდებოდა და ჭითხაროს თავზე ბნელი ცისკიდური ლურჯფრად შეიღებებოდა, ხალხი იწყებდა სიმღერა „ლილეს". დინჯად და ვაჟკაცურად უმღეროდნენ ისინი მზის ამოსვლის მოახლოებას. „ლილე" გრძელდებოდა მანამ, სანამ ცისკიდური მთლად არ განათდებოდა. როდესაც ჭითხაროს თავზე გაზაფხულის მზე ამოგორდებოდა და თავის სხივებში გაახვევდა არემარეს, მაშინ აღტაცებული ხალხი ჭუგუნით შემოსძახებდა „კვირიას". ასე იწყებოდა ზეიმი გაზაფხუ-

ლის დადგომის, მზის ძალის მომატების და ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ ბუნების ხელახალი აღორძინების აღსანიშნავად.

სიმღერა „ლილეს“ სახელწოდების წარმოშობის გარკვევისათვის იქნება საგულისხმო იყოს ის გარემოება, რომ ალიონზე აღმოსავლეთთან ლურჯად შეღებილ ცისკიდურს ხალხი „ლილ“-ს უწოდებს.

დღეისათვის „ლიმურყამალ“ და სხვა რელიგიური დღესასწაულები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ „სუფში“ მაინც ბშირად იკრიბება ხალხი და ჭიდაობაც ხშირად იმართება.

ცხენისწყლის სათავეებისაკენ

სოფელ მელეს ზემოთ ცხენისწყლის ხეობა ერთბაშად ვიწროვდება. ლაშხეთის უკანასკნელი სოფელი მახაში უკვე ამ ვიწროებში მდებარეობს. ის ცხენისწყლის მარჯვენა მხარის დამრეც ფერდობზეა შეფენილი. როგორც კი კაცი სოფელ მახაშს უკან მოიტოვებს, თვალწინ პატარა, მაგრამ ლამაზი ჭალა გადაეშლება. ჭალის ბოლოზე ძველთაძველი ციხის ნანგრევებია. მახსოვს, მოწაფეობის დროს, როცა ამხანაგები რაიმე შემთხვევის გამო ამ გზით მივდიოდით, ციხის ნანგრევს ისე არ ჩავუვლიდით გვერდს, რომ ზედ არ ავსულიყავით. მუდამ გაკვირვებული ვრჩებოდით კვიტკირის სიმტკიცით. ჩაქუჩითაც ძნელი იყო კედლის კიდის მომტვრევა.

და, აი, ახლაც, როცა აქ ავიარეთ, მივედით და გავსინჯეთ, ნაშენის სიმტკიცემ ჩემი ამხანაგებიც განაცვიფრა. ჩაქუჩი არ გვქონდა, მაგრამ მოზრდილი ლოდების ცემით ვერაფერს ვაკლებდით კედლების ნანგრევებიდან გამოჩენილ დუღაბს.

მოხუცებისაგან გამიგონია, რომ ძველად, ციხეების აგების დროს, დუღაბს საგანგებოდ ამზადებდნენ: კირისა და ქვიშის გარდა მასში ჭვავის ფქვილსა და რძეს ურევდნენო. დღემდის შემონახული თქმულების მიხედვით, ნაქალაქევის (ასე ეწოდება ამ ადგილს) ციხე-სიმაგრე დიდი თავდაცვითი მნიშვნელობისა იყო. მის შემოგარენში გაშენებული იყო სოფლები და სიცოცხლე დუღდა. ძაგრაძ ფასის მთის გაღმიდან წამოვიდა ურჯულოთა ჯარი და ლაშხეთის დაპყრობა მოინდომა. ლაშხელებიც მზად დახვდნენ მომხდურს. დიდი ბრძოლა გაიმართა სწორედ ამ ციხე-სიმაგრის მისადგომებთან. ორივე მხრივ მრავალი დაიხოცა. მოკლულთა და დაჭრილთა სისხლი

ზღვად დადგა. ირგვლივ ყველაფერი გავერანდა. და, აი, ამ ადგილს ეღეს ჰქვია ნაქალაქევი. მის ზემოთ მდებარე ჭალას კი ძუღარიში ანუ სისხლის ზღვა, რადგან სწორედ ამ ჭალაში დამდგარა ჭაშინ სისხლის ზღვა.

დღეს ძუღარიშის ლამაზ ჭალაზე საავტომობილო გზა მიდის. ამ გზის ორივე მხარეს ხისა და ქვიტკიროის ახალი შენობებია აგებული, რომლებიც ყორულდაშის წარმოებას ეკუთვნის.

ძუღარიშთან მთავრდება დასახლებული ლამხეთიც. მის ზემოთ ცხენისწყლის ხეობა რამდენიმე ათეულ კილომეტრზე უკაცრიელდება. რადგან ვიწროებში სამოსახლო ადგილები არსად არაა. ხეობა ჰაინც ლამაზი და დიდებულია. ცადაბჯენილ მთათა ფერდობები უდაბური ტყეებითაა შემოსილი. ჩვენი გზაც წიფლის, რცხილის და თელის ხეივნარში მიდის. ზედ ცხენისწყლის ნაპირას მურყნარი ჭარბობს. თუ სადმე ტყისაგან თავისუფალი ადგილი გამოჩნდა, იქ თხილის ბუჩქებს დაუფარავთ მიდამო.

ზოგან ტყით შემოსილი მთის ფერდი ისე გამოჩნდება, რომ ძირიდან წვერამდე შეიძლება თვალის აყოლება. ან დროს ბოტანიკის ელემენტარული კურსის უცოდინარიც ადვილად შეამჩნევს მცენარეთა ზონალურ გავრცელებას. ქვევით შერეული ტყე: წიფელი, რცხილა, იფანი, არყი, ნეკერჩხალი, თელა, ხაძვი, სოჭი, ფიჭვი; შემდეგ — წიწვიანების კორომები; ზევით — ისევ ფოთლოვანი სუბალპური ტყეები, სულ თავში კი მოჩანს ალპური ხალები. ჯერ მხოლოდ შორიდან ვხედავთ ყველაფერს ამას, მაგრამ ხვალ თუ ზეგ ფეხით გავივლით ყველა ზონას და უფრო ახლოს გავეცნობით ყოველ მათგანს.

რაც უფრო ზევით მივდივართ, ცხენისწყალი მით უფრო სწრაფი და შეუპოვარი ხდება, წინა დღეების წვიმით ამღვრეული ტალღები ღრიალით ეხეთქებიან სიპი ქვის უზარმაზარ ლოდებს. ხანდახან მორებს ან ძირფესვიანად ამოგლეჯილ ხეებსაც ჩამოატარებენ. ასეთ ხეებს ჯერ კიდევ მწვანე ვარჯი აქვთ და მცურავ მცენარეთა შთაბეჭდილებას ტოვებენ. ხშირად ჩვენც ვხდებით მცენარეთა ძირფესვიანი მოთხრის მოწმე. განსაკუთრებით მოსახვევებში უხლება ძალუმად ცხენისწყლის ნაკადი კბოდეს, თითქოს სურს გამრუდებული კალაპოტი გაასწოროს.

ამინდი შესანიშნავია და გზაზე ხშირად გვხვდებიან მგზავრე-

ბი. დროდადრო გაისმის ავტომობილის ხმაც. თუ სწა უკანიდან მოვიდა, მიტრიალდები და ავტომობილიც იქვეა. ეს იმიტომ, რომ ცხენისწყლის ხმაურის ფონზე მხოლოდ მოახლოებული მანქანის სიგნალი აღწევს თქვენამდე. ის ავტომობილი, რომელმაც ახლახან შეგაკრთოთ. წინ გაიჭრება. თქვენ ხედავთ, როგორ მიპყვება ის ზევით ციმავალ გზას, კარგად არჩევთ მის ნომერსაც. მაგრამ ხმა უკვე აღარ გესმით. ცხენისწყლის ბობოქარი ტალღები კვლავ ახშობენ მოტორის ხმაურს.

იმ მგზავრთაგან, რომლებიც ჩვენ გვხვდებიან, ზოგი მანქანით მიდი-მოდის, ზოგიც ფეხით და ზოგიც ცხენით. ხშირია საპალნიანი ცხენები და დატვირთული ხარ-ურემი. საზაფხულო საძოვრებიდან ყველს ეზიდებიან საკოლმეურნეო ფერმის მუშაკები.

რამდენიმე თანამგზავრი ჩვენც შემოგვემატა. ზოგი ლაშხელია და ცენაში ან ყორულდაშში მიდის; ზოგიც ცენელი. ყორულდაშელი ან უშგულელია. წინ გრძელი გზა გვიდევს ერთად გასავლელი და ჩვენც ბაასით მივიწევთ წინ.

ჩვენი თანამგზავრებიც კმაყოფილნი არიან დღევანდელი დაღით. მოგზაურისათვის კარგი ამინდი ხომ მართლაც სანატრელია. ამ დროს ბუნების მაჯისცემაც ძლიერდება. ირგვლივ საამოდ ხმაურობენ ფრინველები, ზუზუნებენ მწერები, ადამიანის ფეხის ხმაზე თუ დანახვისას ფრთხებიან ქვა-ღორღებში და კლდეების ნაშალზე კასათბობად გამოფენილი ხვლიკები. დროდადრო ეზის ბახლობლად ბუჩქებიდან ბუჩქში გადაირბენს კურდღელი, ან გზას გადაჭრის ორითინა. ლამაზია ტყეთა სამეფო.

ეს რა არის! — გვეუბნება შუახანს გადაცილებული ვაჟკაცი გიგო. — სილამაზე იქ ნახეთ, საჯიხვე მთებში, მთელი ჯიგი რომ გაირბენს თქვენს თვალწინ. სალ კლდეებზე რომ ისე გარბიან, თითქოს შარაგზაა. ლამაზი ის არის, აბა ეს რაა. ხვლიკების სილამაზე სად გაგონილა!

— თქვენ ალბათ ხშირად გინახავთ ჯიხვების ჯოგი, ძია გიგო, არა? — ვეკითხებით ჩვენ.

ძია გიგოს ეღიმება. ამით გვიდასტურებს. რომ მას ძრავალჯერ უნახავს ჯიხვების ჯოგი. შემდეგ დაწვრილებით გვიყვება ჯიხვებზე ნადირობის წესებს. თურმე ზაფხულში არც ისე რთულია ჯიხვებზე ნადირობა, რადგან ჯიხვები საბალახოდ ზოგჯერ ტყეშიაც კი ჩამო-

დიან და საჯიხვე კლდეებში ასვლა საჭირო აღარაა. ზამთარში კი გაცილებით რთული და საინტერესოა. ოცი ან ოცდაათი ამჩასაგი წინასწარი სამზადისის შემდეგ გასწევს საჯიხვე მთებისკენ. ცხადია, ყველას თხილამურები უკეთია, რადგან უთხილამუროდ თოვლში სიარული შეუძლებელია. სანადირო თხილამურები სპორტულ თხილამურებს არ ჰგავს. მათ თხილის წნელისაგან აკეთებენ. აიღებენ თხილის ნედლ წნელს და ცეცხლის ალზე გაათბობენ, გამურავენ (სახელწოდება „თხილამურიც" შეიძლება აქედან წარმოსდგებოდეს). ამგვარად გამთბარი თხილის წნელი უფრო დრეკადი ხდება და მისგან ელიპსის ფორმის რგოლს შეკრავენ. შემდეგ ამ რგოლს განსაზღვრული წესით მოქსოვენ ბაწრით და თასმით. ფეხზე მისამაგრებელ თასმებსაც გაუკეთებენ და თხილამური მზადაა, ასეთი თხილამურით თოვლში კაცი კანჭს ქვეშით არ იფლობა და სიარული უადვილდება.

სანადირო თხილამურებზე ეროი ლამაზი ლეგენდაა მოქმედებენილი: უხსოვარ დროს ერთი სანადირო ვაჟკაცი მტრებს დაუტყვევებიათ და ციხეში დაუმწყვდევიათ. ზამთარში დიდი თოვლი ჩამოუყრია. გზები, არათუ ზეკარებზე, თვით მეზობლებს შორისაც გადაკეტილა. ტყვის პატრონს უფიქრია — ახლა მაინც ვერსად გაიქცევაო და ტყვე ციხეიდან გამოუშვია. ტყვეს მოწყალებისათვის მადლობა მოუხსენებია და პატრონს საოჯახო საქმიანობაში მიხმარებია. მაგრამ მარტო სინათლეზე ყოფნა არ აკმაყოფილებდა ტყვეს. მას ეული სამშობლოსაკენ მიუწევდა, თავისიანები ენატრებოდა და სულ იმას ფიქრობდა, როგორ დაეღწია ტყვეობისათვის თავი. ბოლოს მოიფიქრა: თხილის ნედლი წნელები აიღო და პატრონის ბავშვებისათვის ვითომ სათამაშოების გაკეთებას შეუდგა. წნელები ალზე გარუჯა, დაარბილა და ფართო რგოლები შეკრა. მერე რგოლები თასმებითა და ბაწრებით გამოხლართა, ფეხებზე მოირგო და ბავშვებს უთხრა: ახლა გაჩვენებთ, როგორ უნდა ითამაშოთო. ტყვემ ფეხზე მირგებული თხილამურებით თოვლში გაიარა და ნახა, რომ მუხლამდისაც არ იფლობოდა. გაუხარდა, რომ მისი ვარაუდი გამართლდა და დაუყოვნებლივ სამშობლოსაკენ გაუდგა გზას. მდინარე ვეღარ დაედევნა გაქცეულ ტყვეს. რადგან იქიდენა თოვლში შეუძლებელი იყო უთხილამუროდ სიარული.

ასე გამოიგონა თხილამური ტყვეობაში ჩავარდნილმა ადამიანმა და ასე დააღწია თავი ტყვეობას მისი წყალობით.

მონადირეთა ჯგუფი ერთი დღის თუ დღენახევრის შემდეგ მიაღწევს საჯიხვე მთის ძირამდე. აქ საგანგებოდ გაკეთებულ კარვებში ღამის გასათევად რჩებიან და მეორე დღისათვის სანადიროდ ემზადებიან.

ზამთარში ჯიხვები სალ კლდეებში არიან შეხიზნულნი. იქ თოვლი ფეხს ვერ იკიდებს და ჯიხვები კლდის ხავსით და მღიერით იკვებებიან. უთენია მონადირეთა ჯგუფი ორად იყოფა. პირველ ჯგუფს მუხლმაგარი და უფრო გამოცდილი მონადირეები შეადგენენ. ისინი საჯიხვე კლდეებს თავზე უნდა მოექცნენ, აქ გამავალი ქაშნები დაიკავონ, ჩაუსაფრდნენ და ჯიხვების გამოჩენას დაელოდონ.

მეორე ჯგუფის ამოცანა შედარებით მარტივია. ისინი მიდიან მთის ძირებში და მხოლოდ ცოტაზე აჰყვებიან ფერდობს. როცა შეატყობენ, რომ წინ წასულმა ამხანაგებმა დანიშნულ ადგილს მიაღწიეს, ასტეხენ თოფის სროლას და ხმაურს. ეს ხმაური აფრთხობს კლდეებში შეხიზნულ ჯიხვებს; ისინი თავის საშველად ან ერთად გარბიან ან სხვადასხვა მიმართულებით. დამფრთხალ ნადირს ქაშნებზე ჩასაფრებული მონადირეები უხვდებიან და ხოცავენ. ვინც არ უნდა მოკლას, ნანადირევის ხორცი ყველას თანაბრად ეკუთვნის. მკვლელს ზედმეტად მხოლოდ ჯიხვის თავი და რქები მიაქვს.

საუბარში გართულმა შეუმჩნეველად გავიარეთ საკმაოდ დიდი მანძილი. მალე მდინარეთა შესაყარს ვუწიეთ. აქ ერთდება ორი მდინარე და მათი ხეობებიც. წუბივით წაწვეტებული ნახევარკუნძული თანდათანობით ფართოვდება და მის შუაში ქედი იწყება, რომელიც ფიჭვნარ-ნაძვნარითაა დაფარული.

ორი მდინარიდან, რომლებიც აქ ერთდებიან, ერთი ცენისწყალია, ხოლო მეორე — ხიდრული. ისინი ტყუპ ძმებს ჰგვანან სიდიდითაც და ფერითაც. ახლაც ორივე თანაბრად მღვრიე მოედინება. თანაბრად ლამაზია ცენისწყალისა და ხიდრულას ხეობებიც. დღემდე მხოლოდ ხიდრულას ხეობას ვიცნობდი. ცენისწყლის ხეობაში კი წყალშესაყარს ზევით არ ავყოლივარ.

მდინარე ხიდრულას სათავეებიან, ფასის მთის, შავების და ხუდანის ძირს გაშლილია ლაფურის ფართო და ლამაზი მინდვრები. სახელწოდება „ლაფური“ სიტყვა ფური-დან წარმოსდგება და სა-

ფურე ჰიდამოეპს ნიშნავს. იქაური მთების მდიდარი სათიბ-საძოვრები, ჩანს, ძველთაგანვე მეწველი ნახირის საკვებად გამოიყენებოდა. ყველაზე ფართო მინდორს მათ შორის დედოფლის მინდორი ჰქვია. ლაფურში ძველად სოფლები ყოფილა. ამას ქართული ეკლესიის ნანგრევებისა და ნასოფლარების გარდა, ისტორიული ცნობებიც ადასტურებს. მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს სვანეთმა სისხლის საზღაური („წორი") გადაუხადა რაჭის თავად ჯაფარიძეს. გადასახადის სიაში სხვათა შორის აღნიშნულია ლაფურის სოფელიც თავისი ეკლესიებით. სასისხლო საქმის წიგნში შემდეგს ვკითხულობთ:

„... ამას გარეთ მოგეცით ოსეთის პირად მთიულეთს ხიდურას ოცი გლეხი, ერთი კარგი ციხე, ორი მონასტერი: ერთი დიდი გუმბათიანი მთავარანგელოზთ მონასტერი ორით დიდით ოქროს ხატითა, ოცდათვრამეტითა სხუა დიდით ხატითა, თორმეტით ოქროისა და ვერცხლის კანდლითა, მისით სამონასტრო წიგნებითა, — დიდით გულანითა, ითხთავითა, სამოციქულოითა, საწინასწარმეტყველოითა, მარხუანითა, მეტაფრასითა, დავითნითა, დავითის თარგმანითა, ენქეროსნით, წინამძღურითა; მეორე წმინდის გიორგის დიდი სიონის მონასტერი, ოცდათორმეტით ჯუარ-ხატითა და რაც სამონასტრო წიგნი არს მით სრულიად გათავებული, და საბატონო დეკანოზი; წინამძღუარს ოცი კუამლი კაცი და დეკანოზს რვა კუამლი კაცი.

ამის გარეთ იქივე ხიდურას ერთი აზნაური-შვილი სოსაგიძე მისითა ციხითა, თორმეტი კუამლი კაცითა".

ამ ცნობიდან ჩანს, რომ მდინარე ხიდურას პირას ლაფურში წინათ სოფლები ყოფილა თავისი მონასტრებით. მონასტრებს ბევრი ჰქონიათ მოოქრული და მოვერცხლილი ჯვარ-ხატები, საეკლესიო წიგნები, მათ შორის ოთხთავის თარგმანები.

სახლების ნაშთები დღეს მინდორში ამობურცული ადგილების სახითლაა დარჩენილი. დროთა განმავლობაში მათ მიწა გადაფარვია და ზედ ბალახს მოუკიდებია ფეხი. ახლა ამ მინდვრებში საკოლმეურნეო ნახირი სძოვს.

სამანქანო გზა ცენისწყლის ხეობას მიჰყვება. ხიდრულის ხეობაში ლაფურისკენ მხოლოდ საურმე გზა მიდის; მთელ გზაზე უდაბური ტყეა. ჩვენი მარშრუტის სქემაში ხიდრულის ხეობა და

ლაფური გაბზეა დარჩენილი. ამიტომ ლაფურის სამარხილე გზას ველერდზე ვტოვებთ და ახლა ცენისწყლის ხეობაში განვაგრძობთ სვლას. შარაგზა ცენისწყლის მარჯვენა მხარეს მიემართება, უმეტესად სალ კლდეებზეა გაყვანილი და მდინარეს დიდზე არსად სცილდება.

ცენისწყლის ხეობაც მთლიანად ტყითაა შემოსილი, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც გვხვდება ბუჩქოვანი და ბალახოვანი ადგილები. ბუჩქებში მაყვალი და ჟოლო ჭარბობს. ჟოლო დამწიფებულა და ხშირად თვალი გერჩება წითლად აფერადებულ ფერდობებზე. ზოგან გზიდან გადავდივართ და პირს ვიტკბარუნებთ.

გზადაგზა შეუმჩნეველად იცვლება ბუნების სურათი. პირველი. რაც ყველაზე ცხადად ვიგრძენით, ეს იყო ჟოლოს გამოლევა. ბარდები კი გვხვდება, მაგრამ ნაყოფი დაუმწიფებელია. უკვე მზეც დასავლეთისაკენ გადაიხარა და სიგრილემ იმატა. გზა ისევ ცენისწყლის პირს მიჰყვება, მაგრამ ფაქტიურად უკვე ტყის ზედა ზოლში ვართ. გზიდან სულ ახლოს ჩანს სუბალპები და ალპები. იქა-აქ ნახირიც სძოვს. რომელიღაც ჩვენმა თანამგზავრთაგანმა ფერდობზე სირბილით მიმავალ დათვს მოჰკრა თვალი და ყველა იქით მიგვახედა. ხტუნვა-ხტუნვით მირბოდა ნადირი. იქვე შორიახლოს ნახირი ჩანდა და ალბათ სუნი თუ იზიდავდა. ჯერ განზე გარბოდა დათვი, შემდეგ ქვევით დაუხვია და ტყეს შეერია. ჩანს, ნახირზე თავდასხმა არც ისე ადვილად მოეჩვენა, თანაც იმ მხრიდან მწყემსების ხმაურიც მოდიოდა. ძია გიგომ თოფი ინატრა;— ამ დათვის მოკვლა სულ ადვილი საქმეაო,— თქვა მან. თან ჩიოდა, დათვს დიდი ზიანის მოტანა შეუძლიაო.

— ნახირს ემტერება,—ამბობდა ის,—ამიტომ სულ იქით იწევს, სადაც ნახირი სძოვს ხოლმე. ზაფხულში მთაშია, შემოდგომით კი, ნახირს სახლში რომ ჩამოვდენით, დათვიც ქვევით იწევს და სიმინდის ყანებს დაერევა. თვენახევარი ან ორი თვე უნდა უყარაულოს კაცმა ყანას. ეს კი არც ისე ადვილი საქმეა. ყოველ ნაკვეთს ცალკე ყარაული სჭირდება. თუ ყანა დიდია, მაშინ მის ყოველ კუთხეში საყარაულო კარვების დადგმა ვვიხდება. მთელი ღამე უნდა იფხიზლოს ადამიანმა. კარაულში ცეცხლი არ უნდა ჩაქრეს, თორემ დათვი სწორედ მაშინ შემოიპარება და რამდენიმე წუთში მთელ სიმინდს გათელავს. ჭამით ხომ ბევრს ჭამს ჭყინტ ტარიებს, მაგრამ გაფუჭე-

ბით უფრო მეტს აფუჭებს. დათვის გათელილი ყანა აღარაფრად ვარგა.

ლამაზად ყვება ძია გიგო ყველაფერ ამას და ჩვენ გულისყურით ვუსმენთ, თუმცა მისი მონაყოლი ჩემთვის ახალი ამბავი არ არის. ასეთი რამ არათუ გამიგონია, თვითონაც მრავალი ღამე გამითევია კარავში.

დათვისაგან სიმინდის დაცვა და საამისოდ მომზადება არცთუ ისე უხალისო საქმეა. ყოველ შემთხვევაში მე და ჩემი სიყრმის ბეგობარი შალვა სიმინდის დაცვის დაწყებას ყოველ წელიწადს ხალისით მოველოდით. როგორც კი ტაროები ულვაშებს დაისხამდნენ, მე და შალვა ბრიგადირს შევუთანხმდებოდით და სოფლიდან ყველაზე დაშორებული სიმინდის ყანებისაკენ კარვების დასადგმელად წავიდოდით. ორი ან სამი დღის მუშაობის შემდეგ ორი კარავი მზად გვქონდა. ამის შემდეგ გაივლიდა ერთი კვირა და კარავში ღამითევის დროც დგებოდა.

სიმინდის მცველის მარჯვენა ხელია კარგი ძაღლი. კარგი ძაღლის პატრონს შეუძლია ღამის ნაწილი მაინც მშვიდად იძინოს. ძაღლი დათვის მოახლოებას გებულობს და ყეფას სტეხს. თუ თამაში, დაუპატიჟებელ სტუმარს კიდეც მივარდება და ყანიდან გააგდებს. ცხადია, ძაღლის ყეფაზე მცველიც ღვიძებს, დათვს შესაშინებლად ცეცხლს აღვივებს და ყვირილს იწყებს.

ყანის მცველს განსაკუთრებით ტკბილად გაახსენდება დილა. პირველი, რაც ამ დროს იგრძნობა, ეს არის ანცი სიო. თქვენ გესმით ირგვლივ ამტყდარი ფოთლების შარიშური. განსაკუთრებით ხმამაღლა ხმაურობენ კარვის კედლებზე შემხმარი ფოთლები. საბნის ქვეშ თბილად წევხართ, მაგრამ როგორც კი იქიდან გამოძვრებით, მაშინვე ჟრჟოლა აგიტანთ. დილის სიოს სიგრილე მოაქვს. თუ ცეცხლი მთლიანად არ ჩამქრალა, მაშინ შეშას დაამატებთ და გააღვივებთ. მაგრამ თუ დიდხანს გეძინათ და ცეცხლს არათუ ფერფლი გადაეფარა, არამედ ჩაქრა კიდეც, მაშინ ხელახლა დანთებას ნუ შეუდგებით: სჯობს მაშინვე წამოხტეთ და ყანის პირას ირბინოთ, რა გინდ მოთენთილი არ იყოთ ძილნაკლულობისაგან, სირბილი და სუფთა ჰაერი მალე კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, თავს ჩიტივით იგრძნობთ.

ბუნება და მისი მრავალფეროვანი სურათები სიმინდის მცვე-



სიმინდის გასახმობი ნალია

ლისთვის ჩვეულებრივი სანახაობანია. მაგრამ დილას მაინც სულ სხვაა ყველაფერი. აი, იწყება ალიონი, მთელი ღამის ღვიძილის შემდეგ ამ ალიონზე ძაღლსაც ჩასძინებია. მხოლოდ ანცი სიო ხმაურობს. შემდეგ სინათლე თანდათანობით მატულობს. ღამის ბინდი ქურდულად მიიპარება ტყის სილრმეში. ჭიკჭიკსა და გალობას იწყებენ ფრინველები. აღმოსავლეთიო მთის ოავზე ლრუბლები თანდათანობით წითლდებიან. იღვიძებენ კარვების ბინადარნიც და ერთძანეთს მაღალი ხმით გასძახიან. ხმაურზე ძაღლებიც წამოიშლებიან და ყანებში ბილიკებზე დარბიან. თუ თვითონ არ გაყავს ძაღლი, დილით სხვისი ძაღლი მაინც მოგაკითხავს. მალე მზის სხივები მთათა წვერებს ააელვარებენ. შენც კარავს ტოვებ და შინისაკენ მიემართები. ნამიან ბალახზე ფეხები და შარვლის ქვედა კიდეები გისველდება, მაგრამ ეს ანრაფერი, გამოცდილი გაქვს, რომ დილის ნამით ფეხების დასველება ჯანმრთელობისათვის საზიანო არ არის. ჩქარი ნაბიჯით მიდიხარ ყანაში. ყანის პოლოს, ბილიკია შესაყარზე, ამხანაგი გელოდება, ან შენ უნდა მოუცადო შეგვიანებულს. შემდეგ ამხანაგებთან ერთად ბაასით განაგრძობ გზას. გზაზე სადმე ჭდინარეც შეგხვდებათ და ხელ-პირს დაიბანთ. ცივი წყალი მოდუნებულობის ნატამალსაც აქრობს და სოფელში ხალისიანად შედიხართ. როგორ გინდოდათ უფრო ადრე მოსულიყავით, მაგრამ მზემ მაინც დაგასწროთ. სოფელი დილის მზის სხივებშია გახვეული. მაგონდებოდა ეს სურათები და მეტი ხალისით მივიწევდი წინ.

აი, ზესხურასაც ვუწიეთ. აქ უერთდება ცენისწყალს ჭდინარე ზესხურა, ამ ხეობაში მდებარეობს სოფელი ზესხო. კოლმეურნეთა ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობაა. უხვად მოჰყავთ კარტოფილი და ქერი. ორიოდე ათეული წლის წინ ამ ადგილას მხოლოდ ნასოფლარი იყო. ეამმა თუ შემოსეულმა მტერმა ძველი ზესხოს მცხოვრებნი მოსრა და იქაურობა გავერანდა. ახლა იქ ისევ სოფელია და ცხოვრება ჩქეფს. თვითონ წყალშესაერთთან რამდენიმე ახალი ტიპის სახლი დგას. ირგვლივ ქერი და კარტოფილი თესია. საძოვარ ფერდობებს ნახირი შესევია.



ამ მთებში იბადება მდინარე ,,ენისწყალი.

დღეს უკვე კარგა ბლომად ვიარეთ, მაგრამ დაღლას არავინ უჩივის. სუფთა ჰაერი, ლამაზი ბუნება და შესანიშნავი განწყობილება დაღლილობას გვავიწყებს, გზას ბეჯითად განვაგრძობთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, შებინდებამდე ყორულდაში უნდა ავიდეთ.

* *

ყორულდაში მართლაც შებინდებამდე ავედით. ნათელი საღამო იყო. მუშათა უბანში სიცოცხლე დუღდა. საერთო საცხოვრებელთა ეზოებში ბავშვები დარბოდნენ და თამაშობდნენ. აქა-იქ მუშები შეჯგუფებულიყვნენ და ღარბაისლურად ბაასობდნენ. ზოგიც სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს ბავშვების მხიარულ თამაშს. ზევიდან ახალგაზრდების სიმღერის ხმა მოდიოდა.

ამ ადგილის სახელწოდება „ყორილდაში“ ანუ „ყორულდაში“ სვანურ სიტყვა „ყორ“-იდან წარმოსდგება, რაც თავისთავად „კარს“ ნიშნავს, ყორულდაში კი — კარის მიდამოებს. წურუნგალას მარცხნივ მოყავისფრო კლდეებია ამართული. ერთ ადგილას ამ კლდიდან წამოზრდილი ორი დიდი ქიმი კარის მსგავს სივრცეს ფარგლავს. ძველთაგანვე ამ ადგილს ნადირობის ქალღმერთ დალის კარი ეწოდებოდა. ხალხის წარმოდგენით ნადირობის ქალღმერთი ყოველ დილას ამ კარით გადმოხედავდა ქვევით ცენისწყლის ჭალებს. ამ კარიდანვე ადევნებდა ის თვალყურს მახლობელ მიდამოებში საძოერად გასულ ჯიხვთა ჯოგებს. სწორედ ამ კართანაა დაკავშირებული ყორულდაშის სახელწოდებაც.

ყორულდაში მემაღაროელთა უბანია. მაღაროები წურუნგალას და აილამას შუამკერდზე იწყება. წურუნგალა 4.222 მეტრის სიმაღლის მწვერვალია, ხოლო აილამა 4.523 მეტრისა. ისე რომ, აქ მაღაროებში მუშებად მხოლოდ გულმაგარი და კუნთმაგარი ვაჟკაცები გამოდგებიან. სწორედ ასეთები არიან ყორულდაშელი მემაღაროენი.

დიდებული სანახავია წურუნგალას და აილამას მწვერვალები დარიან საღამოს. მხარგანიერ ტყუპ ძმებივით დგანან ერთად. ერომანეთისავან ლამაზი უნაგირი ჰყოფს. ამ უნაგირიდან ქვევით დიდი მყინვარი ეშვება. მყინვარის ძირში ცენისწყლის მთავარი ტოტის სათავე ჩანს. დანარჩენი, უფრო წვრილი ტოტებიც მყინვართა ძირე-

ბიდან მოედინებიან. აქ იბადება ცენისწყალი! აქ მთავრდება ცენის-წყლის ლამაზი და ტყემრავალი ხეობა. ყორულდაშიდან ხვალ დილას ლასდილზე გადავლით ენგურის ხეობაში გადავალთ, ენახავთ ენგურის სათავეებსაც. მაგრამ ეს ხვალ იქნება. ახლა კი ჩვენი პირველი საზრუნავი ღამის გასათევი ბინის შოვნაა.

დასახლების თავში ავედით. იქ ერთი განცალკევებული ხის სახლი დგას, საშუალო ზომისა, ორსართულიანი. ეს, ასე ეთქვაც, ყორულდაშის მთავარი სასტუმროს ფილიალია, რომელსაც, ჩვეულებრივად, ჩვენისთანა სტუმრებისთვის იყენებენ. ბინა მოგვეწონა. დიდ ოთახში სწორედ ცხრა საწოლი იდგა რბილი ლოგინებით, ხელუხლებელი თეთრეულით. ბარგი დავალაგეთ და ტანისამოსი გამოვიცვალეთ. ქალები ვახშმის სამზადისს შეუდგნენ. ვაჟკაცებმა ტაგნებს დავტაცეთ ხელი და წყლის მოსატანად ღელეზე გავიქეცით.

უკვე ბინდი იწვა. ყორულდაშის დასახლებული უბნის ცენტრში მოედნის მსგავსი თავისუფალი ადგილია. აქ ახალგაზრდებს მოეყარათ თავი. ღამის ბინდს ელექტრონის შუქი ფანტავდა. მოედნის შუაში ცეკვა-თამაში გაემართათ. ხალხის უმეტესი ნაწილიც აქ შეყრილიყო. განაპირა ადგილებში კი პატარ-პატარა ჯგუფები იდგნენ. ზოგი ოხუნჯობდა, ხოლო ზოგსაც საქმიანი საუბარი გაემართა.

წყალი მოვიტანეთ და მალე ქალიშვილები სუფრის გაშლას შეუდგნენ. მაგიდად ვრძელი სკამი გამოვიყენეთ და სუფრა ვაკაშალეთ.

ის იყო სუფრა ავალაგეთ და ჩვენი ოთახის კარიც ვაიღო. ზღურბლზე შუახნის კაცი შემოდგა. როცა დაგვიხახა, პირველად შეცბა, მაგრამ მაინც არ დაიბნა. მოგვესალმა და ოთახში შემოაბიჯა. ჩვენც მივიპატიჟეთ, სკამი მივართვით. თურმე ცოლ-შვილით ამავე სახლის ზედა სართულში ცხოვრობს. სამუშაოდან ბრუნდებოდა, ხმაური შემოესმა და იფიქრა „ტურისტები იქნებიან, ეკების ჩემი მხრიდანაც იყოს ვინმეო". ვორონეჟის ოლქიდან ყოფილა. შესამე წელიწადია ყორულდაშში მუშაობს. ამჟამად ბულდოზერზეა და სამანქანო გზას წმენდს. ცენიდან ყორულდაშისკენ შუაგზაზე ის ბულდოზერი ჩვენც შევნიშნეთ. საავტომობილო გზიდან დაცილებულ მოკლე ბილიკზე მივდიოდით და იქიდან დავინახეთ.

ვასილი ყორულდაშში თავს მასპინძლად გრძნობს. ხომ არაფერი

ეჭირდებათო, მზადაა დაკეცხლაროს. შემდეგ სულმოერად იხდის ბოდიშს, რომ შეგვაწუხა (ცხადია, ჩვენ მას არ შევუწუხებივართ), მშვიდ ძილს გვისურვებს და ბიდის.

დაღლილობას და ძილს მალე თავისი გააქვს. ყველა ლოგინებში ვეხვევით. ხვალ დილაადრიან გზა უნდა განვაგრძოთ.

ლასდილის ზეკარზე

ნისლი ფიქრია მთებისა,
იმათ კაცობის გვიოგვინი.

ე ა ბ ა

დილას ყველაზე გვიან მე გამომეღვიძა. აივანზე უკვე საუზმის საზადისი გაეჩაღებინათ. ყორულდაშს სქელი ნისლი დასწოლოდა. ავსანაგები ამინდით უკმაყოფილონი იყვნენ. მე კი ნისლის დანახვა მესიამოვნა და ხელ-პირის დასაბანად ცენისწყალზე წავედი.

ნისლის სქელ საბანქვეშ მოთქრიალებდა აქაფებული ცენისწყალი. წყალი ყინულივით ცივი, ანკარა და გემრიელი იყო. პირისბანა ჯერ არ დამემთავრებინა, როცა ნისლმა შეთხელება იწყო და ბალე შიგ ახლადამოსული მზის სხივებმაც გამოატანეს. მწვერვალებიც გამოჩნდნენ. მყინვარებიდან მზის სხივები ლურჯად ირეკლებოდნენ და ტენით გაჟღენთილ ჰაერში ათასფრად ტყდებოდნენ. ამბანაგები ჩვენი სასტუმროს ეზოში დამხვდნენ. ყველას ფოტოაპარატი მოემარჯვებინა და ღრუბლებიდან ახლად გამოჩენილ მწვერვალებს იღებდნენ. ვისაუზმეთ, ავიბარგეთ და გზას გავუდექით ლასდილის ზეკარისაკენ.

ყორულდაშიდან უშგულში გადასავლელ მთას ადგილობრივად „ლასდილის ზაგარს" ეძახიან. ლიტერატურაში კი ხშირად მას „ლასდილი უღელტეხილის" სახელით მოიხსენიებენ. საქმე იმაშია, რომ სვანური სიტყვა „ზაგარი" ანუ „ზეგარი" თავისთავად უღელტეხილს, გადასასვლელს ნიშნავს. ყველა გადასასვლელს, ეს იქნებაჯვარის, ლასდილის თუ სხვა, ადგილობრივად „ზაგარს" უწოდებენ. ამდენად ლასდილის ზაგარი თავისთავად ნიშნავს ლასდილის უღელტეხილს.

თვით სიტყვა „ზაგარი" ანუ „ზეგარი", ჩანს, ქართულ სიტყვა

„ზეკარი“-დან მომდინარეობს, უღელტეხილის ნამდვილი ქართული სახელი ზეკარი უნდა იყოს. ამაზე სხვათა შორის მიუთითებს ისიც, რომ სამხრეთ საქართველოში რამდენიმე გადასასვლელს ღელსაც ზეკარი ჰქვია. სიტყვა უღელტეხილი შემდეგში ხელოვნურად შექმნილი და ლიტერატურაში შემოტანილი სიტყვა ჩანს რუსული „перевал“-ის შესატყვისად. შემდეგში ეს ხელოვნურად შექმნილი სიტყვა ეტყობა ისე გავრცელდა, რომ „ზეკარი“ თითქმის დავიწყებას მიეცა. „ზაგარი“ ანუ „ზეგარი“ რომ ქართული სიტყვიდან „ზეკარიდან“ მოდინარეობს, რაც თავისთავად შემდეგში ხელოვნურად შექმნილი ტერმინის „უღელტეხილის“ ნამდვილი ქართული შესატყვისი უნდა იყოს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ „უღელტეხილს“ სვანურად „თანალსაკ“ უწოდებენ. როგორც ჩანს, სიტყვა „თანალ“ ყველაზე ძველი და ნამდვილი სვანურია, ხოლო „ზეგარი“ ანუ „ზაგარი“ „თანალის“ სინონიმად შემდეგში გაჩნდა ქართული სიტყვა „ზეკარიდან“.

ისეა თუ ასეა, მე ასე ვუხსნი ჩემს ამხანაგებს, როცა ისინი „ლასდილ ზაგარის“ მნიშვნელობით ინტერესდებიან. იქნებ ეს უხეში შეცდომაა, მაგრამ ტურისტის ფანტაზიას ბევრი რამ ეპატიება.

ლასდილის ზეკარზე არც ერთ ჩვენთაგანს არ ევლო, მაგრამ გზის აცდენის მაინც არ გვეშინოდა. სხვა თუ არაფერი, სამანქანო გზას დაადგები და ისე ჩახვალ უშგულში. მაგრამ სამანქანო გზა ორ-სამჯერ გრძელია საცალფეხო გზაზე და ამიტომ ჩვენ ისევ ბილიკ-ბილიკ სიარული გადავწყვიტეთ. ყორულდაშიდან პირველად მაინც სამანქანო გზით უნდა გვეცლო, რადგან ის ამ ადგილებში ძველ ნაბილიკარს მიჰყვება. ყორულდაშში ნაცნობებმა გაგაფრთხილეს—ბილიკი ხშირად სამანქანო გზაზე გაგიყვანთო, მაგრამ საცა კი სამანქანო გზიდან გამავალი ბილიკი დაინახოთ, მაშინვე იქით გადაუხვიეთო, ჩვენ ეს რჩევა კარგად გვახსოვდა და ახლა სამანქანო გზით მიმავალნი ყურადღებით ვათვალიერებდით ბილიკზე ვადასახვევ ადგილს.

ცამ თანდათანობით გახსნა შეკრული შუბლი. ღრუბელი გატყდა, დაიმსხვრა და ნაფლეთ-ნაფლეთ მიმოიფანტა იქით-აქეთ. წურუნგალას და აილამას მკერდი მზით გაბდღიალდა. გამოჩნდნენ მარადი მყინვარები. თეთრი და ლურჯი ფერები ერთმანეთს ეჯიბო�dნენ მათ ზედაპირზე. ბაღლა კი ისევ დახეტიალობდნენ ღრუბელთა

პატარ-პატარა ფარები. ხან წურუხგალეს შემოეხვეოდნენ ისინი და ხან აილამას.

ცენისწყალი სადღაც დაბლა იყო. ჩამონაზვავები ჯერ კიდევ არ გამდნარიყო და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ცენისწყლის სათავე აილამას ძირშივე იწყებაო. უზარმაზარი ჩამონაზვავის დაღრეჩილი პირიდან მოსჩქეფს ანკარა ტალღები.

შარაგზიდან გადასახვევი ბილიკიც მალე გამოჩნდა. ბილიკზე გადავედით თუ არა, ერთბაშად ყვავილების ზღვაში აღმოვჩნდით. ათასნაირი ფერია ერთმანეთში არეული. ბილიკი ხან სათიბების მაღალ ბალახებში და ყვავილებში მიდის, ხანაც სუბალპების მეჩხერ ტყეს შეერევა. ტყეში უმეტესად არყი და ცირცელი გვხვდება. ისინი ბილიკზე უმნიშვნელო ჩრდილს ჰფენენ, მაგრამ ეს ჩრდილიც დიდი რამაა, რადგან მზე ოანდათანობით მაღლა იწევს და ამის გამო ზურგჩანთა უფრო მძიმდება.

ორი საათის სიარულის შემდეგ აღმართი ერთბაშად გათავდა. ჯერ კიდევ ფერდზე მიმავალთ მოგვეჩვენა, რომ 150 — 200 მეტრის შემდეგ უკვე სერზე ვიქნებოდით. პირველად მეც დავეთანხმე ამხანაგებს, რომ იქ სერი იყო, მაგრამ მაშინვე ერთმა ვარიმოებამ დამაფიქრა: შეუძლებელია ლასდილის ზეკარი ალპების დონეს ვერ უწევდეს. ჩემი ეჭვი ამხანაგებს გავუზიარე. მაგრამ ზოგმა ჩემს ნათქვამს ყურიც არ ათხოვა, ხოლო ვინც მომისმინა, მათაც ჩემი „ბოტანიკოსობა“ სიცილად არ ეყოთ.

სიმართლე კი სულ მალე გაირკვა. ავივაკეთ თუ არა, ჩვენს წინ გადაიშალა დიდი ტაფობი სათიბ-საძოვრებით. აქედან ხელმარცხნივ ფერდობი იწყებოდა და ზედ კლაკვნით მიმავალი სამანქანო გზა გასდევდა.

მალე მოზრდილ ღელეს მივადექით. წყალი გვწყუროდა და შევისვენეთ. ანკარა ცივ წყალს ფინჯნებიდან ყლუპობით ვსვამდით, რადგან წყალი ყინულივით ცივი იყო. და არც იყო გასაკვირი — ღელე, რომლის პირასაც ჩვენ ჩამოვსხედით, იქვე ჩვენს თვალწინ გამოდიოდა თოვლის ჩამონაზვავის ქვეშიდან. მართალია, ჯერ კიდევ ზაფხულის ერთი თვე წინ იყო თავისი მცხუნვარე ეზით, მაგრამ ჩანდა, თოვლის ჩამონაზვავს მთლიანად ვერ გაადნობდა.

ხიდზე გავედით თუ არა, მაშინვე მივხვდით, რომ მოკლე გზას ავცდით. სამანქანო გზით სიარული კი ჩვენ ხელს არ მოგვცემდა.



ფილა მთებში.

ამიტომ შევდექით. მე ბორცვზე ავირბინე და იქაურობა მოვათვალიერე. ჩემს წინ, ტაფობს იქით, ამართული იყო მაღალი და ლამაზი მთა, რომლის ფერდობს მიხვეულ-მოხვეულად მიჰყვება სამანქანო გზა. ქვევით ამ მთის ფერდობს ჩამოსდევს ქედი. სწორედ ამ ქედის ხერხემალს მიჰყვება ზევით ის ბილიკი, რომელზეც ჩვენ უნდა გვეველო. გადავწყვიტეთ ტაფობი ირიბად გადაგვეჭრა და ქედზე მიმავალ ბილიკზე გადავსულიყავით.

ოღრო-ჩოღრო ტაფობში გზა არ იყო, მაგრამ წიხ მაინც ადვილად მივიწევდით. აქ ერთმა ახალმა მცენარემ მიიქცია ჩემი ამხანაგების ყურადღება. ეს იყო დიყი. ყველანი გავაფრთხილე, რომ დიყის ფოთლებისა და ღეროსთვის წარამარა ხელი არ მოეკიდათ. საქმე ისაა, რომ დიყის წვენი თუ სადმე მოგხვდათ, გარდა ხელის გულისა, რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ადგილებზე ბებერები დაგაჯდებათ. ეს ბებერები წყლისმაგვარი სითხითაა გავსებული და საკმაოდ მტკივნეული არიან. განსაკუთრებით ცუდია, თუ ბებერები დასკდნენ, წყლული დიდხანს არ რჩება.

რაკი სიტყვა დიყის ავ თვისებებზე ჩამოვარდა, აქვე აღვნიშნავ მის ცოტად თუ ბევრად კეთილ თვისებებსაც. მთის მცხოვრებნი დიყის ერთ სახეს ხილად იყენებენ. დიყის წვნიან ღეროებს კანს აცლიან და ნედლად ჭამენ. მე არასოდეს მიჭამია, მაგრამ სხვისაგან გამიგონია, რომ გემრიელია; თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვი, დიყის ჭაბის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო.

ჩემი ამხანაგები გაფრთხილების შემდეგ ზედმეტად ერიდებიან დიყს. დაინახავენ თუ არა მის ფართოფოთლებიან ბუჩქს, მაშინვე შორიდან უვლიან და უკვირთ, მე რომ თამამად გადავეშვები ხოლმე დიყნარში. დიყი გემოთი დუცსა ჰგავს. დუცი კი პოპულარული მცენარეა მთის ხალხში. ტაფობში დუციც გვხვდება და მე მას თამამად ვწყვეტ, ჩემს ამხანაგებს კი დუცისაც ეშინიათ, რადგან მისი ფოთლები გარეგნულად დიყის ფოთლებს ჰგავს.

დუცს, როგორც ამბობენ, სამკურნალო თვისებებიც გააჩნია. შემორჩენილია ასეთი თქმულება: ორი ამხანაგი წავიდა მთაში სათიბად. დილას ადრე დაიწყეს მუშაობა. როცა მზემ დააცხუნა, დაისვენეს, ბალახზე წამოწვნენ და ჩაეძინათ. გამოეღვიძა ერთ-ერთ ამხანაგს და რას ხედავს, მძინარე ამხანაგს პირი ნახევრად გაეღო და შიგ გველი მიუძვრებოდა. ისე შეშინდა, ენა ჩაუვარდა

და ხელი ვერ გაანძრია. სანამ შიშს თავს დააღწევდა და გამოერკვეოდა, გველიც მიიმალა მძინარის პირში. მძინარემ ცოტა ხნის შემდეგ თავისით გაიღვიძა. მაშინვე მუცლის ტკივილებს დაუწყო ჩივილი. ამხანაგმა იცოდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ ხმას არ იღებდა, არ უმხელდა. იმაზე ფიქრობდა, როგორ ეშველა ამხანაგისათვის. ბოლოს მოაგონდა. საღამოსთვის შინ წამოსაღებად დუცი ჰქონდათ შეგროვილი. მოდი, აბა ვინ მეტს შესჭამსო და თანაც ნიძლავი დადო: თუ შენ მაჯობებ, ჩემი სანადირო თოფი დამითმია, მაგრამ, თუ მე გაჯობე, შენი ქამარ-ხანჯალი ჩემი იყოსო. გველგადაყლაპულს ამხანაგის თოფი ძალიან მოსწონდა. დაიწყეს ჭამა. როცა შეჯიბრის მოთავემ შეატყო, რომ უკვე საკმარისი იყო, დუცის ჭამა შეწყვიტა და სანაძლეო წამიგიაო, აიღო და თავისი სანადირო თოფი ამხანაგს გადაულოცა.

ცოტა ხნის შემდეგ გველგადაყლაპულს გულისრევა დაეწყო და გველის ნაკუწ-ნაკუწად ქცეული სხეულიც თან ამოაყოლა. როცა ავადმყოფმა ეს დაინახა, მიხვდა რაშიც იყო საქმე. თოფი მაშინვე პატრონს დაუბრუნა და სიკვდილამდე მისი ერთგული და მადლიერი დარჩა.

ცხადია, დუცს სინამდვილეში ასეთი სასწაულების მოხდენა არ შეუძლია, მაგრამ თქმულებას მაინც რაღაც საფუძველი უნდა ჰქონდეს. მუცლის ტკივილების დროს სოფელში ხშირად ურჩევენ ხოლმე დუცის ჭამას. ჩანს, დუცი მონელების პროცესს ხელს უწყობს. მთაში წასული ბავშვები რამდენსაც მეტს ვჭამდით დუცს, იმდენად უფრო მოგვშივდებოდა ხოლმე. იქნებ ეს თვისებაა სწორედ ზემოთგადმოცემული თქმულების შექმნის საფუძველი.

ასე იყო თუ ისე, დიყმა მეტისმეტად დააფრთხო ჩემი ამხანაგები.

მაგრამ მალე დიყზე უფრო სხვამ შეგვაწუხა. ეს იყო რომელიღაც სახეობის ბუზი, ოთახის ბუზზე უფრო მოზრდილი და უფრო მონაცრისფრო. ამ ბუზს ადგილობრივად ღეზოს ეძახიან. მისი ნაკბენი ფრიად არასასიამოვნოა. გიკბენთ თუ არა, მაშინვე იწყება მოუთმენელი ქავილი, კანი შეშუპდება და ჩნდება პატარა წყლული. საბედნიეროდ, ღეზოს ნაკბენი მალე ქრება, თორემ უშგულში ყველა დაიარებულ-დაწყლულებული ჩავიდოდით.

ლასდილის ტაფობის გავლისას ღეზოები არ გვეშვებოდნენ. მათ მხოლოდ დეკიანებთან გაგვანებეს თავი.

ჩემმა ამხანაგებმა ღეზოც პირველად ნახეს. მე კი მას ბავშვობიდანვე ვიცნობდი. როცა ტოლებთან ერთად ნახირს ვმწყემსავდით, ბიჭები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ხოლმე ღეზოების გაწყვეტაში, რადგან მზიან დღეებში ისინი მოსვენებას არ გვაძლევდნენ.

ტაფობის ამ მიმართულებით გავლა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, არც ისე ადვილი აღმოჩნდა. შორიდან იქაურობა სწორ მინდორს ჰგავდა, მაგრამ გზადაგზა მრავალი ხრამი და ოღრო-ჩოღრო შეგვხვდა. ხშირად მიმართულებაც გვეკარგებოდა. რამდენიმეჯერ ღელეში შეტოპვაც მოგვიხდა და ბოლოს იმ ქედს მივადექით, რომელსაც ჩვენი ბილიკი ასდევდა. აღმართი ახლა უფრო დამრეცი და გრძელი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ლასდილამდე იყო. ამიტომ ჯერ კარგად შევისვენეთ და შემდეგ ამ აღმართს ნელი ნაბიჯით შევუდექით.

ლასდილის ტაფობი და იმ ფერდობის ქვედა ნაწილი, რომელსაც ეს-ეს იყო გზას დავადექით, სუბალპების ზონაშია. აქ არცთუ ისე იშვიათია ხე-მცენარეები. მათში ჭარბობს არყი, ცირცელი და კიდევ ერთი-ორი ხე-მცენარე. დაახლოებით ნახევარი საათისა თუ ორმოცი წუთის შემდეგ კი სუბალპებიდან ალპურ ზონაში გადავაბიჯეთ და დეკიანებში შევედით. ზოგს ვაჟას ლექსები მოაგონდა დეკის დანახვისას, ხოლო ზოგმაც მის ლამაზ ყვავილებს დაუწყო ძებნა, მაგრამ ამაოდ. დეკას უკვე გადაეყვავილებინა.

დეკიანებთან შევისვენეთ. ჩამოვსხედით. წურუნგალას და აილამასკენ მივიხედეთ. დღეს თვალი სულ ამ ლამაზ მწვერვალებზე გვრჩება. მათ წვერებზე ღრუბლები კიდევ უფრო შეთხელებულან. დეკიანებიდან სხვა ლამაზი მწვერვალებიც გამოჩნდა. აგერ აილამას აქეთ ნამყვამი. ის სიმაღლეში მეზობელს მხოლოდ ოდნავ ჩამორჩება. ნამყვამის სიმაღლე ზღვის დონიდან 4273 მეტრია. მისი ბუმბერაზული მკერდიც ხევებითაა დასერილი, რომლებშიც მარადი თოვლის ვეშაპისმაგვარი ზვავებია ჩამკვიდრებული. ნამყვამი სხვა მწვერვალებზე უფრო გულღიად შეგვხვდა. გზის გაგრძელებას ჯერ კიდევ არ ვაპირებდით, როცა ნამყვამის თავზე დაწოლილმა ღრუბლებმა უკან დაიხიეს და მთის გალმა გაეკრნენ

დიუნარი

ცას. ამგვარად ნამყვამმა თითქოს გაგვიცინაო და თეთრი ქათქათა კბილები გამოაჩინა. ეს ღიმილი სახიდან. დიდხანს არ წარეცხია ძას.

ალპური ზონა ყოველ ნაბიჯზე ახალ-ახალ სანახაობებს გვიშ-ლის თვალწინ. „ალპური ხალიჩები“ — ასე უწოდებენ ბოტანიკო-სები ამ ადგილებს და მართლაც რომ ხალიჩებივით მოუქარგავთ მრავალფეროვან ყვავილებს სათიბ-საძოვრები.

სჯობს ბოტანიკოსი დავიხმაროთ ამ დიდებული სანახაობის აღწერაში: „ბოტანიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით დასავ-ლეთ კავკასიონის ალპური და სუბალპური მცენარეულობა იშვია-თია თავისი მრავალფეროვნებითა და თვალწარმტაცობით. უზარ-მაზარი ფართობები დაფარულია მაღალი, ხასხასა მწვანე მცენა-რეულობით, რომელთა შორის ელვარებენ ნაირ-ნაირი ყვავილები: წითელი და თეთრი გვირილა, ოქროსფერი მზიურა, პირისფერი დვალურა, იისფერი წყალიკრეფია, ცისფერი დეზურები, ლიაპირის-ფერყვავილება ბაბუაწვერა, ნაირყვავილება ნემსიწვერა, ვარსკვ-ლავა, ჭყიმი და სხვა მრავალი. ოდნავი ქარის შემოქროლვაზე უსაზღვრო ზღვის ზედაპირივით ჭავლი გადაევლება ხოლმე თავზე და ბზუის ფუტკარი, დაფარფატებენ პეპლები და ინთქება და ინთქება ადამიანი მაღალმთის ბრწყინვალებაში, მაცოცხლებელ ჰაერში, თვალუწვდენელ ცივ სივრცეში. მაგრამ საკმარისია დაუ-ბრუნდე მიწას, გამოყენებითი თვალსაზრისით განსაზღვრული მოთხოვნილება წაუყენო ამ უსაზღვრო მდელოებს, რომ ეს ლამა-ზად მოყვავილე მცენარეები უკან დაიხევენ და დაუწყებთ ძებნას: წითელ სამყურას, ჭაღარა სამყურას, ტიმოთელას, სათეს წივანას და სხვა ამგვარებს“ (ნ. კეცხოველი).

ბილიკი ქედს ჯერ ზევით მიჰყვება ზიგზაგურად, შემდეგ კი ორად იყოფა. ერთი ისევ ზევით მისდევს ქედს, ხოლო მეორე განზე უხვევს. გზის გასაყართან შევდექით და ვიმსჯელეთ, თუ საით უნდა წავსულიყავით. ბოლოს ყველამ განზე გადახვევა ვარჩიეთ. რადგან აშკარა იყო, რომ ეს ბილიკი მართლაც უღელტეხილისაკენ მიდიოდა და უფრო მოკლე ჩანდა. ერთი ეს მაფიქრებდა, რომ განზე მიმავალ ბილიკს ახალი ნაკვალევი არ აჩნდა და კარგა ხნის მიტოვებული გზის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ნახევარი საათის სიარულის შემდეგ ბილიკი ჭაობიან ტაფობში შეგვიძღვა ღა

ნათელი გახდა, თუ რად ჰგავდა იგი მიტოვებულს. გზის მცოდნეებს, რომლებიც ლასდილ-ზაგარზე ფეხით გადადიან, ჩანს, არ ეხალისებათ ჭაობებში სიარული და ცოტა უფრო შორი გზით სიარულს არჩევენ.

რას ვიზამდით. უკან დაბრუნებას ისევ ჭაობებში სიარული ვარჩიეთ. თან იმის იმედიც გვქონდა, რომ ჭაობი მალე გათავდებოდა. ამ დროს ჩვენს ზემოთ 300—400 მეტრის დაშორებით ფერდობზე მიმავალი ცხენოსანი შევნიშნეთ... ისიც უღელტეხილის მიმართულებით მიდიოდა. მივხვდით, რომ ცხენოსანი სწორ გზას ადგა და მალე ჩვენ ერთმანეთს შევხვდებოდით. ასეც მოხდა. ჩვენმა ბილიკმა ჭაობიან ტაფობის შემდეგ აიაღმართა და მალე იმ ბილიკს შეუერთდა, რომლითაც ცხენოსანი მიდიოდა. ცხენოსანსაც დაუნახივართ, უფიქრია—ბარგს მაინც წავუღებო და დაგვლოდებია. ეს იყო უშგულელი ყმაწვილი კაცი ზურაბი.

ზურაბი 24-25 წლის ვაჟკაცია, მაღალი და ბრგე. მან სამსახური მოკრძალებით შემოგვთავაზა. შემდეგაც ჩუმად მოდიოდა. მხოლოდ ჩვენ შეკითხვებზე გვპასუხობდა და ისიც მოკლედ.

— საით მიემგზავრებით?—ეს იყო ერთადერთი კითხვა, რომელიც მან მოგვცა. როცა ჩვენი მარშრუტი გავაცანი, გაეღიმა.

— მე მეგონა ალპინისტები იყავით,—თქვა ხმადაბლა,—ახლა ძალიან ბევრი ალპინისტი დადის აქ.

ბილიკთა შესაყარიდან, სადაც ზურაბს შევხვდით, უკვე უნაგირაც გამოჩნდა. დაახლოებით ნახევარი თუ ერთი კილომეტრი უნდა გაგვეევლო კიდევ იქამდე. ნახევარსა თუ ერთს იმიტომ ვამბობ, რომ მთებში მანძილის თვალით გაზომვა არც ისე ადვილია. ზოგჯერ გგონია, აი აქ, სულ ახლოს არის ის ადგილი, სადაც თქვენ უნდა მიხვიდეთ, გზას გაუდგებით და საათობით ივლით, ვიდრე იქ მიხვალთ.

ქალიშვილები ტვირთის შემსუბუქების შემდეგ წინ გაიჭრნენ, მე და საურმაგი კი ზურაბთან ერთად მივდივართ და ხანდახან კიდეც ვეხმარებით, თუ ცხენის ზურგზე ტვირთი წონასწორობას დაკარგავს და ცალ მხარეს გადაიზნიქება. უცებ ცხენთან მდგომი საურმაგი შეხტა და მარჯვენა ხელის ნები გამეტებით დაირტყა მუხლის თავზე. მას მოკლე შარვალი ეცვა.

— რა იყო, საურმაგ? — ვკითხე მე, თუმცა დავინახეთ. რომ რომელიღაც ბუზმა გაამწარა.

— აი, ეს ღეზოა, თუ ეშმაკი! მეგონა თავი დავაღწიე და საიდანღაც კიდევ გამოტყვრა.

— ალბათ ცხენს მოჰყვებიან,—მოკლედ შენიშნა ზურაბმა. მართლაც და ზურაბის ცხენს მრავალი მწერი დასტრიალებდა თავს. მათ შორის ღეზოებიც იყვნენ. მწერები გუნდად მოჰყვებოდნენ ჩაქჩაქით მომავალ პირუტყვს და ხანდახან ჩვენთვისაც იცლიდნენ.

უნაგირაც გავიარეთ და დაღმა დავეშვით. პირიქით მხარეს არანაკლები სანახაობა გადაიშალა ჩვენს თვალწინ. ჭაღარა მთები ისევ ჯარად მიჰყვებოდნენ ჰორიზონტს მარჯვენა მხრიდან. ირგვლივ კი გადაშლილიყო ალპური ხალიჩებით მოფენილი დამრეცი ფერდობები.

აღმართის შემდეგ დაღმართი პირველად ადვილად ეჩვენება მგზავრს, მაგრამ პირველი შთაბეჭდილება დიდხანს არ გრძელდება. ყველაზე ადრე მუხლები გრძნობენ დაღმართის სიმძიმეს. აქ მათ არამარტო სხეულის სიმძიმეს უნდა გაუძლონ, უნდა შეასუსტონ ინერციის ძალაც. პირადად მე დაღმართი ნაკლებ მიყვარს და ხელმძღვანელს მალე შესვენება შეკასსენე. წინ მიმავალნი პირველსავე ხევთან გაჩერდნენ. ჩვენც მალე მივედით. ხევის ანკარა ცივი წყლით ხელ-პირი დავიბანეთ და ამჩანაგებს შევუერთდით, რომელთაც ლოდის ძირში მობიბინე ბალახზე უკვე სუფრის გაშლა მოესწროთ და ჩვენ გველოდებოდნენ.

ვისაუზმეთ, შევისვენეთ, ვისაუბრეთ, ვიმხიარულეთ და კვლავ გზას გავუდექით.

ახლა ჩვენ უმეტესად სამანქანო გზით მივდიოდით, მაგრამ ალპურ ზონაში სამანქანო გზით სიარული სრულებითაც არ არის მოსაწყენი. პირიქით, გრანდიოზული მთების ფონზე ავტომობილის გუგუნი ერთგვარად ამაღელვებელიც კია. ერთი ავტომობილი მიდის, მაგრამ ასე გგონიათ ათი ან ოცი იყოს. მთების გამოძახილი აძრავლებს მის ხმას. მზერა ჭაღარა მთებიდან შარაგზაზე გადმოგაქვთ და მანქანას ეძებთ. ის კი არსად ჩანს. იქნებ კიდეც მოჰკრათ თვალი სადმე გამოზიდულ ფერდობზე, მაგრამ მალე ისევ თვალს ეფარება და ისევ ყოველი მხრიდან გესმით მისი გუგუნი. ხშირად ასე



ორი ბუმბერაზი—წურუნგალა და აილამა

გგონიათ — მანქანა ქვევიდან მოდის, მაგრამ ცოტა ხანი და გაკვირვებული უკან იხედებით. ავტო უკანიდან გეწევათ.

სწორედ ასე მოგვივიდა ჩვენც. გვეგონა მანქანის ხმა წინიდან გვიახლოვდებოდა და ერთბაშად უკნიდან კი დაგვეყივლა — გზა მომეცითო. მივიხედეთ და ხალხით სავსე სატვირთო ავტომობილი დავინახეთ. ყველა საზეიმოდ იყო გამოწყობილი და მღეროდა. წინ, კაბინის ზურგთან, თეთრ კაბაში გამოწყობილი ტანმაღალი ქალიშვილი და ლურჯ კოსტუმიანი ახოვანი ვაჟი იდგა. ვაჟს მკერდზე ველური ყვავილების კონა ჰქონდა მიმაგრებული, ქალს კი ყვავილები თმებს უმშვენებდა.

— მექორწილენი არიან. ყორულდაშიდან მოდიან, — ღიმილით თქვა ზურაბმა. ამან უფრო დაგვაინტერესა, შევდექით და დაუცადეთ. მანქანამ სვლას უკლო და ისე მოგვიახლოვდა. მექორწილენი ყიყინით მოგვესალმნენ. შოფერმა კაბინის კარი გააღო და გვთხოვა ჩვენც მანქანაზე ავსულიყავით.

— ამოდით, ამოდით, თქვენც მაყრები ხართ! — ხმამაღლა გვთხოვდნენ მექორწილენი. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ, მანქანაზე კი არ ავედით.

— აბა ეს როგორ იქნება, მანქანა აქაა და თქვენ ფეხით მიბრძანდებით! — გვეუბნება შეწუხებული შოფერი.

— არა, რატომ, ჩვენ სწორედ ფეხით სიარულის სურვილმა მოგვიყვანა ამ მთებში!

შოფერს ჩვენს პასუხზე ეღიმება. ჩანს, კარგად ესმის ჩვენი ენთუზიაზმი, მაგრამ მაინც მხრებს იჩეჩავს და მანქანას ძრავს. ძის გუგუნთან ერთად სიმღერაც იწყება.

„მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვყავს დედალი ხოხობი“! — წკრიალა ხმით გაიძახის მექორწილეებში ახალგაზრდა ვაჟი და მას მთელი მაყრიონი ასდევს. ასე მგონია, მათი ომახიანი სიმღერა შხარას, მწვერვალებს სწვდება.

— მაშ უშგულში ქორწილი დაგვხვდება? — ვეუბნები ზურაბს.

— უშგულში არა, ქალი კალაში მიჰყავთ, ვაჟი კალელია.

— აბა ქორწილი ვეღარ გვინახავს. საინტერესო კი იყო, — გულდაწყვეტით ამბობენ ჩემი ამხანაგები.

— რატომ, ხვალ ხომ კალაში მივდივართ, ქორწილს მიეუსწრებთ, — ვეუბნები მათ და ზურაბიც მიდასტურებს.

ამ დროს თვალს მოფარებული მანქანა უკვე ჩვენსკენ მოქცეულ იქითა ფერდზე გავიდა და ხელახლა გამოჩნდა. მექორწილენი ისევ მღეროდნენ. მანქანაში ქალ-ვაჟს მხრების გაშლაც მოეხერხებინათ და ერთ ადგილზე ცეკვავდნენ. ქალს ხელში თეთრი ხელსახოცი ეჭირა და აფრიალებდა. თითქოს ამ სურათის დანახვამ გამახსენა. ზურაბს შევეკითხე — ქალი სადაურია-მეთქი.

— ლაშხელია.

— სად გაიცნეს ერთმანეთი?

— ყორულდაშში.

— ალბათ იქ მუშაობენ.

— დიახ, ვაჟი ტექნიკოსია, ქალი კი ექიმი.

— ახლოს გცნობია.

— როგორ არა, ქორწილშიც ვარ დაპატიჟებული.

— აბა შენ უნდა იჩქარო!

— არა, საღამოს წავალთ უშგულელები.

აი თანამედროვე ქორწილი სვანეთში. კალელი ვაჟი და ლაშხელი ქალი, ერთი ტექნიკოსი და მეორე ექიმი. სამუშაოდ ყორულდაშში წავიდნენ ამ ორი თუ სამი წლის წინ. იქ ერთმანეთი გაიცნეს, შეუყვარდათ და შეუღლება გადაწყვიტეს. მშობლებს მათი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ აცნობეს. არც მშობლები გაჯანჯლებულან. ქალის მშობლებმა პირველად შეიძლება შუბლი შეიჭმუხნეს, რომ მათი ქალი ლაშხეთიდან კალაში თხოვდებოდა, მაგრამ შეურიგდნენ ამას და თანხმობა მისცეს. მალე ქორწილიც გადაუხადეს. გუშინ ლაშხეთში იქორწილეს, დღეს კი კალაში მიდიან, რომ იქ გააგრძელონ ლხინი. იფიქრებდა კი კალელი ვაჟკაცი ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ, რომ ოდესმე მისი შთამომავალი ლაშხეთიდან ასე ადვილად წაიყვანდა საცოლეს? თუ ლაშხელი ქალის სიყვარული ჩაუვარდებოდა გულში, მეტი გზა არ იყო, უნდა მოეტაცა. ჰმ, მოეტაცა, ადვილად იტყვის ენა. რამდენი უბედურება სდევდა თან ამ საალალბედო ნაბიჯს. მაგრამ ყველაფერი ეს დრომ წარეცხა. დღეს კალელ ვაჟკაცს თავისუფლად მიჰყავს ლაშხელი გოგონა, ისე. როგორც ლაშხელი წამოიყვანს კალელს, თუ კი იქ გულის სწორს იპოვნის.

გადახედეთ ძველ მოგზაურთა წერილებს, სადაც სვანეთში ქორწინების საკითხებსაც ეხებიან. მართალია, იქ ბევრი რამ გადა-

ჭარბებულია, მაგრამ მისი მეათედიც რომ სიმართლედ ჩავთვალოთ, რაც იქ წერია, და შევადაროთ იმას, რაც დღეს ჩვენი თვალით ვნახეთ, ტანში საამო ჟრუანტელი დაგვლით.

მაყრიონით დატვირთული მანქანა საბოლოოდ ამოეფარა მწვანედ აბიბინებულ ბორცვებს, მაგრამ ომახიანი მაყრული მაინც კარგა ხანს გვესმოდა. ჩვენც ბარაქიანი ნაბიჯით მივიწევდით წინ. გვინდოდა მალე ჩავსულიყავით უშგულში. სხვა რომ არა იყოს რა, მზის სხივებმა უკვე გვაგრძნობინეს თავისი ძალა. სახე ყველას ატკრეცილი გვაქვს. ყველაზე მეტად ცხვირი გვეწვის. მხოლოდ ზურაბი მოდის უდარდელად. მის ჯანმრთელ გარუჯულ სახეს მზის სხივები ვერაფერს აკლებენ. არც სათვალეები უნდა. მზეს რომ თვალი გაუსწოროს, მხოლოდ წარბების ოდნავ ჩამოშვება და შუბლის შეკვრა სჭირდება. ამ დროს წარბებს შუა მოზრდილი კოპები წამოაჯდება ხოლმე და ჯერ კიდევ ბავშვურ მიამიტ სახეს ერთბაშად მკაცრ გამომეტყველებას აძლევს. ჩვენი წუწუნი ზურაბს მხოლოდ ღიმილს ჰგვრის.

— კიდევ ბევრი დაგვრჩა უშგულამდე? — ეკითხებიან ზურაბს ქალიშვილები.

— არა, მალე ჩავალთ.

ჩვენც მივდივართ. მე და საურმაგი ზურაბის დატვირთულ ცხენს მივყვებით. გოგონები ჩვენს უკან მოდიან. ცხადად გვესმის მათი ფეხის ხმა. ხან რომელიმე მათგანი გზაზე დაგდებულ ქვას უნებურად ფეხს წაჰკრავს და აგორებული ქვა ინერციით ჩვენამდე აღწევს. მერი და ლეილა ჩვენზე წინ მიდიან და ჩვეულებრივად თავისთვის კურკურობენ.

— ერთი კვირით ადრე რომ ჩამოსულიყავით, უშგულში საინტერესო დღეობას დაესწრებოდით. — მეუბნება ზურაბი.

— რომელს?

— უსხობას. შენ ალბათ იცი, მაგრამ სხვები დაინტერესდებოდნენ.

— არც მე გამიგია ამგვარი დღეობა.

— მართლა? — გაუკვირდა ზურაბს. — მე ეგონია ეს ქვემოურებშიც იციან.

— ჩანს, ჩემ დროს უკვე დავიწყებული იყო. მომიყეი, მაინც რა დღეობაა უსხობა.

„ნისლი ფიქრია მთებისა"

— სამ წელიწადში ერთხელ ეწყობა უსხობა,—დინჯად იწყებს მოყოლას ზურაბი,—ზაფხულში. სამი წლით ადრე უშგულის ყოველი მოსახლე საუკეთესო ჰედილას შეარჩევს და დაამწყვდევს. ჰედილა თეთრი ფერის უნდა იყოს. მას საგანგებოდ კვებავენ და უვლიან. ოღონდ მზის სინათლეს არ ანახვებენ, გარეთ არ უშვებენ. სამი წლის შემდეგ, დღეობის წინადღეს, უკვე გაზრდილ-გასუქებულ ვერძს დაბანენ და მეორე დილას ადრე ეკლესიის ეზოში მოიყვანენ. ეკლესიის ეზოს გარს გალავანი არტყია. ამ გალავნიან ეზოში გროვდება ასამდე ვერძი. მანამდე დღის სინათლის უნახავებს მზის შუქი აგიჟებს, დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი ძალა მათში ერთბაშად იფეთქებს და იწყება ვერძების გაშმაგებული ჭიდილი. ერთმანეთს შეარჩევენ და წყვილ-წყვილად იწყებენ ჭიდაობას. გაისმის რქების ჯახუნი. ზოგიც ეშმაკურად იქცევა. მისკენ შურდულივით წამოსულ მოწინააღმდეგეს მოულოდნელად გვერდზე გადაუხტება. მოწინააღმდეგე თავს ვეღარ იკავებს და რქებით მიწას ხნავს. განაწყენებული ერთხელ გადაკოტრიალდება, შემდეგ წამოხტება და მტერს უფრო გაცხარებით უტევს. ამ დაუნდობელ ბრძოლაში წყვილიდან ერთი უფრო ადრე იღლება, ქანცი ელევა და ძირს ბრაგვანით ეცემა. გამარჯვებული შეტრიალდება და ახალ მეტოქეს ეძებს. აი, მეორე ასეთი გამარჯვებულიც გამოჩნდება და ახლა ესენი ეჯახებიან ერთმანეთს. ახე გრძელდება მანამ, სანამ ყველა, ერთის გარდა, ძალის გამოლევისაგან ძირს არ დავარდება. ეს ერთი კი, ბრძოლის ველზე გამარჯვებული იწყებს კუნტრუშს. გახარებული პატრონი მას დაიქერს და შინ მიჰყავს. სხვებიც ასე იქცევიან. ყველას თავისი ვერძი მიჰყავს. ვერძებს კლავენ და ამის შემდეგ იმართება დიდი ღრეობა.

შემდეგში გავიგეთ, რომ მსგავსი დღეობა ქვემოურებსაც სცოდნიათ, მაგრამ კარგა ხნის წინ დავიწყებას მისცემია. უშგულისაგან განსხვავებით ლაშხელები გასასუქებლად ვერძის ნაცვლად თურმე ბოჩოლას აიყვანდნენ. ეს ბოჩოლა ეკუთვნოდა სოფლის განსაზღვრულ უბანს. სოფელი კი რამდენიმე ასეთ უბნად იყოფოდა. დღეობის დროს უკვე დაზრდილ-დახარებულ ბოჩოლებს ანუ, როგორც აქ უწოდებენ, უსხებს დანიშნულ ადგილას მიიყვანდნენ და ერთმანეთს დააჭიდებდნენ. შემდეგ კი

ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც უშგულში. როგორც ჩანს, წინათ ეს დღეობა არა მარტო საქართველოს მთაში, არამედ ბარშიც სცოდნიათ. ამას ადასტურებს სიტყვა „უსხის“ საბასეული განმარტებაც. თავის სიტყვის კონაში საბა ბრძანებს: „უსხი—ზროხა საკლავი მსუქანი“.

ყველაფერს ამას ჩვენ უშგულამდე ვგებულობთ. ტურისტისთვის ესეც საკმარისია. მალე გამოჩნდა უშგულის მისადგომები და ამ მისადგომებთან ორი შენობა: ერთი მარჯვენა მხარეს, ხოლო მეორე მარცხენა მხარეს. შორიდანაც კარგად ირჩეოდა, რომ მარჯვნივ ეკლესია იდგა, ხოლო მარცხნივ — შუბისტრად ჩადგმულ გორაზე, ძველთაძველი ციხე.

უ შ გ უ ლ ი

არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია;
ძველი პური, ძველი ღვინო
წლიდან წლამდე გამყოლია.

ხალხური

ისინი, ვინც პირველად აქ მოვიდნენ და ალპური ზონის მიწას დაპკრეს ბარი, უსათუოდ ამაყი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. მათმა თავმოყვარეობამ ვერ გაუძლო ბატონის მიერ დადგმულ უღელს, დატოვეს დოვლათით სავსე ბარი და მწირ მთებს შეეკედლნენ.

სვანები ხომ საერთოდ ცნობილნი არიან სიამაყით, უშგველელებს უამაყესთა სახელი აქვთ დამკვირებელი მათ შორის. საინტერესოა, საიდან წარმოსდგა თემის სახელწოდება „უშგული“? ორი ქართული სიტყვისაგან „უშიშარი გულისაგან“ ხომ არ აწარმოეს თავისი კუთხის სახელი პირველმა უშგულელებმა. იქნებ საკითხის ასეთი გაშუქება მსუბუქი ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ ამ ადგილებში მცხოვრებს რომ უცილოდ უშიშარი გული უნდა ჰქონოდა, ეს მე უშგულის სოფლებში შესვლამდე ვიგრძენი. ლასდილის ზეკარით გამოსულნი ზევიდან დავცქეროდით მათ. უშგულს ოთხივე მხრიდან მთები არტყია. ასე გეგონებათ, აი, აგერ ორიოდ ნაბიჯზეა ენგურის სათავეო. გამოდის მყინვარიდან. მოდის, მოჰყეფს და თან ძოაქვს ყინულის სიცივე. სოფლების ჩრდილოეთით მწვანით შემოსილი

ძალალი მთაა. მისი ფერდობი ბილიკებითაა დასერილი. ვხედავთ ამ ფერდობებზე შეფენილ ნახირს. ყრუდ, მაგრამ მაინც აღწევს ჩვენამდე მწყემსი ბიჭების გადაძახილი. უშგულის სამხრეთ-აღმოსავლეთით სწორედ ის ზეკარია, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ, სამხრეთით— ვორვაშის განთქმული საჯიხვე მთა, დასავლეთითაც მთები... სულ მთები, მთები!..

უშგული ალპურ ზონაშია, აქ ტყე არ არის. მხოლოდ ეხეკერის მარცხენა ნაპირას, სამხრეთის მთის ფერდზე ჩანს წვრილი ბუჩქნარი. შორიდანვე შეიმჩნევა, რომ იქ არყი და ცირცელი ბატონობს. უტყეობა უშგულელ ძოსახლეობისათვის დიდი დანაკლისია. სამარხილე მასალისათვისაც კი უშგულელს გორვაშის საჯიხვე მთის ბირებამდე სჭირდება მისვლა. შეშა ხომ ძვირია და ძვირი.

სხვაც ბევრი რამ აკლდათ უშგულელებს, მაგრამ ყველაფერს ვაქკაცურად იტანდნენ. უშგულელი რომ მამაცურად ებრძოდა ბუნებას, ეს ბევრი რამიდან ჩანს. თუნდა შორიდან შეხედეთ უშგულის სოფლებს. მაშინვე იგრძნობთ, რომ ციხე-სიმაგრეთა და კოშკების სამყაროში აღმოჩნდით. ყოველ სახლთან კოშკი დგას, ყოველ შუბისტრად ჩადგმულ გორაზე ციხე-სიმაგრეა აშენებული. ყველაფერი ეს საჭირო იყო წარსულში. მაგრამ უშგულელი გლეხი ახლაც ფაქიზად ინახავს ამ ისტორიულ მუზეუმს და ესეც მისი ერთ-ერთი ღირსებათაგანია. ვაქკაცურად ებრძოდნენ უშგულელები მიწას და ისიც ნელ-ნელა სთმობდა: ზღვის დონიდან 2000-2200 მეტრის სიმაღლეზე აღმოცენდა ქერი და პური, ბოლო ხანებში გაჩნდა კარტოფილიც.

ადვილი როდი იყო უშგულელებისათვის თავისუფლების შენარჩუნება. მტერი გამუდმებით თავს ესხმოდა მათ სოფლებს. განსაკუთრებით თავად დადეშქელიანებს რჩებოდათ თვალი მათს სათიბ-საძოვრებზე. ვინ იცის, რამდენჯერ სცადეს მათ უშგულის დაპყრობა, მაგრამ ყოველთვის ამაოდ უვლიდნენ გარს უშგულელთა უმტკიცეს კოშკებს. თაობიდან თაობაში გადადის დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის საგმირო ამბები. განსაკუთრებით ხშირად იხსენიებენ ფუთა დადეშქელიანს. ფუთა თავისი ოაზმით მოსვენებას არ აძლევდა უშგულელებს. უშგულელებიც მაგრად ხვდებოდნენ მომხდურს, მაგრამ უკუქცეული მტერი მაინც ახერხებდა, რომ საქონელი გაეტაცა და დიდი ზარალი მიეყენებინა თავისუფალი თემისთვის. ყვე-

ლას ემძიმებოდა ფუთას მოკვლა. ყველამ იცოდა, რომ ამით დადეშ-ქელიანების მოსისხლე გახდებოდა და ეს კი უსათუოდ ძვირად დაუჯდებოდა, კარგად იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა თავადების გადაკიდება. მათ ხომ ძვირად დაუჯდათ, მაგალითად, თავად ჯაფარიძეების სისხლი მეთხუთმეტე საუკუნეში. ამიტომ ითმენდნენ უშგულელები ფუთას თარეშს. მაგრამ ბოლოს მაინც აივსო მოთმინების ფიალა და მთელმა უშგულმა გადაწყვიტა შური ეძია გაუმაძღარ თავადზე. ვის შეეძლო ფუთას მოკვლა? ვის შეეძლო დადეშქელიანების მოსისხლე მტრად გადაკიდება? ცხადია, ერთ რომელიმეს არა. ამ საქმის პიროვნულად ჩადენას ვერვინ გაბედავდა. არც თემს შეეძლო ვინმესთვის ამის დაკისრება. ფუთა მთელი უშგულის დაპყრობას ცდილობდა, მას უნდოდა ყმად გაეხადა ყველა უშგულელი. ფუთა ყველა უშგულელს ძარცვავდა და ამიტომ შურიც ყველას ერთად უნდა ეძია. მთელი თემის მამაკაცები შეიკრიბნენ, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. ყველამ თავის ტყვიას პატარა ნაწილი მოათალა და მათგან ერთი ტყვია ჩამოასხეს. შემდეგ დაპატიჟეს ფუთა, ვითომ მთელ თემს სურდა მის მფარველობაში შესვლა. ფუთასაც ეს უნდოდა. გაუხარდა და მაშინვე დათანხმდა სტუმრობაზე. უშგულელებს ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ მოწყობილი. შერჩეული იყო ადგილი, სადაც უნდა დაესვათ სტუმარი. ამ ადგილს დაუმიზნეს თოფი, რომელიც საერთო ტყვიით იყო გატენილი. თოფს ჩახმახზე გრძელი ბაწარი გამოაბეს. ამ ბაწარს ყველა მოსახლიდან თითო კაცმა ჩასჭიდა ხელი. ყველას უნდა დაედო წილი ფუთას მკვლელობაში, ყველას ერთად უნდა მოესხლიტა დამიზნებული თოფის ჩახმახი. ფუთას ეგონა, ჩემს ყმებს შორის ვზიკვარო და არხეინად მოილხენდა. სწორედ ამ დროს დაიქუხა თოფმა და სათემო ტყვიამ გული გაუგმირა მას. ფუთას ტანისამოსი ეკლესიაში შეინახეს, რომ შთამომავლობისათვის ეჩვენებინათ, თუ როგორ იბრძოდა უშგულელი ხალხი თავისუფლებისათვის.

ნამდვილი თავისუფლება უშგულელებს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა. ახალმა ცხოვრებამ მოსპო არა მარტო თავადებისა და დამპყრობლების თარეში უშგულელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ უგზოობაც, გაუნათლებლობაც და ცხოვრების სხვა სიდუხჭირენიც. ამიტომ დღეს ლასდილის ზეკარზე, საცალფეხო ბილიკის ნაცვლად, ფართო შარაგზა გადადის. ამ გზით მოდის ახალი

ცხოვრება. ადრე, ჩემი მოწაფეობის დროს, უშგულში მხოლოდ შვიდწლიანი სკოლა იყო. მისი დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები სწავლის გასაგრძელებლად ან მესტიაში მიდიოდნენ და ან ლაშხეთში. ახლა კი უშგულში რამდენიმე წელიწადია, რაც საშუალო სკოლაა გახსნილი. უშგულში ახალი ცხოვრება დუღს. ყველაფერი ეს შორიდანვე ჩანს, ახლოს მისვლა ალბათ კიდევ უფრო მეტს დაგვანახვებს.

*

უშგული ერთმანეთზე ლამაზი ოთხი სოფლისაგან შედგება. ეს სოფლებია: ჟიბიანი, ჩუბიანი, ჩაჟაში და მურყმელი. ახალმა ცხოვრებამ სოფლის სტრუქტურა და გარეგნობაც შეცვალა. ეს ცვლილება მკვეთრად წარმოგიდგებათ თვალწინ, თუ ძველ ფოტოებს გადახედავთ. ძველ კოშკებს უშგულელები დღესაც ფაქიზად ინახავენ, როგორც ისტორიულ საგანძურს, მაგრამ ამ კოშკებთან, ძველი მაჩუბების ადგილას, ახალი ორსართულიანი სახლებია წამოჭიმული. სახლები უშგულშიც იმავე ტიპისაა, როგორიც ლაშხეთში. პირველად სოფელ ჩაჟაშში შევედით. გზებზე გაცხოველებული მოძრაობაა. ხარ-მარხილი ხარ-მარხილს მისდევს, ქვას ეზიდებიან, წყალგაღმა გააქვთ და შედარებით ფართო მინდორში ჰყრიან.

— რისთვის ეზიდებიან ამ ქვას?—ვეკითხები თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭს, რომელიც გზაზე ჩვენთან ერთად მოდის და მარჯვენა ხელით თხილის კანგაცლილ ჯოხს იქით-აქეთ იქნევს.

— მშენებლობისათვის, — გვპასუხობს ის, — კოლმეურნეობის ახალი კანტორა, კლუბი და სამკითხველო უნდა ააშენონ.

— სკოლის შენობას არ აშენებთ?

— სკოლის შენობა ახალი გვაქვს, — ამაყად ამბობს ის და ხელით ქვევით, ენგურის ჭალისკენ მანიშნებს, სადაც დიდი, ლამაზი თეთრი შენობა დგას.

— შენ რომელ კლასში ხარ?

— მერვეში, — ღიმილით მპასუხობს უშგულელი მოწაფე.

გადაშალეთ იმ მოგზაურთა ჩანაწერები, რომლებსაც უშგული ამ ორმოციოდე წლის წინ მოუნახულებიათ. მათი რიცხვი საკმაოდ



ხე, მთა და ღრუბელი

დიდია. სხვადასხვა პროფესიის და ინტერესის ადამიანები მოდიოდნენ აქ, მაგრამ შთაბეჭდილებებს თითქმის ყველა ერთნაირად იწყებს: უშგული კოშკებისა და თოვლის ქვეყანაა, აქ სიბნელე და სიდუხჭირე ბატონობს, ხალხი მკაცრი და უმეცარია, თქვენს წინაა პრეისტორიული ყოფის იშვიათი მუზეუმი. ერთადერთი მთების გრანდიოზული პანორამა იყო მათი ხოტბის საგანი.

ახლაც იგივე მთები ამშვენებს აქაურობას. მათი მკერდი კვლავ მარადიული მყინვარებითაა შემკობილი. სოფლებშიც, თითქმის ყოველი სახლის წინ, ისევ დგას ამაყად ამართული ტანწერწეტა კოშკი. შორიდან სოფლებს ჯერ კიდევ ძველებური მკაცრი ელფერი ადევს, მაგრამ მიბრძანდით ახლოს და თქვენს წინ გადაიშლება სულ სხვა სურათი. უშგულელები მტრული გამომეტყველებით აღარ ხვდებიან მოგზაურებს, დიდსა და პატარას სახე კეთილად უღიმის, ყველა საქმითაა გართული, მაგრამ სტუმრის დასახვეღრად ყოველთვის მზად არიან. უშგულში ახალი ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. სათოფურებიანი კოშკების ნაცვლად ხალხი სკოლას, კლუბს, საკოლმეურნეო კანტორას და სამკითხველოს აშენებს. ახალი ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა ახალგაზრდობაა. უშგულელი ჭაბუკები და ქალიშვილები წარჩინებით სწავლობენ სკოლაში, ხოლო ზაფხულის არდადეგებზე მამაცურად ამოუდგებიან ხოლმე მხარში უფროსებს საკოლმეურნეო მინდვრებში და მშენებლობის უბნებზე. აი, დღესაც ქვის მზიდავთა უმრავლესობა ახალგაზრდობაა. ზოგიც საკოლმეურნეო მინდვრებში გასულა. პურისა და ქერის ყანებს წმენდენ სარეველა მცენარეებისაგან.

უშგულელები ოდითგანვე კარგი მეურნენი ყოფილან. ამაზე მეტყველებს თუნდაც მინდვრის ის კულტურები, რომლებიც აქ მოჰყავთ. სახნავ-სათესი ფართობი აქ უმეტესად ზღვის დონიდან 2000-2500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ირგვლივ მთებია, თოვლიანი და ყინულოვანი მწვერვალები.

ამ მკაცრ კლიმატურ პირობებში პურის მოყვანას მცოდნე და გამოცდილი ხელი სჭირდება. უშგულელი გლეხი საუკუნეების განმავლობაში ებრძოდა მკაცრ კლიმატს და უამინდობას. წარსულში ის ამ ბრძოლაში მარტო იყო. ბრძოლა დღესაც გრძელდება, მაგრამ ახლა უშგულელი კოლმეურნე მარტო აღარ არის. ახალი ცხოვრება უშგულშიც ყოველგვარ პირობებს ქმნის ადამიანის კულ-

ტურული და შეძლებული ცხოვრებისათვის. აქაურები დღეს თავისი მინდვრების მწირ მოსავალზე არ არიან დამოკიდებულნი. ჩვენი ქვეყანა სათანადოდ ამარაგებს მათ სურსათ-სახოვაგით. სამაგიეროდ, მთაში ინტენსიურად ვითარდება მეცხოველეობა.

სოფლის ბოლოს წყაროსთან შევისვენეთ, წყალი დავლიეთ და მოლიან მინდორზე წამოვწექით. თვალს ვადევნებთ მშენებლებს. ისინი საოცრად ხმამაღლა ლაპარაკობენ. ეს ასეცაა საჭირო ხმაურიანი ენგურის ნაპირებთან. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დავიძარით. სოფელ მურყმელში უნდა ვსტუმრებოდით ჩვენს მეგობარს. ღამეს იქ გავათენებდით.

* * *

სოფელ მურყმელში ისე შევედით, რომ მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა. მურყმელი სიდიდით უშგულის დანარჩენ სოფლებს ჩამორჩება. სახლები აქაც შეჯგუფებულად დგას. რამდენიმე მოსახლეს ერთი პატარა ეზო აქვს. ყოველ სახლთან, ჩვეულებრივად, ძველი კოშკია ამართული. კოშკები უშგულში, და კერძოდ, მურყმელში, კარგადაა შენახული. მათ ისე უვლიან, როგორც საცხოვრებელ სახლს. ჩანს, რომ ზოგ კოშკს არცთუ ისე ადრე გამოუცვალეს სახურავი. კოშკები ფიქალითაა გადახურული. ეს მასალა მოსახლეობისათვის უფრო ხელმისაწვდომია, რადგან უშგულის შემოგარენში არა თუ საყავრე ხე, უბრალო საწვავი შეშაც კი ძნელი მოსაძებნია. სამანქანო გზამ გააადვილა ხე-ტყის მასალის შემოზიდვა, მაგრამ კოშკების სახურავად ყავრის გამოყენება ხელს ვაინც არ აძლევს, ძვირი ჯდება. ფიქალი კი იქვე აქვთ, თანაც ფიქალი უფრო მეტად გამძლეა.

სოფელში შეეედით და პირველივე შემხვედრი გავაჩერე — ჩარქსელიანების საბლი სად არის-მეთქი.

— აი, ამ გზას გაყევით, ბატონო, მესამე სახლს რომ გასცდეთ, მარჯვნივ მიუხვიეთ და პირდაპირ მათ ეზოში შეხვალთ, — მეუბნება შუახნის კაცი, რომელიც ხარ-ურმით სადღაც მიიჩქარის.

ჩვენ ზუსტად ვასრულებთ მის დარიგებას და მალე ვიწრო სამარხილე გზით შედარებით ფართო ეზოში შევდივართ. ჯერ კიდევ შორიდან ბავშვების ჟრიამული გვესმოდა და მართლაც ეზოში ათიოდე სხვადასხვა ასაკის გოგო-ბიჭი დავინახეთ. ამათგან, ერთის

გარდა (ეს ერთი მათში ყველაზე მაღალი ქალიშვილი იყო), ერთმანეთს უკან ამოსდგომოდნენ სიმაღლის მიხედვით და ერთმანეთისათვის კალთაში ხელი ჩაეჭიდათ. რიგში ყველაზე წინ ათი-თორმეტი წლის ყმაწვილი იდგა. ის მთელ რიგს იცავდა ქალიშვილის თავდასხმისაგან. ქალიშვილი კი ცდილობდა, „პატრონ“ ყმაწვილისათვის! გვერდი აექცია, რიგს მივარდნოდა და იქიდან რომელიმე „წიწილა“ მოეტაცა. ხან მარჯვნიდან შემოურბენდა ის და ხან მარცხნიდან, მაგრამ ამაოდ. „პატრონი“ მამაცურად იცავდა თავის „წიწილებს“.

ჩემი ამხანაგები ეზოში შემობიჯებისთანავე შედგნენ და ამ სანახაობას ინტერესით დაუწყეს ცქერა. თამაშის შინაარსი მოკლედ ასეთია: ბავშვები ჯგუფიდან გამოყოფენ ერთ-ერთ ძლიერ ამხანაგს, დანარჩენი ამხანაგები ერთმანეთს უკან ამოუდგებიან სიდიდისა და სიძლიერის მიხედვით. ყველაზე ძლიერი მათ შორის რიგში წინ დგება. წინასწარ გამოყოფილი ამხანაგი ასრულებს მტაცებლის როლს. მისი მიზანია — გუნდს თავს დაესხას და იქიდან „მსხვერპლი“ მოიტაცოს. მეწინავე თავის შვილებს მტაცებლისაგან იცავს და მიმხდურს რიგთან ახლოს არ უშვებს.

აღწერის მიხედვით ესოდენ უბრალო საბავშვო თამაშობა პრაქტიკულად შესრულებისას მეტად ცოცხალი გამოდის. ატყდება ერთი ჟრიამული და სიცილ-ხარხარი. განსაკუთრებით ხშირად საღამოობით მართავენ ბავშვები ამ თამაშს და სქელი ბინდის ჩამოწოლამდე ერთობიან. წარმოშობის მიხედვით ეს თამაში ძველია და შთამომავლობის დაცვის რელიგიურ კულტთანაა დაკავშირებული. ამაზე მიუთითებს მისი სახელწოდება „მელია ტულეფია“.

ჩვენ შეგვეძლო კარგა ხანს გვეცქირა ბავშვების თამაშისათვის, მაგრამ მათ, როგორც კი დაგვინახეს, ჟრიამული შეწყვიტეს, დერეფანქვეშ შეიკრიბნენ და იქ ასტეხეს ჩოჩქოლი. სწორედ ამ დროს ორსართულიანი სახლის აივანზე ჭარმაგი მოხუცი გადმოდგა, დაგვინახა, გაეღიმა და მაშინვე კიბეებზე დაეშვა.

— მობრძანდით, მობრძანდით! რამდენი ხანია, გელით!

— ბატონო, ეს ერმილე ჩარქსელიანის ოჯახია, არა? — მაინც შევეკითხე, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორი მისამართით მოვედით.

— დიახ, დიახ. დანაბარები წუხელ გადმომცეს, ვიცოდი,



უშკული. სოფელი ჩუბიანი

რომ მობრძანდებოდით. მაგრამ გვეგონა სადილობამდე მოხვიდოდით.

ერთმანეთს გადავხედეთ და გაგვეღიმა. დღეს გამოვლილი გზა სატრაბახოდ მიგვაჩნია და ამ მოხუცს კი უკვირს, ასე რატომ დაიგვიანეთო. მაგრამ რას იზამ. ვერაფერს ეტყვი. ახალგაზრდობისას ალბათ სირბილით გადაივლიდა ის ლასდილის ზეკარს ყორულდაშამდე და დღეში შეიძლება ორი გზობაც კი გაეკეთებინა იქითაქეთ. ეტყობა, მუხლებში სისუსტეს არც ახლა გრძნობს; კიბეებზე მარჯვედ მიგვიძღვება, ვიღაცისთვის ზურგჩანთის გამორთმევაც მოუსწრია და მიაქვს.

ჩარქსელიანების ეზოში შებიჯებისთანავე ჩვენი ყურადღება ორსართულიანი სახლის გვერდით ამართული მაღალი კოძკის თავზე მიმაგრებულმა ფრინველის ფიტულმა მიიპყრო. ეს იყო კარგად გაკეთებული მოზრდილი არწივის ფიტული. არწივი ფრთაგაშლილი იდგა კოშკის უკანასკნელი სართულის ფანჯრიდან გამოშვერილ ჯოხზე. მასპინძელს ვკითხე, ვინ მოკლა ეგ არწივი-მეთქი. ძია გეგიძ გაიღიმა, არწივის ფიტულს სიყვარულით შეხედა და ოდნავი დაყოვნების შემდეგ მიპასუხა:

— ეს არწივი ჩემმა შვილიშვილმა მოჰკლა, შოთამ. რამდენიმე დღის შემდეგ ჯარში უნდა წასულიყო. ფიტული გააკეთა, კოშკის თავზე აიტანა და ასე გამოკიდა — ჩემს მოსვლამდე ხელი არაკინ ახლოსო.

— როდის იყო ეს, ძია გეგი?

— უკვე მეორე წელი გადის. მალე დაბრუნდება კიდეც ჯარიდან! ამ რამდენიმე დღის წინ წერილი მივიღეთ. იწერება — ჩემი არწივი როგორ არისო. — ძია გეგის აშკარად ეტყობა, თუ როგორ ამაყობს თავისი შვილიშვილით და რა მოუთმენლად მოელის ეის შინ დაბრუნებას.

საუბარი ახლა კოშკებზე გადავიტანეთ. კოშკები უშგულში ძირითადად ერთნაირია, თანაბარი სიმაღლის, სიგანის და მოყვანილობის. აი ის კოშკებიც, რომლებიც ძია გეგისთან საუბრის დროს ჩემ თვალწინ იყვნენ ამართულნი, თითქოს ერთი კაცის ხელით არიან ნაშენები. თუ უფრო მეტად დაკვირდებით, ცხადია. განსხვავებასაც შეამჩნევთ. ზოგი კოშკი უკეთაა ნაგები, ზოგი უარესად. ზოგი სადა კედლით მთავრდება, ზოგი კონუსისებურია. მაგრამ როგორც

ვთქვით, ძირითადად მაინც ერთნაირებია — ყველა ოთხკუთხოვანი და მრავალსართულიანი. პირველი სართული მაღალი ფუძე-ძირით იწყება და პატარა შესასვლელი კარი აქვს. სართულები ქვის ფილებიანი ჭერითაა გაყოფილი. ჭერზე ჭრილია და ჭრილს მიდგმული აქვს ხის კიბეები ზემოთ ასასვლელად.

კოშკის კედლებში გაკეთებულია პატარა სარკმლები და სათოფურები. კოშკთან დაკავშირებით ძია გეგი საინტერესო თქმულებას გვიყვებდა.

იყო ხუთი ძმა, ვადაწყვიტეს ციხის აგება. თვითონ არ იცოდნენ შენება და ამიტომ მთელი სვანეთი დაიარეს. — უნდოდათ სანაქებო კირითხურო დაექირავებინათ. როგორც იყო მონახეს. კირითხურომ დაიწყო შენება და მართლაც მშვენიერი კოშკი ააგო. მაგრამ დახეთ უბედურებას, ძმებმა ნახელავი დაუწუნეს. მაშინ კირითხურომ ასე მიმართა მათ:—ხუთნო ძმანო, დაიარეთ მთელი ხევი და თუ სადმე ამაზე უკეთესი ციხე ნახოთ, ვაშინ მე ხელი მომჭერიოთ. დაიარა ხუთმა ძმამ მთელი ხევი აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე და ვერსად ვერ ნახეს არა თუ უკეთესი, იმისთანა ციხეც კი. ხელახლა ითათბირეს და ბოლოს მამის რჩევით გადაწყვიტეს, კირითხურო მაინც არ გაეშვათ. უნდოდათ ამ კარგი ხელოსნისთვის კიდევ აეგებინებინათ ახალი ციხეები. დაიჭირეს და დაამწყვდიეს. გავიდა ერთი წელი. ხუთმა ძმამ ისევ ბჭობა გამართა. უნდოდათ რაიმე მიზეზი გამოენახათ ახლადაშენებული ციხისთვის და ამით თავიანთი უსაქართლო მოქმედება გაემართლებინათ. ბევრი იფიქრეს და ბოლოს შოიფიქრეს: ჩვენს ციხეს რკინის კარი არა აქვსო, მოდი და დატყვევებულ ხელოსანს ბრალდებად ეს წავუყენოთო. მივიდნენ პატიმართან და უთხრეს: — ჩვენს ციხეს რკინის კარი რად არ დაჭკიდეო? კირითხურო დაფიქრდა და ასე უპასუხა:—რა ვქნა, ხუთნო ძმანო. რკინის კარის დასაკიდი ხელსაწყო შინ დამრჩა და უიმისოდ ვერაფერს ვერ გავაკეთებო, თუ შინ გამიშვებთ, იმ ხელსაწყოს მოვიტან და თქვენს ციხეს საუკეთესო რკინის კარს შევაბამო.

— შენ ვერ გენდობით, — უპასუხეს ძმებმა, — მოდი და შენს ნაცვლად ჩვენ წავალთ, ჩვენ მოგიტანთ იმ ხელსაწყოს.

კვლავ ჩაფიქრდა კირითხურო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს დათანხმდა.

— კეთილი, ასე იყოს, — უთხრა კირითხურომ ძმებს,—წადით

ჩემს ცოლთან და უთხარით, რომ რკინის კარის დასაკიდი ხელსაწყო უსამართლო სამართალი თორმეტკლიტურში მაქვს შენახული და გამოკატანოთ.

ძმები გზას გაუდგნენ. მივიდნენ კირითხუროს ცოლთან და გალავნის კარზე დაუბრახუნეს. ქალმა გამოიხედა. მან მაშინვე იცნო ხუთი ძმა და გულღიად შეეგება:

— მშვიდობით მომსვლოდეთ, ხუთნო ძმანო. მაგრამ ერთი ეს ბითხარით, ციხის ამვების დაშერა საღ გაგონილა, რომ თქვენ დაიპიოეთ?

— არა, არა, კარგო ქალო, შენი ქმარი დაშერილი არა გვყავს,— უპასუხა ხუთმა ძმამ კირითხუროს ცოლს,—აი, სწორედ ახლა შენმა ქმარმა გამოგვგზავნა შენთან. თორმეტკლიტურში უსამართლო სამართალი ჰქონია შენახული და ის უნდა გაგვატანო შენს ქმართან, რომ ამ ხელსაწყოთი ჩვენს ციხეს რკინის კარი დაჰკიდოს. სიტყვას გაძლევთ, როგორც კი რკინის კარს მოათავებს, მაშინვე შინ გამოვუშვებთ დიდი ქონებით.

კირითხუროს ცოლი მაშინვე მიხვდა, როგორც იყო საქმე. გააღო თორმეტი კარი და ხუთი ძმა შიგ შეიყვანა. შემდეგ უცებ შეტრიალდა, თორმეტივე კარი გამოიკეტა და ხუთი ძმა შიგ შეამწყვდია. ასე ამყოფა ისინი სამი დღე-ღამე. პირველად ძმებმა ვერ გაიგეს, რა ხდებოდა. ბოლოს უმცროსი ძმა მიხვდა ყველაფერს და თავში ხელი შემოირტყა.

—ეს რა უგნურება მოგვივიდა, ძმებო, უსამართლო სამართალს რომ ვეძებთ, სწორედ მოგვცა კირითხუროს ცოლმა და ესაა. — უმცროსმა ძმამ სირცხვილისაგან თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ უფროსმა ძმებმა დაუშალეს:

— თავის მოკვლით საქმეს ვერ ვუშველით, — უთხრეს მათ, — სჯობს კირითხუროს ცოლს შევეხვეწოთ და იქნებ გაგვიშვასო.

მართლაც შეეხვეწნენ კირითხუროს ცოლს, დაჰპირდნენ, რომ თუ გაუშვებდა, მის ქმარს უხვად დასაჩუქრებულს გამოუშვებდნენ შინ.

— მე მცირე საჩუქარს ვერ დავჯერდები, — უპასუხა მათ კირითხუროს ცოლმა, — რამდენი ქვაც ჩემი ქმრის მიერ აგებულ ციხეს დასჭირდა, იმდენ ხარს თუ მომცემთ, გაგიშვებთ, თუ არა და არა.

იმსჯელეს ძმებმა, თორმეტკლიტურში ამოხრჩობას არჩიეს კირითხუროს ცოლის მოთხოვნა მიეღოთ. დაჰპირდნენ, რომ მართლაც იმდენ ხარს მისცემდნენ, რამდენი ქვაც ციხის კედლებში იქნებოდა ჩადგმული. ამის შემდეგ კირითხუროს ცოლმა ხუთი ძმა გაუშვა. მალე ისინი მამას კარზე მიადგნენ. ხუთივემ სათითაოდ უსაყვედურა მას: ეს რა სამარცხვინო საქმე გაგვაკეთებინე, ციხის ამგების დამწყვდევა სად გაგონილაო.

ხუთივე ძმას საკუთარი ნახირი ჰყავდა. წავიდნენ და იალაღებიდან ხარები ჩამოდენეს. მთელი მინდორი აივსო ნახირით. შემდეგ გამოუშვეს კირითხურო, კარგ ცხენზე შესვეს, ხმალი მხარზე გადაჰკიდეს, ხარები აჩუქეს და თვითონ მწყემსებად გაჰყვნენ, რომ შინ მისვლამდე კირითხუროს გზაზე ნახირი არ დაჰფანტოდა. მამამ ცრემლიანი თვალი გააყოლა ხარებს. ენანებოდა, რომ ამდენ სიმდიდრეს ჰკარგავდა. მას ქვითინიც აუვარდა, მაგრამ ამ დროს კირითხუროს აშენებულმა კოშკმა გადმოსძახა მოხუცს:

— ა, მამავ, მამავ, ნუ სტირი, ჩემ ამგებს ერგება და ალალი იყოსო.

* * *

საღამოს ჩარქსელიანების ეზოში მეზობლებმა მოიყარეს თავი. ისინი იქვე საგანგებოდ გამოტანილ გრძელ სკამზე და კედლის ძირას დაყრილ ლოდებზე ჩამოსხდნენ და ბაასობდნენ. ბავშვები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ჩვენმა გამოჩენამ ოდნავ დააფრთხო, ახლა ისევ წრეში ჩადგნენ და მხიარულება განაახლეს.

ძია გეგი საბალახოდან დაბრუნებული ნახირის დასაბინავებლად წავიდა. აივანზე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა თავის ფიქრს მისცემოდა, თითქოს ფეხაკრეფით მომავალ საღამოს ბინდს უგდებდნენ ყურს. გორვაშის მხრიდან ღრუბლების დიდი ფარა მოიწევდა უშგულისაკენ.

— ხვალ იწვიმებს. — ვთქვი მე.

—ეგ წვიმის ღრუბლები არ არის, შვილო, ხვალ დარი იქნება.— მომესმა ეზოდან.

ეს ძია გეგი იყო. საქონელი მორეკა და ახლა შუა ეზოში მდგარი ღიმილით აცქერდებოდა გორვაშის მხრიდან წამოსულ ღრუბლებს.

სასიამოვნო დილა გაგვითენდა უშგულში. მზის ამოსვლას ყველამ დავასწარით ადგომა. მოწმენდილი ცა დაჰყურებდა ბუმბერაზ მთებს და ენგურის ხმაურიან ხეობას. მხოლოდ გორვაშის მთის თავზე დახეტიალობდა ობოლი ღრუბელი. ფარას ჩამორჩენილ ფეხმოტეხილ ბატკანს ჰგავდა ის. ცოტა ხნის შემდეგ ისიც მთას იქით გადაიხიზნა და გაავდრების მბეუტავი შიშიც თან წაიღო.

საუზმის შემდეგ ჩვენი ბარგი-ბარხანა შევკარით და გასამგზავრებლად მოვემზადეთ. ლასდილის ზეკარზე გადმოსვლას თავისი კვალი დაეჩნია ყველა ჩვენთაგანისთვის. განსაკუთრებით ქალიშვილები უჩიოდნენ მხრების და კიდურების კუნთების ტკივილს. ამიტომ მურყმელში ერთი ცხენი დავიქირავეთ თავისი გამყოლით, რომელიც კალამდე ჩაგვიყვანდა. ქალიშვილების ბარგის დიდი ნაწილი იმ ცხენს ავკიდეთ. გულუხვ მასპინძელს მადლობა გადავუხადეთ და გამოვემშვიდობეთ. მათაც კეთილი მგზავრობა გვისურვეს. ძია გეგი თითქოს ბოდიშს იხდისო, ისე გვეუბნებოდა:

— აქამდე უნდა გაგვეყვანა უშგულსა და კალას შორის სამანქანო გზა, მაგრამ რაღაც დაგვაგვიანდა.

— არა უშავს, ძია გეგი, დღეს სწორედ ბილიკ-ბილიკ გვირჩევნია სიარული. — ვპასუხობთ ჩვენ.

ძია გეგის ისევ ეღიმება და ისევ გულმხურვალედ გვილოცავს გზას.

მართლაცდა მხოლოდ უშგულსა და კალას შორის ვერ დადის ავტომობილი. მაგრამ სამანქანო გზის გაყვანა აქაც დაწყებულია და ალბათ მალე დამთავრდება კიდეც, მაშინ ლენტეხი და მესტია არამარტო სამარხილე გზით, სამანქანო გზითაც დაუკავშირდება ერთიმეორეს. თუმცა ჩვენ უგზოობა მაინცდამაინც არ გვაწუხებს. მივდივართ, მივსეირნობთ. თან მოგვყვება მქუხარე ენგური, საზღაპრო საძოვრები, ყვავილნარები. მალე ტყეც დაიწყო. ტყე ფოთლოვანია და, მაშასადამე, აქ ჰავა შედარებით რბილია. ისმის ფრინველთა ჭიკჭიკი და მწერთა ბზუილი. მზემ მაღლა აიწია და, როგორც კი დაღლას ვიგრძნობთ, ჩრდილისკენ მივიწევთ, ვისვენებთ. აქ დასვენება მართლაც რომ ერთ რამედ ღირს.

ქვევით, კლდოვან კალაპოტში მიჰქუხს დაუდგრომელი ენგური.

ხალხში თქმულებაა დარჩენილი: აქ ბოროტი სული — დევი ბინადრობდა თურმე. იყო ჩასაფრებული და ელოდა მგზავრის გამოჩენას, რომ კლდეზე გადაეჩეხა. მაგრამ ენგურის სათავესთან ახლოს, „ლამარიას“ ეკლესიაში ცხოვრობდა წმინდა მარიამი, რომელმაც იცოდა დევის ავი ზრახვები და ზარის რეკვით აფრთხილებდა მგზავრებს.

ერთხელ დევი განრისხდა და გადაწყვიტა ენგური დაეგუბებინა. უნდოდა წყალში დაეხრჩო უშგულის მცხოვრებნი და ეკლესიაში მობინადრე ღვთისმშობელი. დიდხანს ეზიდებოდა დევი იფარის ხევიდან უზარმაზარ ლოდებს და ჯებირს აშენებდა. წყალი თანდათანობით გუბდებოდა და მალე უშგულელ მოსახლეობას საშიშროება დაემუქრა. მაშინ ღვთისმშობელმა კალის თემის მფარველ წმინდა კვირიკეს შესთხოვა დახმარება.

წმინდა კვირიკემ საყვირით იხმო თავისი ოქროსრქიან ვერძთა ფარა და დევის ნაგები ჯებირის დასანგრევად გაგზავნა. ვერძები ოქროს რქებით დაეჯახნენ ჯებირს და გაანგრიეს.

სწორედ ამ დროს დევს უკანასკნელი ორი ლოდი მოჰქონდა, რომ კედელი მოეთავებინა. უცებ მას შემოესმა ვერძთა რქების გამაყრუებელი ჯახანი. ბნელი ხევიდან წამოსულმა ნაპერწკლებმა ლამის თვალთ დაუბნელეს. გაბოროტებულმა დევმა მრისხანედ შეჰყვირა და ლოდები იქით-აქეთ ისროლა. ერთი მათგანი მდინარის მარცხენა ნაპირას დაეცა, ხოლო მეორე — მარჯვენა ნაპირას. ოქროსრქიან ვერძთა ფარა კი წმინდა კვირიკესკენ ვაეშურა. პატრონი გახარებული შეხვდა მათ. კლდეზე მიჯახებისაგან გაღუნული რქები გაუსწორა და ისევ საბალახოზე გაუშვა.

გადარჩნენ უშგულელები. ისინი გულმხურვალედ ლოცავდნენ წმინდა მარიამსა და კვირიკეს, რომელთაც დაამარცხეს ბოროტი დევი.

ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ეს კლდე მართლაც განგებ ჩაედგას ხეობაში რაღაც მძლეთამძლე ძალას, ხოლო შემდეგ სხვა ძალას გაერღვიოს, რათა მდინარეს თავისუფლად ედინა. ბობოქარი ენგური აქ ერთმანეთის პირისპირ ამართულ ორ კლდეს შორის დარჩენილ ვიწრო ნაპრალში მიძვრება, ბრაზობს, ღრინავს და ყეფს, თითქოს გული მოსდის ამ კლდეებზე, რომლებიც მას ვიწრო კალაპოტში სვამენ. ჩქერალი შხეფებს მაღლა

ისვრის და კლდის ტანს ესხურება. მალე, ალბათ, მდინარეს ადამიანიც მიეხმარება და დევის კლდის ნაპრალი უფრო გაფართოვდება. კალიდან წამოსული სამანქანო გზა სწორედ დასავლეთიდან ებჯინება დევის კლდეს. კიდევ ცოტა ხანიც და ლაღუმები ამ კლდესაც შეუნგრევენ მკერდს და მაშინ ჩვენსავით წამოსული ტურისტები ალბათ მანქანით ჩაუქროლებენ ამ ადგილებს.

კარგა ხანს გავცქეროდით ფერდობიდან დევის კლდის ლეგენდარულ სანახაობას. მერე კი თავქვე დავეშვით.

რაც ქვევით ჩავდიოდით, ბუნება სულ უფრო და უფრო მრავალფეროვნდებოდა. ტყე მდიდრდებოდა და უკვე კალას მისადგომებთან წიწვიანი ტყის კორომებიც გამოჩნდა. შევედით უღრანი ტყეებით შემოსილ ენგურის ხეობაში. გამოჩნდა სოფელი კალაც, სადაც ღამე უნდა გაგვეთია.

* * *

კალას სოფლები უმეტესად ფერდობებზეა მიყუჟული. სახლები ერთმანეთის ახლოს დგანან. ხშირად ორ მეზობელ სახლს შორის ვიწრო ბილიკია დარჩენილი. სოფლის დასახლების ასეთი სტრუქტურა აქაც სახნავი მიწის სიძვირითაა გაპირობებული. ცხადია, ენგურის ჭალებში, სადაც ახლა პურის ყანებია, სოფელი უფრო თავისუფლად გაიშლებოდა, მაგრამ ეს სახნავ ფართობს ძლიერ შეამცირებდა. ამიტომაა, რომ სოფელი კლდოვან ადგილზეა გაშენებული.

სახლები აქაც ორი ტიპისაა: ახალი და ძველი. მართალია, რაოდენობით ახლები ჭარბობს, მაგრამ ძველიც ბევრია შემონახული. თუმცა ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ხალხი ჯერ კიდევ მაჩუბებში ცხოვრობს. ვისაც ახალი აუშენებია, ძველი სახლი საქონლის ბინად დაუტოვებია. მაჩუბს მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლის ბინად იყენებენ, ხოლო დარბაზში თივას ან ინვენტარს ინახავენ. მაჩუბი საქონლისათვის შესანიშნავი ბინაა. აქ ყველას თავთავისი სადგომი აქვს მიჩენილი. ხარებს ცალკე, ფურებს ცალკე და მოზვრებსა და დეკეულებსაც ცალკე. ბაგებიც თავთავიანთი აქვთ. დაგებულია იატაკი, თანაც დამრეცად. რომ სისველე დაიწრიტოს. ნაკელისაგან კი, ჩვეულებრივად, დღეში ორჯერ წმენდენ. სადგომთა ასეთი

სტრუქტურა კარგად მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდნენ აქ მესაქონლეობას ძველთაგანვე.

ჩვენს მასპინძელს ამბერკი ხარძიანსაც ორი სახლი უდგას, ერთი ძველი და ერთიც ახალი. ახალი სახლი მთელ სოფელში გამოირჩევა თავისი სიმაღლით. ესაა ერთადერთი სამსართულიანი სახლი მთელს კალის თემში. ჩვეულებრივად კი ორსართულიანი ახალი სახლებია. როდესაც ამბერკის სახლის მესამე სართულიდან გადაჰყურებთ ქვევით, ენგურის ჭალებს, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს მწვერვალზე ხართ ასული და იქიდან დასცქერით მის ძირში გაშლილ ხეობას.

დიასახლისმა ბინა მესამე სართულზე მიგვიჩინა. ბარგი აეიტანეთ და აივანზე გადმოვდექით. ქვევით, ენგურის ჭალებში, ხალიჩებივით იყო გაშლილი მზით განათებული პატარა ყანები და მწვანე საძოვრები. ამ ყანებსა და საძოვრებს ტყეები მოსდევს. ენგურის გაღმა ერთი განცალკევებული გორაა, რომლის თავზე წმიდა კვირიკეს ეკლესია ამართულა. ამ ეკლესიის ნახვა ხვალისათვის გვაქვს გადადებული.

ეკლესიის გასწვრივ ფერდობებზე საკმაოდ დიდი, გაშიშვლებული ადგილი მოჩანს. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს რამდენიმე წლის წინ იქ ახო გაუტეხიათ, ხოლო შემდეგ მიუგდიათ და ის ახო გაყამირებულა.

— ოთხი წლის წინათ მანდ ხანძარი გაჩნდა,—გვეუბნება ამბერკი, — მთელი სოფელი გავედით ჩასაქრობად, მაგრამ მაინც დიდი ზარალი მოგვაყენა. სწორედ მაგ ადგილას იყო ყველაზე კარგი ნაძვნარი. — ამბერკის ლაპარაკში სინანული ეტყობა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ წუხდნენ კალელები მაშინ! გასაგებიცაა, რადგან, მართლაც და რა იქნება ენგურის ესოდენ ლამაზი ხეობა უტყეოდ? ღვარცოფები ჩამორეცხავს ნიადაგს და დარჩება მხოლოდ გაშიშვლებული კლდე და ქვა. მაშინ ენგურის ხეობაში არა თუ კაცს, ხვლიკსაც გაუჭირდება არსებობა.

სადილის შემდეგ ენგურის ჭალებისაკენ წავედით.

ადიდებული და ახმაურებულია ენგურ-მდინარე. მის ნაპირას ჩვენც ხმამაღალი ლაპარაკი გვჭირდება, დაახლოებით ისე, როგორც უშგულელები ლაპარაკობენ. ციცი წყლით ხელ-პირის დასველება სასიამოვნოა, მაგრამ მდინარეს კარგი მისადგომი არა აქვს, რომ

ახლოს მივიდეთ. საურმაგი ზევით მიჰყვება ნაპირს და, ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენც იქეთ გვეძახის. ჩვენს მისვლამდე საურმაგს მდინარიდან ამოშვერილ უზარმაზარ ლოდზე წამოსკუპება მოესწრო. ამ ლოდს ჩვენგან ენგურის მოზრდილი ტოტი ჰყოფს. პირველად გავიკვირდა, ვერ მივხვდით, საიდან ამოყო თავი საურმაგმა ლოდზე. შემდეგ იქაურობა კარგად დავათვალიერეთ და გზა დავინახეთ. ჩვენს ქვევით, ნაპირთან, დიდი ლოდი იდო. ამ ლოდიდან მეზობელ ლოდზე შეიძლებოდა გადახტომა. ასევე მეზობელ ლოდიდან შემდეგზე და რამდენიმე ასეთი ნახტომით კაცი საურმაგის „სამფლობელოში" ამოყოფდა თავს. საურმაგს კი ჰგონია, ვერ მივხვდებით მის საიდუმლოებას, ზის ლოდზე და თან თავის საყვარელ მელოდიებს ღიღინებს.

როდესაც ყველანი საურმაგის „სამფლობელოში" აღმოვჩნდით, მზემ უკანასკნელი სხივი მოსწყვიტა იქაურობას და მთებს უკან ჩაწყურა. მე ფოტოაპარატი მოვიმარჯვე, უკან გამოვბრუნდი და ენგურის ნაპირიდან ამხანაგებს სურათი გადავუღე.

შინ შებინდებისას დავბრუნდით. სოფელში ძაღლებმა ყეფა ატეხეს. ორღობეები შინმომავალი ნახირით იყო სავსე. დინჯად მოაბიჯებდნენ მაძღარი ხარები და ფურები. ჩემს თვალში ახლა სულ სხვა ელფერი დაედო სოფელს. უფერულია სოფელი ნახირის გარეშე.

„გაურ გავხე" — ხალდელთა ლაშქრული

ვახშმად ამბერკიმ ხალხმრავალ სუფრაზე მიგვიწვია. აქ იყვნენ კალაში ქორწილზე ჩამოსული ხალდელებიც.

დავსხედით თუ არა, თამადა თავის საქმეს შეუდგა. ქართული სუფრის წესის თანახმად, ჯერ დიასახლისი ადღეგრძელა, შემდეგ სტუმრები და ასე. შეჰყვა ღრმად. ლეჩხუმურმა ღვინომ ჩვენც თავიდანვე შეგვიტყუა. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მიჰყვა და ბოლოს ხალდელებმა სიმღერა წამოიწყეს.

ჩემი ყურადღება ერთმა სახენაჭრილობევმა ხალდელმა მიიპყრო, ის სუფრაზე ჩემს პირდაპირ იჯდა და ძალაუნებურად ერთმანეთს ვუყურებდით. ნაჭრილობევი ღაწვისთავზე იწყებოდა, თვალბუდის წყვეტილის შემდეგ მარცხენა წარბს შუაზე ყოფდა და შუბ-

ლზე გრძელდებოდა. ჩანდა, ჭრილობა თვალსაც შეხებოდა. დაზიანებული თვალი ზევით იხედებოდა სახის ნორმალური მდგომარეობის დროსაც. რატომღაც ვიფიქრე — ალბათ უბრალო ჩხუბის დროს დაიჭრა-მეთქი ეს კაცი. ასეთი ფიქრის საბაბს ის მაძლევდა, რომ ნაჭრილობევი ნახანჯლარს ჰგავდა, მაგრამ ასეც არ უნდა ყოფილიყო. ცნობისმოყვარეობამ მძლია და ჩემს გვერდით მჯდარ კალელ ახალგაზრდას ვკითხე.

— სად დაიჭრა ალმაცგირი?

— სამამულო ომში, — მიპასუხა მან. ამ სიტყვების შემდეგ ჭრილობამ უფრო გაალამაზა და მეტი ვაჟკაცური იერი შესძინა ალმაცგირს.

ალმაცგირი თანამესუფრეებს ზორის ყველაზე რიხიანად მღეროდა. თუ ვინმე სიმღერას წამოიწყებდა, მაშინვე ისიც მხარს აუბამდა. ხშირად თვითონაც იწყებდა. აი, წამოიწყო „გაურ-გავხე". ძლიერი, ომახიანი ხმით უძღვებოდა გუნდს. მისი სახის გამომეტყველებაც ჰანგს ასდევდა. ვაჟკაცის თვალებში ნაპერწკლებმა იმატეს. დაშავებული თვალიც უფრო აუბრწყინდა. ძლიერად მღეროდნენ სხვებიც. მტერზე ამხედრებული ჯარის ვაჟკაცური გუგუნი გაისმოდა მათ ხმაში. თვალწინ წარმომიდგა ამ სიმღერის შექმნის დრო, ამ სიმღერასთან დაკავშირებული ამბები.

ისტორიაში გაუგონარ უთანასწორო ბრძოლასთანაა დაკავშირებული ხალდელთა ლაშქრული სიმღერა „გაურ-გავხე". ბუმბერაზ მთების კალთებზე მიყუჟული პატარა სოფელი აჯანყდა რუსეთის ცარიზმის უსამართლოების წინააღმდეგ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც საბატონო სვანეთის მთავრებმა, დადეშქელიანებმა, რუსეთის მეფეს ერთგულება შეჰფიცეს (1833 წ.). ისინი ცდილობდნენ მთავრობის დახმარებით ხელთ ეგდოთ უბატონო სვანეთი. დადეშქელიანების უღლის თავიდან ასაცილებლად თავისუფალმა სვანებმა დახმარებისთვის მთავრობას მიმართეს. მთავრობამ თავის მხრივ ისარგებლა ამ მომენტით და 1840 წელს ზემო ხევში საბოქაულო შექმნა.

მთავრობა უბატონო სვანეთის მცხოვრებთ ყოველგვარ სიკეთეს ჰპირდებოდა, მაგრამ დრო გადიოდა და მთავრობის დაპირება დაპირებად რჩებოდა. არც სკოლების გახსნაზე ზრუნავდა ვინმე, არც გზების გაყვანაზე და არც საექიმო პუნქტების შექმნაზე. პირიქით, მთავრობამ თანდათანობით სხვადასხვა გადასახადები შეაპარა თავი-

სუფლებისმოყვარე ხალხს. მოტყუებულმა ხალხმა მალე დაინახა მეფის მთავრობის ნაძდვილი სახე და მათ უკანონო მოქმედებას წინ აღუდგა. 1871 წელს მთავრობამ სვანეთში მუდმივი ჯარი ჩააყენა, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა ადგილობრივი პოლიციისათვის დახმარების გაწევა უკმაყოფილო ხალხის ასალაგმავად. 1876 წელს სვანეთის ბოქაულმა, მთავრობის დავალებით გლეხთა მიწების აზომვა დაიწყო. გლეხობა მიხვდა, რომ ყველაფერი ეს მიწის დაბეგვრის სამზადისს წარმოადგენდა და წინ აღუდგა მთავრობის გადაწყვეტილებას. მულახის საზოგადოებამ ყრილობა მოიწვია და მთავრობას თხოვნით მიმართა. მთავრობამ კი ყრილობის მოწვევა აკანყებად ჩათვალა და მის ჩასაქრობად ჯარი გამოგზავნა გენერალ ციტოვიჩის მეთაურობით და გუბერნატორ პალაფეევის თანხლებით. სვანებმა გადაწყვიტეს უსამართლობას იარაღით დახვედროდნენ და ბალის და ლატფარის მისადგომებთან დარაჯები დააყენეს.

გუბერნატორმა მალაფეევმა ხალხის ყრილობასთან მოლაპარაკება გამართა. ის მოსახლეობას არწმუნებდა—მთავრობას მხოლოდ კეთილი სურვილები აქვსო, ამასობაში კი გულმოდგინედ ცდილობდა მღელვარების მოთავეთა ვინაობის გაგებას და მათ ხელშეჩაგდებას. ადგილობრივი ბოქაულის დახმარებით გუბერნატორმა მიიღო სია თექვსმეტი კაცისა, რომლებიც ამბოხების ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ. მალაფეევმა ეშმაკურ ხერხს მიმართა. ის თექვსმეტი კაცი გამოიძახა და გამოუცხადა: მეფის ნაცვალთან უნდა წარგადგინოთ და ის შეიწყნარებს თქვენს თხოვნასო. გამოძახებულებიდან მხოლოდ ცამეტი კაცი გამოცხადდა და მალაფეევმა ისინი ქუთაისისაკენ წაიყვანა. გზად მალაფეევს უნდა დაეპატიმრებინა კიდევ ერთი სიაში აღნიშნულთაგანი, მაგრამ ის ორ თავის ნათესავთან ერთად კოშკში ჩაიკეტა და რაზმს სროლა აუტეხა. მაშინ რაზმმა კოშკს ალყა შემოარტყა და ცეცხლი წაუკიდა. კოშკში გამომწყვდეულნი იძულებულნი გახდნენ დანებებოდნენ.

მეფისნაცვლის მიხეილის ბრძანებით შეპყრობილთა ნაწილს გადასახლება მიესაჯა, ნაწილს კი პატიმრობა. გადასასახლებელთა შორის იყვნენ გურმაჩ გასვიანი და ჩარგაზ ჯოხაძეც, რომლებიც მალაფეევთან არ გამოცხადდნენ და ტყეში გაიხიზნენ. ეს ორი ადამიანი გახდა ციტოვიჩის რაზმის სვანეთში მეორედ მოსვლის მიზეზი, რომლის შედეგადაც აოხრებულ იქნა სოფელი ხალდე.



ცისფერი ტბა ჭლვირზე

1876 წელს ივლისში ლეჩხუმის მაზრის უფროსს გრინევსკის აცნობეს, რომ მეფისნაცვლის ბრძანება გურმაჩ გასვიანისა და ჩარგაზ ჯოხაძის დაპატიმრების შესახებ სისრულეში არ არის მოყვანილი. ამის გამო გრინევსკი პირადად გაემგზავრა ბეჩოში. ბეჩოში ადგილობრივ მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ გრინევსკი ხალდეში ავიდა „დამნაშავეთა“ დასაპატიმრებლად და თან ჯარი წაიყვანა მაიორ ლეუსის მეთაურობით. გზად მიმავალმა გრინევსკიმ სოფელ მულხაში „დამნაშავენი“ რომ ვერ დააპატიმრა, ერთი მათგანის ორი შვილი შეიპყრო და კალაში წაიყვანა. ხალხი აღაშფოთა ამ ამბავმა.

სოფელ კალიდან გრინევსკიმ მოლაპარაკება გამართა სოფელ ხალდესთან. ის მოითხოვდა ხალდელებს მისთვის გადაეცათ გურმაჩი და ჩარგაზი. მაგრამ ხალხმა მტკიცე უარი შეუთვალა. მაშინ გრინევსკიმ და გარნიზონის უფროსმა ლეუსმა ხალდისკენ ჯარი დასძრეს. გლეხობამ სოფლისაკენ მომავალი ჯარი რომ შენიშნა, ცოლშვილი სასწრაფოდ გახიზნა, ხოლო ვისაც ბრძოლის უნარი ჰქონდა, შეიარაღდნენ და კოშკებში ჩაიკეტნენ. მარტო მოხუცები უნდა შეხვედროდნენ გრინევსკის სოფლის შუაგულში.

ხალდელებს სისხლისღვრა არ სურდათ. მათ უნდოდათ სამართალი მშვიდობიანი გზით ენახათ. მართლაც. ჯარის მოახლოებისთანავე მოხუცთა ჯგუფი გრინევსკის ეახლა და სთხოვა — ოღონდ სოფელს ნუ ააოხრებთ და რაც გინდათ, იმას შევასრულებთო. როდესაც ეს მოლაპარაკება წარმოებდა, ლეუსის ჯარისკაცებმა სოფელში თვალი მოჰკრეს ორ კაცს, რომელთაც კოშკში შესვლა ვერ მოესწროთ. ლეუსმა ჯარისკაცებს უბრძანა დაეჭირათ ისინი. ბრძანება შესრულებული იქნა. ჯარისკაცებმა ცემა დაუწყეს დაჭერილებს. მაშინ სვანებმა ხანჯლები იშიშვლეს და რამდენიმე ჯარისკაცი დაჭრეს. ჯარისკაცებმა ხიშტებზე ააგეს შეპყრობილნი.

კოშკებში მყოფმა გლეხებმა დაინახეს თუ არა ეს სურათი, საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ გრინევსკი ავი ზრახვებით იყო მოსული და მასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებით ვერაფერს გახდებოდნენ. ამიტომ მომხდურს მათაც სროლა აუტეხეს და მოჰკლეს მაიორი ლეუსი და რამდენიმე ჯარისკაცი. იმავე საღამოს მოკლულ იქნა გრინევსკი და ბოქაულიც.

განრისხებულმა მთავრობამ ხალდეში დამსჯელი რაზმი გაგზავნა

გენერალ ციტოვიჩის ხელმძღვანელობით. ციტოვიჩის რაზმი 10 აგვისტოს ხალდეს მოადგა. ხალდელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხდურს. ციტოვიჩის ყოველი ცდა ხალდელთა დამორჩილებისა უშედეგო იყო. გააფთრებული ბრძოლა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ხალდეს კოშკებს ყოველი მხრიდან უშენდა არტილერია. ალყაში მოქცეულმა ამბოხებულებმა იგრძნეს მოახლოებული მარცხი, ამიტომ ღამის წყვდიადში კოშკებს თავი მიანებეს და ტყეში გაიხიზნენ. ციტოვიჩის რაზმმა გადარჩენილი კოშკებიც ნაღმებით აიფეთქა, სახლები გადაწვა და ლამაზი სოფელი ხალდე ნაცარტუტად აქცია.

ასეთი იყო ის უთანასწორო ბრძოლა, ასე დაინგრა სოფელი ხალდე. ამაზე შეიქმნა ხალდელთა ლაშქრული სიმღერა „გაურ-გავხე", სადაც მოთხრობილია მტრის შემოსევისა და ხალდელთა გმირული ბრძოლის ამბავი. ამ სიმღერას დღესაც აღტაცებით მღერის ხალდელი ხალხი. საკმარისი იყო ამღერებული ალმაცგირის სახის დანახვა, რომ „გაურ-გავხეს" ძალა ეგრძნო კაცს. რატომღაც ასე მგონია, რომ გურმაჩი და ჩარგაზი ალმაცგირს ჰგავდნენ შესახედაობით. ვინ იცის, იქნებ მათ სახესაც ისე ამკობდა ბტერთან ბრძოლაში მიღებული ნაჭრილობევი!

„გაურ-გავხეს" სხვა სიმღერები მოჰყვა და ბოლოს ხალდელები ცეკვაზე ვადავიდნენ. აქაც ალმაცგირი სჯობდა ყველას. ეს ახოვანი ეაქკაცი მსუბუქად ცეკვავდა, ჯერ ხელები უკან ჰქონდა დაწყობილი და ისე ჩამოუარა; შემდეგ წინ გადმოიტანა, თითქოს ხანჯლის ტარს ჩასჭიდაო და ცერებზე გადავიდა. ჯიხვივით დაუარა ცერებზე ალმაცგირმა. როცა მეორედ შემოუარა წრეს, შედგა. ახლა სხვა მოცერულე შეენაცვლა მას...

კარგა ხანს გასტანა ლხინმა და მხიარულებამ. სუფრა ნაშუაღამევს აიშალა. ამბერკის სტუმრები გამოგვემშვიდობნენ და წავიდწამოვიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მე აივანზე ვიდექი და ღამის ბინდში წმინდა კვირიკეს ეკლესიას გავყურებდი. მალე ენგურის ნაპირიდან სიმღერის ხმა წამოვიდა. შინისკენ მიმავალი ალმაცგირი და მისი ამხანაგები მღეროდნენ „გაურ-გავხეს". თავისუფალი ხალდელები დღესაც ამ ლაშქრულით მიემართებიან თავისი საყვარელი სოფლისაკენ, სადაც მჩქეფარე სიცოცხლე ვერ ჩააქრო ცარიზმის ქვემეხებმა და-

ნალმებმა. სიმღერა უფრო და უფრო შორიდან ისმოდა, თანდათანობით ყრუვდებოდა, დაბოლოს მთლიანად მიწყდა, თითქოს ღამის წყვდიადმა შთანთქაო. ენგურის ჭალებიდან მზერა ისევ კვირიკეს ეკლესიისაკენ გადავიტანე. განცალკევებით მდგარ გორაზე შუბისწვერივით ჩანდა კვირიკეს ეკლესია. მის თავზე კი შუქურა ვარსკვლავი კიაფობდა.

* * *

დილას ამინდმა გაგვახარა. ვისაუზმეთ თუ არა, მაშინვე წმინდა კვირიკეს ეკლესიისაკენ გავწიეთ. სმენით ყველას გვესმოდა ამ ეკლესიის შესახებ, მაგრამ ნახვით არავის გვენახა. იგი აგებულია ენგურის მარცხენა ნაპირას, სოფელ დავბერის ცოტა ქვემოთ, მაღალ, განცალკევებულ გორაზე. ძველად აქ მონასტერი ყოფილა. ირგვლივ ტყეებია, უმეტესად ნაძვნარი. შემოგარენის ტყე საღმრთოდ ითვლება და ადგილობრივი მცხოვრებნი იქ დღეს წკეპლასაც არ სჭრიან.

დასავლეთით ეკლესიას მიდგმული აქვს პატარა სამრეკლო, ხოლო სამხრეთით — უბრალო ქვის ოთახი. ეკლესიაში შესავალიც ამ ოთახიდანაა. ეკლესიას ქვიტკირის მაღალი კბილოვანი ზღუდე ჰქონია შემოვლებული, მაგრამ ის ახლა დანგრეულია.

სატრაპეზო ოთახები და სენაკები ქვემოთ ფერდობზეა გაშენებული, ისინი ეკლესიის ზღუდეს უერთდებიან. აქ წინათ თურმე ბერები ცხოვრობდნენ. ამჟამად კი ეკლესიის მცველების სადგომია.

კალის ეკლესიას წინათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ სამლოცველოს სვანეთში. ყოველ თემს თავისი ეკლესია ჰქონდა უამრავი ჯვარ-ხატებით, მაგრამ მათში ყველაზე ძლიერად მაინც ეს—წმინდა კვირიკეს და ივლიტას ეკლესია ანუ „ლაგურკა“ მიიჩნდათ. აქ იყო ცნობილი ხატი, რომელსაც შალიანს უწოდებდნენ. ძველად ხალხს სწამდა შალიანის ხატის დიდი ძალა, ამიტომ დანაშაულში შემჩნეულ პირებს ამ ხატზე დააფიცებდნენ ხოლმე. არ ყოფილა შემთხვევა, რომ „ლაგურკას“ ძლიერი ხატის წინაშე ვინმეს სიმართლე დაემალოს.

საინტერესო თქმულება არსებობს ამ ხატთან დაკავშირებით: ერთხელ იმერეთის მეფემ სვანეთიდან ასი ვაჟკაცი გაიწვია და გეგუთის დიდი ველის მოთიბვა შეუკვეთა. მეფემ მთიბავებს ვადა

დაუდო — ამა და ამ დროს უნდა დაამთავროთ თიბვაო. მთიბავებს ზორის ერია ვინმე შალიანი. შალიანმა მეფეს სთხოვა, მარტო მე მოვთიბავ მაგდენ ხანში ეგეგუთის მთელ ველს და, რაც მერე გთხოვოთ, ის ამისრულეთო. მეფე დათანხმდა. დაიწყო შალიანმა და დანიშნულ დროზე მართლაც მორჩა თიბვას. მეფე თავის პირობაზე იდგა. შალიანმა მას რჩეული ხატი სთხოვა გასამრჯელოდ. მეფემ შეასრულა შალიანის თხოვნა და ხატი მისცა. შალიანმა ხატი ვაცის ტყავში გამოხვია და სვანეთში წამოიღო. კალელებმა შეიტყვეს, რომ შალიანს ძვირფასი ნივთი მოაქვსო, დაუხვდნენ გზაში და წაართვეს. როდესაც ვაცის ტყავში გახვეული ნივთი გახსნეს, შიგ ხატი აღმოჩნდა. კალელებმა არ იცოდნენ, სად დაესვენებინათ ხატი, ამიტომ ასე მოიქცნენ: ორი მოზვერი შეაბეს უღელში, უღელზე ბოძი დააკრეს, ბოძზე ხატი დაამაგრეს და მოზვერები თავის ნებაზე გაუშვეს. მოზვერებმა გადალახეს მდინარე ენგური, განმარტოებულ გორის ფერდობს აუყვნენ და ხატი წვერზე აიტანეს. მაშინ ხალხმა აქ ეკლესია ააშენა და ხატი შიგ დაასვენა. ხატი საგანგებო სკივრში ინახებოდა აბრეშუმში გამოხვეული. წელიწადში ორჯერ, წმინდა კვირიკეს და ივლიტას დღეობაზე ხატს ამოიღებდნენ და გარეცხავდნენ. ნარეცხი წმინდა წყლად ითვლებოდა. ეს წყალი ხალხის რწმენით ყველაფერს შველოდა და არჩენდა. წყალს ასხამდნენ ლამაზ სპილენძის დოქში ანუ თუნგში და სოფლიდან სოფელში ატარებდნენ, რომ ხალხი ხატის მაგივრად წმინდა წყალზე დაეფიცებინათ.

წმინდა კვირიკეს ეკლესია შიგნიდან თითქმის მთლიანად მოხატულია. ესაა ცალკეული სცენები წმინდანთა ცხოვრებიდან. კვირიკეს ეკლესიაში ინახება მრავალი ხის ჯვარი და სხვადასხვა ხატი, რომელთა დიდი ნაწილი ოქროთი და ვერცხლითაა მოპენილი.

წმინდა კვირიკეს ეკლესიის ეზოდან ხელისგულივით მოჩანს მთელი კალის თემი — ენგურის ჭალები, რომლებიც პურის ყანებითა და სათიბებითაა აპრელებული. სათიბებში კალელი კოლმეურნე მთიბავები გაშლილან. ჩვენს ყურადღებას იქცევს ეკლესიის ქვეშით, ენგურის ბალახმრავალ ჭალებში გამართული მთიბავთა შეჯიბრი. 10-12 ვაჟკაცი ამოსდგომია ერთმანეთს მხარში. სვრელის დასაწყისში ცელებს გალესავენ, ყიყინას დასცემენ და შეუტევენ სათიბს. შემდეგ ხმაური თანდათანობით წყნარდება. მთიბავები ბოლოში გადიან და ისევ თავიდან იწყებენ ყველაფერს.

ნასადილევს მთიბავებმა სიმღერა დასძახეს. ხმა საკმაოდ შორიდან მოდიოდა და კარგად ვერ ვარჩევდით, თუ რომელ სიმღერას მღეროდნენ. ალბათ „ყანსავ ყიფიანეს“ ან „შაი დილის“. კარგა ხანს ვუცქირეთ ამ სურათს, შემდეგ ეკლესიის დარაჯს გამოვემშვიდობეთ, შინ დავბრუნდით და იმავე დღეს მესტიისაკენ განვაგრძეთ გზა.

ოჭრომჭედლობის დიდოსტატები

მესტია ულამაზესი თემია ზემო სვანეთისა. ის შედარებით გაშლილ ადგილას მდებარეობს. სწორედ აქ უერთდება მდინარე ენგურს მარჯვენა მხრიდან წყალუხვი შენაკადი მესტიაჭალა. მდინარე მესტიაჭალა სათავეს ღებულობს ჭალათის და ლეზჰირის მყინვარებიდან, გზადაგზა კი მრავალი შენაკადი უერთდება. ისინი დაქანებულ ფერდობებზე მოედინებიან და უხვად მოაქვთ შლამი.

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ მესტია წარსულშიც ზემო სვანეთის ცენტრს წარმოადგენდა. მესტიის ისედაც ლამაზ მდებარეობას უფრო ამშვენებს ირგვლივ შემოჯარული მთები, რომელთა კალთებიც ტყითაა შემოსილი. აღმოსავლეთიდან მესტიას გადმოჰყურებს კეკლუცი თეთნულდი. სამხრეთ-დასავლეთით ჩანს ლაჰლას მთა თავისი უზარმაზარი მყინვარებით. ჩრდილოეთითაც მთებია აღმართული და მათ უკან დგას ზღაპრული უშბა. სამხრეთითაც ტყით შემოსილი ლამაზი მთებია...

მესტიაში ძირითადი სოფელია სეტი. რაიონული ცენტრი ძირითადად ამ სოფლის ტერიტორიაზეა გაშენებული. თვით თემის სახელწოდება „მესტიაც“ ამ სოფლის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს. ჩანს, სოფელ სეტს წარსულშიც წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მას ჰქონდა მდიდარი ეკლესია, რომელშიც წინათ მონასტერი ყოფილა და ერთ დროს თავისი ეპისკოპოსიც ჰყოლია.

დღეს რაიონულ ცენტრს ქალაქური იერიც კი დაპკრავს. ქუჩებში ხალხის სიმრავლეა. ზაფხულობით აქ შეხვდებით სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს — ტურისტებს. მესტიაში მოზრდილი ტურბაზაა. ტურისტებს შორის არიან არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის მოქალაქეები, არამედ უცხოელებიც.

მესტიაში სასტუმროში დავბინავდით და შემდეგ ეთნოგრაფიული მუზეუმის დასათვალიერებლად წავედით.



მულახი. სოფ ბომბაში

მესტიის ეთნოგრაფიული მუზეუმი მოთავსებულია ყოფილი ეკლესიის შენობაში. ეს შენობა შედარებით ახალია. იგი აუშენებიათ ძველი სეტის ეკლესიის ადგილზე. მუზეუმი მდიდარია მასალებით. ჰყავს კვალიფიციური კონსულტანტებიც, მაგრამ ჩვენი კონსულტანტობა მუზეუმის გამგემ, კაკო კვიციანმა იკისრა. როგორც წესი, დათვალიერება უძველესი კულტურის ნაშთებიდან დავიწყეთ. მუზეუმში განსაკუთრებით მდიდრადაა წარმოდგენილი ბრინჯაოს ხანა. აღსანიშნავია, რომ სვანეთში საგანგებო არქეოლოგიური გათხრები ჯერჯერობით არ ჩატარებულა. ბრინჯაოს ხანის ექსპონატები ნაპოვნია ოქროს მოპოვებისას. ცნობილია, რომ დიდი სამამულო ომის დროს ცხენისწყლისა და ენგურის ბასეინებში ოქროს პოულობდნენ. საგანგებოდ მოწყობილი არქეოლოგიური გათხრები, ალბათ მდიდარ მასალას მისცემს მესტიის ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

მუზეუმში საპატიო ადგილი უკავია რაიონის მკვიდრთა ყოფაცხოვრების ამსახველ მასალას. აქ ნახავთ სხვადასხვა დროის ქალისა და კაცის ტანისამოსის ნიმუშებს, ქალის სამკაულებს და მამაკაცის იარაღს. განსაკუთრებით საინტერესოა ქალის სამკაულების განყოფილება. ვერცხლისა და ოქროსაგან დამზადებული სამკაულები აქაურ მცხოვრებთა მაღალ გემოვნებაზე მეტყველებს.

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება მრავალი ძველი ქართული ხელნაწერი ძეგლი. მათ შორის იერუსალიმის დიდი კანონარი X საუკუნისა, რამდენიმე ოთხთავი. აღსანიშნავია ოთხთავი XII საუკუნისა, რომელიც გადაწერილია იერუსალიმში ივანე ქანცხლიანის მიერ და იქიდან გამოგზავნილი ფხუტრერის მთავარანგელოზის ეკლესიის დეკანოზის ხელით. კაკო დიდი სიყვარულით გვიჩვენებს ყოველივე ამას და გვიყვება მათ ისტორიას. ასეთი კულტურის ძეგლები კიდევ მრავლადაა გაფანტული რაიონის ეკლესიებში. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ახალი დაარსებულია. ფაქტიურად ის ჯერ კიდევ შექმნის მდგომარეობაში იმყოფება და ამიტომ ყველაფრის შეგროვება ვერ მოესწრო. პატარა შენობა იმ მდიდარ მასალასაც ძლივს იტევს, რომელიც ამჯერადაა დაგროვილი. კაკო გვაცნობს მომავლის გეგმებს. განზრახულია მუზეუმისათვის დიდი შენობის აშენება. ეს შესაძლებელს გახდის ეკლესიებში გაბნეული მასალის შეგროვებას და გამოფენას. მასალა კი თავსაყრე-

ლია. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები რად ღირს.

თუმცა ბევრი რამ ჯერ კიდევ არაა შეგროვილი, მაგრამ მესტიის ეთნოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ-

გულისყურით ვათვალიერებთ ოქრომჭედლობის დიდოსტატების ნახელავებს. ოქროთი მოჭედილი ყოველი ჯვარი. ყოველი ხატი თავისებურია, ლამაზი და საინტერესო. მათზე ოსტატურადაა გამოსახული სხვადასხვა სცენები წმინდანთა ცხოვრებიდან. მაგრამ არც ერთი მათგანი არ ამჟღავნებს შემოქმედის ვინაობას. არსად არაა აღნიშნული ოქრომჭედლის გვარი. დავიწყებას მისცემია ამ დიდოსტატთა სახელები.

მუზეუმში ინახება „ბედნიერ სვანეთის ერთოპილი ხევის“ დროშა ლომის სახედ შეკერილი. როცა ცხენოსანს ეს დროშა ხელში უჭირავს და ცხენს მიაჭენებს, მაშინ დროშა იბერება და ლომს ემსგავსება. განსაკუთრებით საინტერესოა ამ დროშის ტარის ბოლო, რომელსაც შუბის ფორმა აქვს. ის ვერცხლისაა და ოქროთია შეფერილი. შუბის პირის ორთავე მხარეზე გამოსახული არიან „ერთოპილ ხევის“ მფარველნი.

მუზეუმის ექსპონატთა დიდი ნაწილი სხვადასხვა ცნობილ პიროვნებას შეუწირავს სვანეთის ეკლესიებისათვის. ცნობილია, რომ საქართველოს მეფეები და ერისთავები უხვად ასაჩუქრებდნენ სვანეთის ეკლესიებს. აღსანიშნავია, რომ იფარის ეკლესია დავით აღმაშენებლის მხატვრის მიერაა მოხატული: ლატალის მაცხვარიშის ეკლესია დიმიტრი პირველის დროს 1242 წელს მოუხატავთ. კედელზე გამოსახულია თვით დიმიტრი, მისი გვირგვინის კურთხევის სცენა და მისი ერისთავები. დიდ ყურადღებას აქცევდნენ სვანეთში ეკლესიებს თამარ მეფე, რუსუდან დედოფალი და სხვები, ისინი ძვირფასი ხატებით ამკობდნენ მათ.

მუზეუმში ინახება გიორგი მესამის ნაქონი სურა და სასანთლეები. ყველა ეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მთის ქართველობა ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო ბართან, ბარის ქართველობასთან. ისინი მხარდამხარ იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ, ერთმანეთს ხელს უწვდიდნენ სამეურნეო საქმეებში და ერთად ქმნიდნენ საერთო კულტურას.

მუზეუმს აქვს ახალი ცხოვრების ამსახველი ექსპონატებიც, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ, თუ რაოდენ წინ წავიდა ცხოვრება ენგურის ხეობაში. თუნდაც მარტო ძველი და ახალი მესტია შეადარეთ ერთმანეთს. ძველი სეტი, სადაც კულტურულ დაწესებულებებიდან მხოლოდ ეს ეკლესია იდგა, სადაც ახლა მხარეთმცოდნეობის



მესტიის სოფლები

მუზეუმია მოთავსებული, და ახალი სეტი — მესტიის რაიონის ცენტრი, ახალი ადმინისტრაციული შენობებით, მაღაზიებით, კულტურის სახლით, კლუბით, მოასფალტებული ფართო მოედნითა და ქუჩებით. შეადარეთ და ნათელი გახდება ცხოვრების წინსვლა. ახლის უპირატესობა ძველთან.

ჩვენ ამოვედით ახალ მესტიაში. ძველი არ გვინახავს. მხოლოდ ძველთაძველი კოშკები თუ მოგვცემდნენ წარსულზე მკრთალ წარმოდგენას, მაგრამ, აი, მუზეუმი დაგვეხმარა და ნათლად დავინახეთ სვანეთის წარსული და აწმყო. ეს არის მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დიდი ღირსება. ეს არის ამ მუზეუმის თანამშრომელთა დამსახურება.

* * *

მესტია ზღვის დონიდან ათას ხუთასი მეტრის სიმაღლეზეა. წინათ აქ ხილი იშვიათი იყო. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ დიდი ნამყენი ხეები არსად ჩანს. უმეტესად პანტა ან მაჟალო დგას. ეელურ ხილს წარსულში აქ დიდი პატივი უნდა სდებოდა. ამიტომაცაა, რომ ყანებში ხელუხლებლადაა დატოვებული დიდრონი პანტები. ცხადია, თავისი ჩრდილით ეს პანტები მოსავალს აზიანებდნენ, მაგრამ მეურნე ამას ყურადღებას არ აქცევდა, რადგან პანტის ნაყოფი უფრო საჭიროდ მიაჩნდა.

დღეს კი მესტიის თითქმის ყველა სოფელში შეხვდებით პატარ-პატარა ბაღებს. ისინი უმეტესად ეზოებშია გაშენებული. მაგრამ გვხვდება მოზრდილი საკოლმეურნეო ბაღებიც. ჩანს, მეხილეობას კარგი მომავალი აქვს.

მეორე დღეს ადრე ავდექით, გარეთ გამოვედით და აღმოსავლეთისაკენ გავიხედეთ. გვინდოდა, ერთხელ კიდევ გვენახა კეკლუცი თეთნულდი. მაგრამ თეთნულდი ღრუბლებში იყო გახვეული. გული დაგვწყდა. ვინ იცის, იქნებ ისე წავსულიყავით, რომ ეს პატარაკალივით კეკლუცი მწვერვალი ვერც კი დაგვენახა. თავს იმით ვინუგეშებდით, რომ კიდევ მრავალი ლამაზი მწვერვალის ნახვა მოგვიწევდა. მათ შორის ყველაზე მეტად გვაინტერესებდა უშბა. როდესაც კალიდან მესტიისაკენ მიმავალნი უღვირის ქედზე გადავდექით, უშბას ღრუბლების საბურველი ჰქონდა შემოხვეული. კარგა ხანს ვუცადეთ. ბოლოს უშბამ ღრუბლები გადაიყარა და მულახის ლამაზ

სოფლებთან აღვბეჭდეთ ის ფოტოფირებზე. თანაც იმ იმედით წამოვედით, რომ მალე უშბასთან უფრო ახლოს მივიდოდით. და, აი, ახლა ჩვენი გზა სწორედ უშბის ძირისაკენ მიემართებოდა.

უშბა

კავკასიონის მწვერვალებს შორის უშბა გამოირჩევა ვაჟკაცური იერით. ის უფროს ძმასავით დაჰყურებს ზევიდან შხელდის, მაზერის და ჩათინის მწვერვალებს. უშბას უმეტესად ნისლი და ღრუბელი ახვევია. ხშირად ცის მოსარკულ გუმბათზე ღრუბლის ფთილაც კი არსად ჩანს, მაგრამ უშბას ამ დროსაც ან შავლეგა ყაბალახი შემოუხვევია თავზე, ან ბოხოხი დაუხურავს. შორიდან ცქერით ძნელია ამ ბუმბერაზის გულისნადების გამოცნობა. დროდადრო უშბა ტანს დაიბერტყავს და თვალწინ აღიმართება მრისხანე რაინდის სახით. ხანაც მხოლოდ სარკმელს გამოამტვრევს ღრუბლების საბურველში, ცალი თვალით გადმოხედავს მდინარე დოლრას ჭალებს და ცალყბად გაუღიმებს იქაურობას. ამ დროს თვალთმაქც ქალს უფრო ჰგავს უშბა. მახსოვს, ერთმა ბეჩოელმა ხანდაზმულმა გლეხმა ნადირობის ქალღმერთ ფალს შეადარა უშბა, როცა მან წუთით მოიხსნა ღრუბლების პირბადე და ცალყბად გაგვიღიმა. ზოგჯერ, კოკისპირული წვიმის შემდეგ. როცა ირგვლივ ყველაფერი ჯანღში და ღრუბლებშია გახვეული, უშბას ამაყად აუმართავს ჭაღარა თავი ღრუბლებს ზევით. გულმოსულ ცას ხშირად დაუყრია სეტყვა და ხოშკაკალი ურჩი რაინდისათვის, მაგრამ ქედი მაინც ვერ მოუხრევინებია. სეტყვით შეჭაღარავებული უშბა ომებში გამოვლილ მრავალნაცად გოლიათს ჰგავს.

სხვაზე უკეთ უშბას გულადი ალპინისტები იცნობენ. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ის მრისხანე ბუმბერაზია, რომელთან შებმა მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, ალპინისტებს უშბა მაინც ყველა მწვერვალზე მეტად უყვართ. მე მინახავს, თუ როგორი მოკრძალებით და სიყვარულით შესცქერიან ახალგაზრდა ალპინისტები უშბას დოლრას ჭალებიდან. მათ თვალებში ახალგაზრდული ჟინი ელავს, რაც ძალაუნებურად გარწმუნებს, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ისინი მართლაც შედგამენ ფეხს უშბის წვერზე.

უშბას მოუყირჭებელი სიყვარულით უყურებს ადგილობრივი ხალხი. წარსულში მრავალი თქმულება შექმნილა უშბასთან დაკავშირებით. ზოგი მათგანი ხალხს დღემდე შემოუნახავს. ამ ლამაზ თქმულებებში ერთი მაინც ყველას სჯობს:

დალი და ბეთქილი

განთქმული ვაჟკაცი იყო ბეთქილი. უშიშარი და უდრეკი, ახოვანი და ლამაზი. ბევრი გასათხოვარი ქალი ათენებდა ღამეებს მასზე ოცნებაში. მაგრამ ბეთქილი ნუგეშს არავის აძლევდა და მოზღვავებულ ენერგიას შრომასა და ნადირობაში ხარჯავდა. ხან სირბილში ეჯიბრებოდა ტოლ-ამხანაგებს. ხან ქვის ან ისრის ტყორცნაში ცდიდა მკლავს. ხანაც ჭიდაობაში მონაწილეობდა. ყველგან პირველი იყო ბეთქილი. ბადალი არ ჰყავდა. ხალხიც უსაზღვრო სიყვარულით შეჰყურებდა მის საამაყო და საიმედო შვილს. ვისაც გაუჭირდებოდა, ბეთქილი იქ იყო; მისი ძლიერი, მაღლიანი მარჯვენა ყველგან სწვდებოდა და ყველას გულს იგებდა.

ნადირობაშიც არ ჰყავდა ტოლი ბეთქილს. მისი ისარი მიზანს არ სცდებოდა, მის თვალს არაფერი გაძოეპარებოდა. კლდეს ჯიხვივით გადაევლებოდა და მუხლიც ჯიხვივით მოუღლელი ჰქონდა. ხელცარიელი შინ არასდროს ბრუნდებოდა. მისი ნანადირევი მთელი სოფლის კუთვნილება იყო.

ერთხელ ბეთქილი უშბაზე წავიდა სანადიროდ. დიდხანს უნაყოფოდ იარა. ასე არასდროს მოსცარვია ხელი. ჯერ იყო და არჩევების ჯოგს გამოუცდელ მონადირესავით წაადგა თავს და დააფრთხო. შემდეგ ჯიხვებმა ჩაურბინეს ყვერდით და მშვილდ-ისრის მომარჯვებაც ვერ მოასწრო, ისე ამოეფარნენ თვალს. შუადღემდის იხეტიალა და ბოლოს გადაწყვიტა, შინ ხელცარიელი დაბრუნებულიყო. მაგრამ ესეც უმძიმდა სახელმოხვეჭილ მონადირეს. ეშინოდა — ვაითუ სახელი გამიტყდესო. მის ახალგაზრდა გულს კაეშანი ღრუბელივით შემოეხვია; დაჯდა და უძლურივით დაიწყო ცქერა აქეთ-იქით, სწორედ ამ დროს ბეთქილის თვალწინ თითქოს კლდემ მკერდი გახსნა და იქიდან ჯიხვი ამოვარდა. აი, ჯიხვი უკვე ქარაფებზე გარბის და ბეთქილი გაოცებული შეჰყურებს სასწაულებრივ სურათს. მერე მშვილდ-ისარს დასტაცა ხელი და ჯიხვს დაედევნა. კარგა ხანს სდია ნადირს



ენგურის ხეობაში მცენარე კლდეზეც კი იკიდებს ფესვს

ვაქაცმა და გადმოკიდებულ კლდეებსა და თვალშეუდგამ ქარაფებში შეჰყვა. კლდეთა თავებიდან გადმოვარდნილი ჩახჩერები თეთრი ქაფივით მოედინებოდნენ ჰაერში და ქვევით მტვერივით იბნეოდნენ ლოდებზე.

როგორც კი აქ შემოდგა ფეხი, ჯიხვი თვალთაგან გაუქრა ბეთქილს. ის ახლა გაოცებული იდგა ბუნების გრანდიოზული სურათის წინაშე. მყინვარების ზედაპირიდან არეკლილი მზის სხივები ლურჯად ღებავდნენ გამჭვირვალე ჰაერს. უამრავ ცისარტყელას ათასფრად მოექარგა უშბის გოლიათური მკერდი.

უცებ რაღაც ძლიერმა შუქმა მიიზიდა ბეთქილის ყურადღება. ყველაზე დიდი ჩანჩქერის ბოლოდან მოდიოდა ეს შუქი. იქით მიიხედა ბეთქილმა და გული შეუქანდა. ჩანჩქერთან იდგა ტანშიშველი ქალღმერთი დალი და ოქროსფერ თმას ივარცხნიდა. ვაქაცი ერთბაშად მოიხიბლა. დალის სილამაზეზე ბეთქილს ბევრი სმენოდა, მაგრამ თუ ესოდენ მომხიბვლელი იქნებოდა, ვერ წარმოედგინა.

ერთ ხანს ასე, ბეთქილისაკენ ზურგშექცევით იდგა დალი. შემდეგ ნელა შემობრუნდა და მისი ტანის სილამაზით დატყვევებულ ვაქაცს გულისმწველი ღიმილი ესროლა. ამ ღიმილს კი ვეღარ გაუძლო ახალგაზრდა ვაქაცმა. ბეთქილმა პირველად იგრძნო ქალის სილამაზის ძალა. ადგილს მოსწყდა, ქალთან მიირბინა და მის ფერხთით დაემხო. დალმა ალერსი არ დააკლო სანაქებო ვაქაცს, და ხალხის საამაყო შვილი დაითანხმა სამუდამოდ მასთან დარჩენილიყო კლდეთა, ყინულთა და ნადირთა სამეფოში.

პირველად ქვეყანაზე უბედნიერეს კაცად თვლიდა თავს ბეთქილი. ულამაზესი დალის ალერსით და ტრფობით გამთბარი მისი გული ხარობდა და ჰყვაოდა. ნადირის ძებნაც აღარ სჭირდებოდა. ჯიხვთა და არჩვთა ჯოგები გარს ეხვეოდნენ მათ; ახლოს მოდიოდნენ და ხელებს ულოკავდნენ, როგორც ნადირთა პატრონ ქალღმერთს, ისე მის საყვარელს. დალის სამფლობელოში კლდეებიც კი ჰყაოდნენ. ერთად იფურჩქნებოდა ვარდი და ია; ერთდროულად იგრძნობოდა გახაფხულის სითბო და სურნელება, ზაფხულის ძალა და მცხუნვარება, შემოდგომის ბარაქა და ზამთრის ვაქაცური სუსხი. ბეთქილიც კმაყოფილი იყო ბედით და თავის სატრფო დალთან ერთად დროს ლხინსა და სიხარულში ატარებდა.

მაგრამ დრო გადიოდა და ბეთქილს ხასიათი ეცვლებოდა. ქალ-

ღმერთის სამფლობელოში ცხოვრება მიწის შვილისათვის თანდათანობით მოსაწყენი გახდა. სევდამ წაიპყრო. ჯერ შეუმჩნეველად შეეპარა გულს კაეშანი, ხოლო შემდეგ ერთბაშად იმატა და ვაქკაცი მწარედ დაეფიქრა. ბეთქილს მოენატრა თავისი სახლ-კარი, თავისი ხალხი, მოენატრა საყვარელი დედ-მამა, დები და ძმები, მოენატრა თავისი სოფლის მთა-გორები, ტყე და მინდვრები. უკვე უწინდებურად აღარ ახარებდა ნადირთა ჯოგებში თავისუფალი ნავარდი. არც კლდეთა, ყინულთა და ჩანჩქერთა სილამაზე ატკბობდა მის თვალს, მაგრამ ცდილობდა დალთან ყოველთვის მხიარული ყოფილიყო. სევდას გულში ღრმად მალავდა.

ბრძენი და შორსმჭვრეტელი იყო ქალღმერთი დალი. მას არ გამოჰპარვია ბეთქილის ხასიათის ცვლილება. დალის გამჭრიახი თვალები ვაქკაცის გულში იხედებოდნენ და იქ ყველაფერს კითხულობდნენ. ერთ ხანს დალი მოთმინებით იცდიდა. ფიქრობდა, ბეთქილი თვითონ გამანდობსო გულის წადილს. მაგრამ, როცა შეატყო, რომ ბეთქილი სმას არ იღებდა თავის გასაჭირზე, მაშინ გადაწყვიტა ისევ თვითონ ღაეწყო.

ერთ მშვენიერ დღეს დალი და ბეთქილი, ჩვეულებრივ, ერთმანეთის ცქერით და ხვევნით ტკბებოდნენ. ბუნება მათ ნეტარებას შეჰხაროდა. მზეს ცისარტყელებით მოექარგა არემარე. სალი კლდეები ლაღად გუგუნებდნენ ქალღმერთი დალის და მისი საყვარლის სადიდებელ ჰიმნს. ბოლოვით კაშკაშა ჩანჩქერები სულის მაამებელ სიგრილეს აფრქვევდნენ სიკრცეში. მიჯნურებთან ახლოს მოსულიყვნენ ჯიხვთა და არჩვთა ჯოგებიც. ძოვნისთვის თავი მიენებებინათ და ყელმოღერილნი შეჰყურებდნენ ტრფიალების ზღვაში მცურავ პატრონს. ჯიხვის ორი პატარა ნუკრი კი ფეხებს ულოკავდა მათ. თავდავიწყებამდე შეყვარებული ბეთქილი უსაზღვრო ერთგულებას ეფიცებოდა თავის ქალღმერთს. ამ დროს მას სხვა ყველაფერი დავიწყებოდა. გულის კაეშანიც თითქოს სადღაც მიმალულიყო და სულს სევდა აღარ უღრღნიდა.

დალი ჯერ მიამიტად ნებდებოდა ვაქკაცის ძლიერ მკლავებს და თვითონაც ნეტარებდა. შემდეგ, თითქოს რაღაც მოულოდნელმა აზრმა გაუელვაო თავში, ბეთქილის მკლავზე მიყრდნობილი თავი მაღლა ასწია და სატრფოს თვალებში ჯიუტად ჩახედა.

შეკრთა ბეთქილი. ეუცნაურა დალის საქციელი. არ იცოდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს.

— შენს გულში სევდას ვხედავ, ბეთქილ, — მოესმა მას დალის დინჯი სიტყვები.

— შენ ყოვლისმხილველი ხარ, დიდო ქალღმერთო. — შეჰღაღადა ბეთქილმა და ფერხთით ჩაუვარდა იმას, ვისაც რამდენიმე წამის წინ ეხვეოდა.

— მერე რატომ არ გაანდობ გულისთქმას შენს მეგობარს, შენს დალის,—ამჯერად უკვე დაყვავებით გაისმა დალის ალერსიანი ხმა. მან თავისი თლილი თითები ბეთქილის ხშირ თმაში ჩარგო და მისი თავი მკერდზე ნაზად მიიხუტა.

გატყდა ბეთქილი. მან ყველაფერი ვუღაბდილად უთხრა დალის და ბოლოს სთხოვა — ცოტა ხნით სახლში გაეშვა. „დედ-მამას და ნათესავებს მოვინახულებ და მალე დავბრუნდებიო შენთან". ბოლო სიტყვებსაც გულწრფელად ეუბნებოდა ბეთქილი, რადგან დალის გარეშე ცხოვრება მართლაც ვერ წარმოედგინა მას.

ქალღმერთმა დალიმ შეიწყნარა ბეთქილის თხოვნა და შინ გაუშვა, მაგრამ იმ პირობით, რომ მალე ისევ დაბრუნდებოდა კლდეთა, ყინულთა და ნადირთა სამეფოში.

დაბრუნდა შინ ბეთქილი. ხალხი ზეიმით შეხვდა საამაყო შვილის გამოჩენას. გაიმართა დიდი ღრეობა. ბეთქილის გულიც უსაზღვროდ ხარობდა სამშობლოს, ხალხის და ახლობლების ხილვით. მაგრამ სადარდებელიც ბევრი დახვდა შინმობრუნებულს. ხალხს ძვირად დასჯდომოდა ბეთქილის მიერ ქალღმერთ დალისთან ტკბილად გატარებული დრო. საუკეთესო ვაჟკაცის დაკარგვა ელვისებურად მოსდებოდა კიდით-კიდეს. რჩეული ვაჟკაცები ბეთქილის საძებრად წასულიყვნენ უშბის კალთებზე. მოულოდნელად ამოვარდნილიყო გრიგალი. ცას შუბლი შეეკრა და მთებისთვის მეხთა სროლა აეტეხა. მძებნელებთაგან ზოგი უგზო-უკვლოდ დაკარგულიყო, ხოლო ზოგიც გრიგალს უფსკრულებში გადაეყარა. შინ თურმე ცოტაღა დაბრუნებულა.

მიხვდა ბეთქილი, რომ ყველაფერი ეს დალის ნამოქმედარი იყო. მან დასძრა გრიგალი, რომ ნაპრალებში და ხრამებში გადაეჩეხა ბეთქილის საძებრად წამოსული ხალხი. მიხვდა და მის გულში დალის სიყვარულიც გაჰქრა. კლდეთა და ჯიხვთა სამეფოში დაბრუ-



კეკლეცმა თეთნულდმა ხეთა ტოტებს შორის გამოიხედა.

ნებაზე ფიქრიც აღარ უნდოდა. გადაწყვიტა, მთელი ძალ-ღონით თავის ხალხს მიშველებოდა, მათთვის შეემსუბუქებინა ჭირი.

მალე ულამაზესი თანასოფლელის, თამარის. სიყვარულმაც დაიბუდა ბეთქილის გულში. თამარსაც შეუყვარდა სანაქებო ვაჟკაცი და ბეთქილმა გადაწყვიტა ცოლად შეერთო ის.

გაიმართა დიდი ქორწილი. სამი დღე-ღამე გრძელდებოდა ღრეობა. ყველა ლხინობდა და ხარობდა. ბოლოს გამართეს შეჯიბრი ისრის სროლაში, შუბისა და ქვის ტყორცნაში, სირბილში, ხტომაში და ჭიდაობაში. ძალას და ღონეს არავინ იშურებდა. ყველა ცდილობდა პირველი ყოფილიყო. იყო ხმაური და მოწონების შეძახილები.

სწორედ ამ დროს უშბის კალთებიდან ვეება ჯიხვმა ჩამოირბინა. უდიერმა ნადირმა ხალხი ორად გააპო, შუაში გაირბინა და ისევ უშბის კალთებს აჰყვა ზევით. პირველად ყველა გაშეშდა ამ სასწაულისაგან. ყველა განცვიფრებული შეჰყურებდა თავზედ ნადირს ბოლოს გამოერკვნენ და თავი დამცირებულად იგრძნეს. ატყდა ყიჟინა. ვინმე უნდა დასდევნებოდა ჯიხვს და ისრით გაეგმირა ის. მაგრამ ვინ შეძლებდა ამას თუ არა ბეთქილი? მთელმა ხალხმა ბეთქილისაკენ იბრუნა პირი და მას მიაჩერდა იმედის თვალით. და ბეთქილი დაედევნა ჯიხვს. მირბის ჯიხვი და უკან მისდევს ფეხმარდი ბეთქილი. მისდევს ჯიხვს და თან უკვირს: ასეთი გაკაფული გზები სხვა დროს არასოდეს ენახა უშბის მკერდზე. მის წინ ფართო გზა იშლება, უკან მოიხედავს და გადაკიდებული კლდეები ჩანან მხოლოდ. მიხვდა ბეთქილი, რომ ესეც დალის ნამოქმედარი იყო, მაგრამ რას უშველიდა. უკვე გვიანი იყო. ბეთქილს მისდაუნებურად დალის სამეფოში ამოეყო თავი. მაშინვე ჯიხვიც გაქრა და მის ნაცვლად ქალღმერთი დალი გამოჩნდა. ცბიერი და დამცინავი სახე ჰქონდა მას. ბეთქილისათვის ცხადი გახდა, რომ გაბოროტებულმა ქალღმერთმა ყველაფერი ეს შურისძიებისათვის გააკეთა. ადგილზე შემოტრიალდა და უკან, უშბის ძირას შეგროვილ თავის ხალხს გადმოსძახა:—შშვიდობით, ჩემო ხალხო! მე ქალღმერთმა დალიმ დამღუპა და აწი ვეღარ მიხილავთ. ახლა ერთი თხოვნა შემისრულეთ და უკანასკნელად მაჩვენეთ თქვენი ვაჟკაცური ფერხულიო. ხალხმა მაშინვე შეჰკრა წრე. ერთმანეთს ჩაეჭიდნენ და

იწყეს ფერხული. ფერხულით დაიტირეს ქალღმერთ დალისგან დაღუპული მათი საყვარელი და საამაყო შვილი ბეთქილი.

ახლა ჩემმა ცოლმა იცეკვოსო — კიდევ ერთი თხოვნა გადმოსძახა ბეთქილმა. თვალცრემლიანი თამარი წრეში გამოვიდა. ამან კიდევ უფრო აანთო გაბოროტებული დალის გული და კლდეზე გადმოკიდებული ბეთქილი უფსკრულში გადაჩეხა.

დაიღუპა გმირი ბეთქილი. მაგრამ ხალხმა გულში ღრმად შეინახა საყვარელი შვილის ხსოვნა. მას სწამს, რომ ბეთქილის ფეხის დანადგამი ბილიკები ახლაც ატყვია უშბის კლდოვან მკერდს. ბეთქილის ძვლები ახლაც თეთრად ჩანან უშბის მწვერვალებზე. კედელი კი მისი სისხლითაა შეღებილი.

მეგზურობიდან ოსტატობისაკენ

დასაბამიდან მრისხანედ გადმოჰყურებს უშბა მდინარე დოლრას, მესტიაჭალის და ენგურის ჭალებს, სადაც ცხოვრება, ბუნების მკაცრი პირობების მიუხედავად, მუდამ წინ მიდიოდა და ვითარდებოდა. აქ გულმაგარი და მუხლმაგარი ქართველები ოდითგანვე ამუშავებდნენ მიწას, მწყემსავდნენ საქონელს, უვლიდნენ ფუტკარს, პოულობდნენ ოქროს და მისგან ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს ქედდნენ. სოფლის მეურნეობაშიც შემოქმედი იყო უშბისძირელი ქართველობა და ოქრომჭედლობაშიც. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ დოლის პური, რომლის წარმოშობის კერად მეცნიერება ბეჩოს თემს მიიჩნევს, ან შევიაროთ მესტიის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც გამოფენილია ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშები.

მეურნეობის კიდევ ერთ დარგს მისდევდნენ მთის მცხოვრებნი. ეს იყო ნადირობა. ნადირის ხორცი და ტყავი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მათი არსებობისათვის. მთაში ცხოვრება და განსაკუთრებით ნადირობა მთამსვლელობის უნარს მოითხოვდა ადამიანისავან. უდავოა, რომ უშბისძირელები ბრწყინვალე მთამსვლელები იყვნენ. უამისოდ წარსულში მთა მთლიანად მოსწყდებოდა ბარს და დაიღუპებოდა. უშბისძირელები არა მარტო ზაფხულში ახერხებდნენ კლდოვანი ბილიკებით ბარში ჩამოსვლას, არამედ ზამთარშიც გადალახავდნენ ხოლმე დათოვლილ ზეკარებს და ბარიდან მთაში აჰქონდათ მათი არსებობისათვის საჭირო ნივთები და პროდუქტები. პო-

ნადირეებს ხომ სულ შემოვლილი ჰქონდათ კლდოვანი მთები, სადაც კი ნადირს შეეძლო ფეხის მოკიდება. მათი სანადირო ხელსაწყოები მუჯრა და თხილამური ნაძდვილი სპორტული ხელსაწყოებია. მიუხედავად ამისა, ბოლო დრომდე უშბის წვერი მაინც მიუკარებელი იყო მთის მცხოვრებთათვისაც. ის ნადირობის ქალღმერთ დალის სამფლობელოდ ითვლებოდა და მოკვდავთაგან არავის შეეძლო ზედ ფეხის შედგმა, თუ არ სურდა, ლეგენდარული ბეთქილის ბედი გაეზიარებინა.

ვინ იყო ის მამაცი, რომელმაც პირველად შედგა უშბაზე ფეხი? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურა ამ მხრივ უსამართლოა. ხშირად ამტკიცებენ, თითქოს ჩვენი მწვერვალები პირველად უცხოელებს დაეპყროთ. ისინი მართლაც მოდიოდნენ კავკასიონის მწვერვალების დასალაშქრავად. მაგრამ ვინ იყვნენ მათი მეგზურები? ვინ მიუძღოდა მათ მწვერვალებისაკენ? ესენი იყვნენ ბეჩოელი და სეტიელი ქართველები, უშბისძირელები, მუხლმაგარი მონადირენი. ასე მაგალითად, 1903 წელს მურათიბ კიბულანი უშბაზე წინ მიუძღოდა გერმანელ ალპინისტებს, რომელთაგან ერთი მძიმედ დაშავდა და მურათიბმა დიდის ვაი-ვაგლახით ჩამოიყვანა ბეჩოში. მურათიბის მსგავსი მეგზურები ბევრნი იყვნენ იმ დროს. ისინი არ იყვნენ პროფესიონალი ალპინისტები, მაგრამ ბუნებრივი მონაცემები — თვალის სისწრაფე, გულისა და მუხლის სიმაგრე საშუალებას აძლევდათ წინ გასძღოლოდნენ სახელმოხვეჭილ მთამსვლელებს. გადაელახათ ყოველგვარი სიძნელეები და ბუმბერაზი მთების მწვერვალებიდან ამაყად გადმოეხედათ მშობლიური სოფლებისათვის. დიახ, ეს მეგზურები იყვნენ, რომელთაც პირველად შედგეს უშბაზე ფეხი. ცბიერ ქალღმერთ დალის სამფლობელო პირველად ბეთქილის მემკვიდრეებმა აიღეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ალპინიზმს ფართო გასაქანი მიეცა საქართველოში. გამოჩნდნენ თავკაცები, რომელთაც ამ დიდი საქმის ხელმძღვანელობა იკისრეს. უშბისძირელებიც აქტიურად ჩაებნენ ალპინისტურ მოძრაობაში. ქართველმა ალპინისტებმა პირველად კავკასიონის სხვა მწვერვალები ლაშქრეს, უშბაზე კი ბოლოს მიდგა ჯერი. ეს იყო 1933 წელს. ქართველი ალპინისტები ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით პირველად



მაზერი და უშბა სოფელ უშხვანარიდან.

ავიდნენ უშბაზე. ასვლაში მონაწილეობდნენ ალექსანდრა ჯაფარიძე, იაგორა კაზალიკაშვილი და გიო ნიგურიანი.

მეორე დიდი იერიში უშბაზე მიიტანეს 1937 წელს. მამაც უშბისძირელთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ გაბრიელ, ბექნუ და ბესარიონ ხერგიანები, ჭიჭიკო ჩართოლანი და მაქსიმე გვარლიანი, განგებ შერჩეული უძნელესი გზით — აღმოსავლეთის მხრიდან გულის ‹ყინვარის გავლით ავიდა უშბაზე და ამით საქართველოს ალპინიზმის ისტორიაში საფუძველი ჩაუყარა ტექნიკურად რთული ასვლების კლასს.

დაპყრობილ იქნა უშბა, მაგრამ უსისხლოდ მაინც არ მოიხარა ქედი ამ მრისხანე ბუმბერაზმა. 1945 წელს მან შეიწირა ‹ქართული ალპინიზმის სიამაყე ალიოშა ჯაფარიძე. მასთან ერთად დაიღუპნენ ქელეშბი ონიანი და ნიკოლოზ მუხინი. მათ უნდა განეხორციელებინათ უშბა-შხელდის ერთდროული ტრავერსი, რომლის მსგავსი მანამდე არ იცოდა ალპინიზმის ისტორიამ. მაგრამ რამდენიმეჯერ დამარცხებულმა უშბამ ამჯერად გულის ბოლმა ერთბაშად ამოანთხია და თავისი შავი ჩოხის კალთები ქართველ ალპინისტთა სისხლითაც შეღება.

სისხლით შეიღება უშბის მკერდი, მაგრამ ქართველი ალპინისტები ამ მარცხს არ შეუშინდნენ. მათ მოწინააღმდეგე ერთხელ კიდევ გაზომეს და უშბა-შხელდის მწვერვალებთან ჭიდილისათვის უკეთ მოემზადნენ.

მომავლის ლეგენდა

გაივლის დრო, უშბას ისევ ამაყად ექნება თავი აშვერილი ღრუბლებს ზევით, ისევე ქუხილით იდგენენ თავიანთ კალაპოტში დოლრა, მესტიაჭალა და ენგური, ამ მდინარეთა ჭალებში თავისუფალი ცხოვრება კიდევ უფრო წინ წავა, ხალისით იმუშავებს სოფლის მეურნე, მოხნავს, დათესავს, ყანას მოიწევს. მთების გულიდან ძვირფას მადნებს უახლესი ტექნიკის საშუალებით გამოიტანს ადამიანი, ცხოვრებას ახალ-ახალი სიხარული მოემატება და მაშინ ვინმე ბეჩოელი ხანდაზმული გლეხი ზამთრის საღამოს მოგუზგუზე ბუხრის პირს სხვათა შორის ერთ ლამაზ თქმულებასაც მოუყვება თავის შვილიშვილებს:

ხუთი მამაცი ქართველი ვაჟკაცი შეება უშბას და შხელდას. მათ უნდა გაეელოთ ცხრა მწვერვალი. მსგავსი ტრავერსი ალპინიზმის ისტორიამ მანამდე არ იცოდა. ამინდს პირველად კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ვაჟკაცთა გამგზავრებიდან მესამე დღეს ცამ შუბლი მრისხანედ შეიკრა. დასავლეთიდან ქარის მოდენილი ღრუბლების ფარა ჯერ უწესრიგოდ ძიმოიფანტა ცის ლურჯ გუმბათზე. შემდეგ მას მეორე, მესამე და, ვინ იცის, მერამდენე ასეთი ფარა მოჰყვა. ყველა ერთმანეთში აირია, ერთმანეთს დაეჯახნენ და შეჰქმნეს გამაყრუებელი ელ-ჭექი. როდესაც განრისხებულმა ცამ პირველი მეხი ესროლა მთებს, მასთან ერთად ვაჟკაცის ცერის სიმსხო სეტყვის პირველი მარცვალიც დაეცა დედამიწას. მალე მიწის პირი ყინულის გუნდებით თეთრად დაიფარა.

სამუშაოდ გარეთ გასულ ხალხს უამინდობამ სახელდახელო თავშესაფარი მოაძებნინა. საბალახოდ გასული ნახირი ააფორიაქა, ააბღავლა და შინისკენ გამოდენა.

სეტყვა კოკისპირულმა წვიმამ შესცვალა. ღვარცოფს მიჰქონდა არემარე. მთები შეიძრნენ. მრისხანე უშბა წელს ზევით მთლიანად ჯანღით შეიმოსა, თითქოს ამით შურიანი გულის ნადები აისრულა და მასთან შებმული ალპინისტთა ჯგუფი კაცთსამყოფელს მოსწყვიტა. ქარი უშბის წვერს მშრალ თოვლს აყრიდა, მკერდს თოელჭყაპს ახვევდა, ხოლო წელს ქვევით კოკისპირული წვიმა მოდიოდა.

მოიერიშე ჯგუფი უამინდობას სახელდახელოდ გამართულ კარავში შეეყუჟებინა. კარვის გამართვა კი მათ იმ პატარა ბაქანზე მოასწრეს, რომელიც თვალშეუდგამ ქარაფებზე თითქოს ვიღაცას ხელოვნურად მიუდგამსო. მყუდროებაც მეტი იყო ამ ბაქანზე, რადგან დასავლეთიდან მონაბერი ქარი თავზევით სცდებოდა მათ. სიძაგიეროდ. თოვლი და ხოშკაკალი ბარაქიანად იკიდებდა იქ ფეხს. მალე იმდენი ჩამოყარა, რომ თოვლიდან მხოლოდ კარვის თავიღა ჩანდა. კარვის ბინადარნი შესასვლელთან თოვლს ხვეტდნენ, რომ ჰაერს შეეღწია შიგნით. ამინდსაც აქედან უთვალთვალებდნენ დროდადრო.

ოთხი დღე-ღამის განმავლობაში ცას შუბლი არ გაუხსნია. განუწყვეტლივ თოვდა და გაბმულად გაისმოდა ქარის გუგუნი, წივილი და ღრიალი. გააფთრებული ნადირივით დარბოდა გრიგალი კლდე-ღრეებში. ის თითქოს თავგამოდებით ებძებდა უშბასთან შებ-

მულ ვაქკაცებს, ცდილობდა მათ თავშესაფარში შეეღწია და იქაურობა აეფორიაქებინა. მაგრამ მამაცად ხვდებოდნენ კარვის ბინადარნი. კარვისთვის ბრძოლით წყდებოდა მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი და ისინი იცავდნენ მას. იცავდნენ მთელ ღამეს. ბოლოს გრიგალს ძალა აღარ ეყო, ის თანდათანობით მოეშვა, მოდუნდა და უკუიქცა. ამინდი გამოკეთდა. ალპინისტებმა იერიში განაგრძეს. ხახ კლდოვანი ქარაფი გადაეღობებოდათ მათ, ხან ყინულის კედელი და ხანაც უფსკრული. მაინც მამაცურად მიიწევდნენ წინ თოკით ერთმანეთზე გადაბმულები, დაბრკოლებას დაბრკოლებაზე ძლევდნენ. ხან ერთი მიუძღოდა ჯგუფს, ხან მეორე. ამინდი წამდაუწუმ უარესდებოდა. ქარი კვლავ უბერავდა და ხოშკაკალს აყრიდა სახეში მოიერიშეებს. ხშირად მათი ბედი ბეწვზე ეკიდა. წონასწორობის ოდნავი დარღვევა და უფსკრულში გადაცვივდებოდნენ. მაგრამ ვაქკაცები ბეჯითად მიიწევდნენ წინ.

ამგვარი ჯაფით გაიარეს რვა მწვერვალი. საჭმელი შემოელიათ. უამინდობამ დამხმარე ჯგუფთან კავშირი გააწყვეტინა. შიმშილი, ისიც მთაში, ულმობლად ასუსტებს ადამიანს. ის ყველაზე მეტად მუხლს აძაბუნებს, მაგრამ ხუთი გულადი მაინც შეუპოვრად მიიწევდა მიზნის დასასრულისაკენ. და აჰა! მთელი დღის ბრძოლით მათ დაიპყრეს მეცხრე მწვერვალიც. ახლა საჭირო იყო მწვერვალიდან დაშვება, მაგრამ უკვე საღამო ახლოვდებოდა და სადმე ღამის გასათევი ადგილი უნდა ეპოვათ. ამიტომ მწვერვალიდან ცოტა ქვევით დაეშვნენ და უნაგირაზე კარავი გამართეს.

მეორე დღეს ისევ გრიგალი ამოვარდა. მწვერვალიდან დაშვებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. კვლავ დასჭირდათ კარვის შენარჩუნებისათვის ბრძოლა. შიმშილიც უფრო და უფრო აწუხებდათ. გრძნობდნენ, რომ რაღაც ბურანი ერეოდათ, მაგრამ ერთმანეთს ამხნევებდნენ. გადაწყვეტილი ჰქონდათ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლათ. მთელი დღე გაგრძელდა გრიგალთან ჭიდილი. საღამოს ქარი ჩადგა და ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ. მათი ბედი მეორე დღის ამინდზე ეკიდა.

დილას ადრე გაეღვიძათ, მაგრამ კარავში ხუთის ნაცვლად მხოლოდ ოთხნი იყვნენ. ერთმანეთს უხმოდ გადახედეს გაკვირვებულებმა. სიჩუმე გაგრძელდა. ხმის ამოღებას ვერც ერთი ვერ ბედავდა ოთხივემ ზანტად დაიწყო საძილე ტომრებიდან ამოძრომა. შიმშილი-



ორთავე ეშბა და ჩათინი.

საგან სხეული დამძიმებოდათ, თავბრუ ეხვეოდათ. როდესაც საძილე ტომრებიდან გამოძვრნენ, მაშინ კარვის კარი შეირხა და მეხუთე შემოვიდა. დამწუხრებული სახეები ყველას ერთბაშად გაუპარწყინდა. თურმე მეხუთეს ყველაზე ადრე გაღვიძებოდა, ამდგარიყო და გარეთ გასულიყო, რათა ამინდი შეემოწმებინა, დასაშვები გზა შეერჩია.

როდესაც ოთხივე მოემზადა, რომ გზას დასდგომოდნენ. მეხუთემ უბის ჯიბეში ჩაიყო ხელი და იქიდან შაქრის მოზრდილი ნატეხი ამოიღო. შაქრის დანახვისას დანარჩენებს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდათ, პირში ნერწყვი ჩაუდგათ. მეხუთემ აუჩქარებლად შაქრის ნატეხი მარცხენა ხელში დაიჭირა, მარჯვენით შარვლის ჯიბიდან დანა ამოიღო, შაქრის ნატეხი ოთხად გატეხა და ამხანაგებს დაურიგა. არც ახლა ამოუღია ვინმეს ხმა. ყველამ მორჩილად გამოართვა თავისი ნაწილი, ოუმცა იცოდნენ, რომ ეს შაქრის ნატეხი ის უკანასკნელი ულუფა იყო, რომელიც სხვებმა ნაშინვე შეჭამეს, მეხუთემ კი მთლიანად შემოინახა და გაჭირვების ჟამს ისიც ამხანაგებს მისცა. როდესაც მწვერვალიდან უვნებლად ჩამოვიდნენ, ყველანი ამბობდნენ. ეს შაქრის ნატეხი რომ არ გექონოდა, დავიღუპებოდითო. ასე გადაარჩინა ვაჟკაცის ნებისყოფამ და შაქრის ნატეხმა ხუთი მამაცი ალპინისტი.

უშბის გმირი

ბეჩოს თემი. სოფელი უშხვანარი. აქ ცხოვრობს ალპინისტების გულწრფელი მეგობარი და უხვი მასპინძელი დიასახლისი მაკრინე ქურდიანი. მას ლამაზი და კეთილმოწყობილი კარ-მიდამო აქვს. სახლის უკან მოლიანი სწორი მინდორია. ამ მინდვრიდან ხელისგულივით ჩანს ბეჩოს გადასასვლელი, მაზერის. უშბის და ჩათინთაუს მწვერვალები. ამიტომაც საღამოობით ამ მინდორში იკრიბებიან ალპინისტები, გეგმებს ადგენენ და მთების სილამაზით ტკბებიან.

მთების საღამო დარში ყველგან ლამაზია, მაგრამ სოფელ უშხვანარის საღამო მაინც უბადლოა. მდინარე დოლრას ჭალებიდან მზეს სხივები მთლიანად აუკრეფია. ირგვლივ მთების ჩრდილები წევს. მხოლოდ ბუმბერაზები არიან შუქში გახვეულნი და ისიც წელს ზევით. ცა მოწმენდილია. მარტო უშბის წვერზე ქანაობს ობოლი

ღრუბელი. ის ხან გაიწელება, აღმოსავლეთისაკენ გაგრძელდება და ქალის მანდილივით ფრიალებს ქარის ფრთებზე, ხანაც უშბის წვერს ირგვლივ შემოეხვევა, ხან მთლიანადაც გაქრება, მაგრამ მალე ისევ უშბის წვერზე ამოყოფს თავს. უშხვანარში კი მაკრინეს ეზოში ალპინისტები შეკრებილან და ხვალინდელ დღეზე მსჯელობენ.

— ძია ბექნუ, ამინდზე რას იტყვით? — ეკითხება გამოცდილ მთამსვლელს ახალგაზრდა ალპინისტი. რუსთაველი ფოლადის მდნობელი იასონ ბერუაშვილი. ბექნუ ჯერ უშბას გახედავს, შემდეგ ლაჰლასკენ შემობრუნდება. ლაჰლას მყინვარებს მოსარკული ცა დასცქერის, მაგრამ ბექნუს თვალს არა გამოეპარება რა. მან ყველაზე დიდი მყინვარის თავზე შენიშნა პატარა ღრუბელი, რომელიც თითქოს მყინვარს გაჰგლესოდა.

— ავდარია მოსალოდნელი, — ამბობს ბექნუ და მზერა ისევ უშბაზე გადააქვს. იასონი გაკვირვებით შეჰყურებს ბექნუს.

— როდის გაფუქდება ამინდი?

— ხვალ.

— დიდხანს გაგრძელდება ავდარი?

— ოთხი-ხუთი დღე.

— მაშ გამოდარება არ გვღირსებია!

— რატომ არა, იწვიმებს, იწვიმებს და გამოიდარებს.

— ჩვენ კი ხვალ გვინდოდა იერიში დაგვეწყო უშბაზე.

— არ გირჩევთ.

იასონი უკმაყოფილოა. ის შუბლშეკრული იცქირება ლაჰლას მყინვარისაკენ. დურბინდსაც იმარჯვებს, მაგრამ გაავდრების აშკარა მანიშნებელს ვერაფერს ამჩნევს.

— ნუთუ ის ციცქნა ღრუბელია გაავდრების ნიშანი? არ მჯერა, — დაასკვნის იასონი და დურბინდს ახლა უშბისკენ მიმართავს.

— ენახოთ, — ხმადაბლა, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით პასუხობს ბექნუ და კიდევ ერთხელ გახედავს ლაჰლას.

— გაავდრდება, — ბეჯითად უმატებს ცოტა ხნის შემდეგ და ხილნარში შედის.

მეორე დღეს მზიანი დილა თენდება უშხვანარში, ახალგაზრდა ალპინისტები გახარებულნი არიან. მხოლოდ ბექნუ შეჰყურებს ეჭვით მოწმენდილი ცის გუმბათს და ჰორიზონტებს. იასონი რიხით დაიარება ამხანაგებს შორის, ხელში დურბინდი უჭირავს და მწვერ-

ვალებს ათვალიერებს. ახალგაზრდული სისხლი უდუღს და ყოველ წამს მზადაა უშბასთან შესაბმელად. აი, ჩაფიქრებულ ბექნუსაც ჩაუარა გვერდით.

— ძია ბექნუ, ხომ გითხარით, არ გაავდრდება-მეთქი!

ბექნუს ეღიმება.

— ვნახოთ. — ჩვეულებისამებრ მოკლედ პასუხობს ის და ისევ ლაჰლას ზვერავს.

მზემ შუა ცაზე აიწია. ლაჰლას მთაზე ღრუბელი თანდათანობით გაიზარდა. ის ჯერ მყინვარს მოსწყდა, ჰორიზონტს გაეკრა და, თითქოს ნიშანი მისცაო დანარჩენებს — ცოტა ხნის შემდეგ ღრუბლების მოზრდილი ფარა გამოჩნდა მთის გაღმიდან. მალე დამხდური მათში გაერია და ნაშუადღევს ცის მთელი გუმბათი შავლეგა ღრუბლებით დაიფარა. ხოლო როცა მზე მთებს იქით ჩაიწურა, პირველი მეხიც გავარდა.

ვახშმის წინ მაკრინეს სამზარეულოში ცეცხლს შემოსხდომოდნენ ალპინისტები. გარეთ კოკისპირულად წვიმდა. ასეთ ამინდშალპინისტებს წარსული ასვლების მოგონების საღერღელი აეშლებათ ხოლმე. მათ ახსოვთ ამინდიც და უამინდობაც. მხოლოდ იასონი ვერ უდებს გულს ვერც მოყოლას და ვერც სხვის მონაყოლის მოსმენას. წამდაუწუმ გარეთ იხედება. ამინდს სწყევლის. ბოლოს ბუხრისპირს ჩაფიქრებით მჯდომ ბექნუსთან მიდის და მის გვერდით ჯდება:

— ახლა როდის უნდა გამოიდაროს!

— გამოიდარებს. — დინჯად აიმედებს მას ბექნუ და თან ეღიმება.

— უშბაზე აუსვლელად რუსთავში ვერ დავბრუნდები.

— მოესწრები. საამისო ამინდიც დადგება. იერიშის დაწყების წინ აჩქარება არ ვარგა.

ბექნუ ისევ ფიქრებში ჩაეფლო. ეტყობოდა, იასონის გულისტკივილს თვითონაც განიცდიდა. თვითონაც ხშირად ყოფილა ამ დღეში. მთამსვლელობა ჭაბუკმა დაიწყო. მალე ბრწყინვალე მთამსვლელის სახელიც მოიხვეჭა. ჯერ კიდევ 1937 წელს ჭაბუკი ბექნუ ხერგიანი გაბრიელ და ბესარიონ ხერგიანებთან, ჭიჭიკო ჩართოლანთან და მაქსიმე გვარლიანთან ერთად უძნელესი გზით იპყრობს უშბას და ქართული ალპინიზმისათვის მსოფლიო მნიშვნელობის

„წყალნი-მთით დაქანებულნი ალმასებრ უფსკრულ ცვივიან“.

ვამარჯვება მოაქვს. შემდეგ წარმატება წარმატებას მოჰყვება. არ არის კავკასიონზე არც ერთი ძნელად ასაღები მწვერვალი, რომელზეც ბექნუს ფეხი არ შეედგას. 1950 წელს ბექნუ ხერგიანი ივანე მართან, გოჯი ზურებონთან, ჭიჭიკო ჩართოლანთან და მაქსიმე გვარლიანთან ერთად ძონაწილეობს შხელდა-უშბის საქვეყნოდ ცნობილ ტრავერსში. აქ მან გაიარა უძნელესი და ურთულესი გზა, რომლის გავლაც მრავალი სახელოვანი ალპინისტის ოცნება იყო. ის იყო მოწმე და მონაწილე შაქრის ერთი ნატეხის ამბისა.

ბექნუ პამირშიც იყო. აქაც უმაღლეს და ურთულეს მწვერვალებზე ავიდა. ბევრი აქვს მოსაგონარი. და, აი, ზის და იგონებს. ოოონდ თავისთვის, უხმოდ.

— ძია ბექნუ, ძნელია ჩვენი მარშრუტი? — ესმის ფიქრებში წასულ ბექნუს იასონის კითხვა და სიამოვნებს, რომ ამინდიდან საუბარი სხვა თემაზე გადავიდა.

— ძნელია.

— მაინც რას შეედრება?

— ძნელია. ერთხელ ვცადეთ, მაგრამ ვერ ავედით.

— როგორ, თქვენ ვერ ახვედით?!

— ვერ ავედით.

— მერედა ნუთუ შეუძლებელია?

— შეუძლებელი არაფერი არ არის. თქვენ აიღებთ იმ კედელს.

თავმდაბალია და სიტყვამოკლე უშბის გმირი. მას სწამს, რომ უშბის იმ კედელს, რომლის აღებაც ერთხელ თვითონაც სცადა და ვერ აიღო, ახლა ახალგაზრდები აიღებენ.

მზისა და თავისუფლების სადიდებელი ჰიმნი

ბინად ჩვენც მაკრინესთან დავდექით სოფელ უშხვანარში. აქვე იყვნენ ქართველი ალპინისტები სპორტის ოსტატ დიმიტრი ობოლაძის მეთაურობით. ისინი უშბაზე საიუბილეო ასვლისათვის ემზადებოდნენ. ოცდახუთი წლის წინათ, 1933 წელს, პირველად დაიპყრეს უშბა ქართველმა ალპინისტებმა. საიუბილეო კომიტეტის წევრი ალექსანდრა ჯაფარიძე ამ პირველი ასვლის მონაწილეა. მას თმა უკვე თეთნულდივით გასთეთრებია, მაგრამ სიმტკიცე მაინც უშბისა აქვს შემორჩენილი.

ალპინისტებთან ადამიანს არ მოსწყინდება. უყვართ ოხუნჯობა, სიმღერა, თამაში. მხოლოდ უამინდობას თუ შეუძლია მათი სახის მოღუშვა, მაგრამ არც მაშინ სხედან გულხელდაკრეფილნი. მწვერვალთან ახლოს მიდიან, გარს უვლიან და ზვერავენ მისადგომებს. ამასობაში დარიც დადგება. ალპინისტები დროს არ კარგავენ და მაშინვე იერიშს იწყებენ.

როდესაც ჩვენ უშხვანარში ჩავედით, ალპინისტები უშბის დასაზვერად იყვნენ წასულნი. გვიან საღამოს დაბრუნდნენ შინ. ბევრი ხეტიალისაგან დაღლილიყვნენ, მაგრამ ჩვენს განზრახვას — ხვალ სოფელ გულისკენ გაგვესეირნა, მათაც მაშინვე დაუჭირეს მხარი

დილას ადრე ვისაუზმეთ და მაშინვე სოფელ გულისკენ გავუდექით გზას. თუ ამინდი ხელს შეგვიწყობდა, გულის მყინვარზეც უნდა ავსულიყავით.

სოფელ მაზერის ზევით მდინარე დოლრა ორ შენაკადად იყოფა. მარჯვენა შენაკადი სათავეს ღებულობს მაზერის მთიდან, ბეჩოს იქითა ქედისა და შდუგრას მთიდან. მარცხენა შენაკადი კი — უშბის ძირიდან, კერძოდ, გულის მყინვარიდან და უშბის პირდაპირ ჩამყოლი ტყით შემოსილი მთებიდან. გულისკენ მიმავალი გზა სწორედ ამ მარცხენა შენაკადის ნაპირს მიჰყვება.

წინ სახელოვანი ალპინისტი ბექნუ ხერგიანი მიგვიძღვის. ცხადია, გზას არ ავცდებით. ბექნუმ აქ ყოველი ბილიკი იცის. ის ზოგჯერ შედგება, გაგვაჩერებს და გვიყვება იმ მთის, იმ ხევის და იმ მყინვარის ამბებს. ჩვენს შორის არიან ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ზოგი კლდის ქანებს სინჯავს. ზოგი მცენარეულობას აკვირდება, ხოლო ზოგიც მწერებით და ფრინველებითაა დაინტერესებული. ერთი რამ მაინც ყველას ყურადღებას იქცევს: მცენარეულობით ესოდენ მდიდარ ტყეებში ფრინველთა სიმცირე ეცემა ადამიანს თვალში. საქმის მცოდნეები გვეუბნებიან, რომ, საერთოდ, ჩვენი ტყეები ღარიბნი არიან ფრინველებითო, ალბათ ასევე ღარიბნი არიან ეს ტყეები მწერებითაც. ამას ჩვენი ექსკურსიებიც გვიდასტურებენ. თუმცა ცულის გზაზე რამდენიმე საინტერესო მწერს და მათ მატლს მაინც გადავაწყდით.

ერთ ხანს რიყე-რიყე მივდივართ. შემდეგ მდინარე კვლავ ორ ტოტად იყოფა. მარჯვენა ტოტში ანკარა წყალი მოედინება, ხოლო

მარცხენაში — შავად ამღვრეული. ესეც ბუნების საოცრებაა. ორივე ტოტი თითქმის ერთიდაიგივე მთის ძირიდან ღებულობს სათავეს და ერთმანეთისაგან კი სავსებით განსხვავდებიან. წუხანდელი წვიმის შედეგი არ არის ეს. წუხელ ყველგან წვიმდა. ბექნუ გვეუბნება, რომ „შავი ღელე“ ყოველთვის ამ ფერისაა.

გულისკენ მიმავალი გზა აქ ოდნავ მარცხნივ უხვევს და თეთრი ღელის ნაპირს მიჰყვება. მალე თეთრ ღელესაც მარჯვნივ ვტოვებთ და ტყეში შევდივართ. აქ გზა მოკლე აღმართით რაღაც თავისებურ ქედზე ადის. ამ ქედის სიმაღლე თეთრი ღელის დონიდან 40-50 მეტრამდე იქნება და სიგანე კი არა უმეტეს 20-25 მეტრისა. შუაში სამარხილე გზა მიდის. გზის ორივე მხარეს ტყე გასდევს. ტყეში არის: წიფელი, რცხილა, ბალამწარა, მუხა და სხვა. ბოლოს ეს ქედი ერთბაშად იშლება და შედარებით ფართო მინდვრებში შევდივართ. აქ არის გულელების სათიბები და ყანები. კულტურული მცენარეებიდან უთესიათ სხვადასხვა სახის თუ ჯიშის ხორბლეული და კარტოფილი. ამ მინდვრებიდან ჩანს სოფელი გულიც.

სოფელი გული ზღვის დონიდან 1950-2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ბეჩოს დანარჩენი სოფლები და კერძოდ უშხვანარი კი 1.500 მეტრის სიმაღლეზეა. სიმაღლეში 500 მეტრის განსხვავება ბევრ რამეში იჩენს თავს. გულში უკვე აღარ არის ისეთი ბაღები, როგორიც ეს სოფელ უშხვანარშია. სოფელი გული იმ ზონაშია, სადაც ტყის ზოლი თითქმის მთავრდება და სუბალპური და ალპური ზონები იწყება.

სოფელ გულში სულ თორმეტი კომლია. სოფლის თავში განცალკევებით დგას პატარა ეკლესია, რომლის ეზოში ნეკერჩხლების მოზრდილი კორომია აქოჩრილი. სოფლის მარჯვნივ გულის მყინვარიდან მოედინება წყალუხვი ღელე, რომლის მარჯვენა ნაპირზე მჟავე წყარო გამოდის. ეს ვეძა სიცხარით უფრო სუსტია, ვიდრე მესტიის ან ბეჩოს თემის ვეძები. საერთოდ, აქ ძირითადად ორი სახის ვეძას არჩევენ. შედარებით უფრო ცხარეს, რომელშიც გაზი მეტია, „სგიმს“ ეძახიან, ხოლო ნაკლებ ცხარეს, ე. ი. სუსტგაზიანს — „მორელს“. გულის ვეძა სწორედ მორელია.

სახლები გულში უმეტესად ახალი ტიპისაა. სოფელში არის ოთხწლიანი სკოლა. სწავლის გასაგრძელებლად ბავშვები ჩამოდიან ბეჩოს საშუალო სკოლაში. ეტყობა, გულელ ახალგაზრდებს წიგნი

მზე. ტყე და ჰაერი.

ეყვარათ. რამდენიმე ადგილას დავინახეთ დერეფანში მჯდარი ვაჟი თუ ქალიშვილი გაშლილი წიგნით ხელში. აი, ერთი ბიჭუნა წისქვილში გამოუგზავნიათ, წისქვილის კართან ქვაზე ჩამომჯდარა და გატაცებით კითხულობს მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელს“. მას ხელს არ უშლის დოლების ტრიალით გამოწვეული ხმაური და სარეკელას ჩხაკუნი.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფერდობის რელიეფმა, რომელზეც სოფელია გაშენებული. ეს ფერდობი ერთგვარად ამოწეულია მთის ფართო მკერდიდან და თითქმის მართლაც გულის მოყვანილობისაა. იქნებ ამიტომაც შეერქვა სოფელს „გული“. ყოველ შემთხვევაში, გულელს შეუძლია თამამად გაიმეოროს პოეტის სიტყვები:

„მთის კალთაზე სახლი მედგას.
ხეც ხარობდეს ათიოდე,
იისფერად განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს.
გასაზრდელი ბიჭი მყავდეს,
გოგო მყავდეს თაფლის თვალი,
შავგვრემანი მამას ჰგავდეს,
დედას — მისი თეთრი ქალი“

კარგი ხატვრაა! გულელი ვაჟკაცები ნამდვილად წარმოსადეგნი არიან, წელში გამართულნი და სახეგახსნილნი: ეტყობა, უყვართ ბავშვებიც. ყოველ ეზოში სამი ან ოთხი პატარა დარბის. ყველას კარგად აცვია. ერთ ეზოსთან ვჩერდებით. ბექნუს ნაცნობი ოჯახია. თვით ბექნუს ხომ აქ პატარა ბავშვებიც იცნობენ. შინ მხოლოდ დიასახლისი იყო და გულით მიგვიპატიჟა. ჩვენ საამისო დრო არ გვქონდა და ზრდილობიანი მადლობა გადავუხადეთ. სწორედ ამ დროს უკნიდან ვაჟკაცური ხმა შემოგვესმა:

„გზაში რატომ დგახართ, შინ შებრძანდით!“

მივბრუნდით და ახოვანი ლამაზი ვაჟკაცი დავინახეთ. ცხვირსახოცით შუბლზე ოფლს იწმენდდა. მარცხენა ხელი დატვირთული ცხენის აღვირისათვის ჩაევლო. ბეჩოს მაღაზიაში ხორბალი უყიდია და ოჯახში მოიტანა. კარგი პურ-მარილი მოგველის სტუმართმოყვარე გულელებთან, მაგრამ ჩვენ გადაუდებელი საქმე

გვაქვს და გზას განვაგრძობთ მყინვარისაკენ. გვინდა. რაც შეიძ-ლება ახლოს მივიდეთ უშბასთან, კარგად დავინახოთ მწვერვალთა მეფე.

გულის მყინვარიდან დაბრუნებულებმა მდინარე დოლრას ჭალებს საღამოს ვუწიეთ. მზე უკვე დასავლეთის მთებს აკოფარებოდა და მისი სხივები მხოლოდ უშბის და მაზერის წვერებს ანათებდა. ივეუ-ლებრივი შეუპოვრობით მოღელავდა ხმაურიანი დოლრა, მოაგო-რებდა ლოდებს და ერთმანეთზე ახეთქებდა მათ. მუხლის მოსასვე-ნებლად მდინარის ნაპირას ბექის თავზე ჩამოვსხედით. ამ დროს მაღლიდან სიმღერის ხმა მოგვესმა, რომელიც ხან წყდებოდა და ხან ისევ გაისმოდა, თითქოს ქარის ტალღებს მოჰქონდა ეს ხმა. დავინტერესდით, ყველანი ფეხზე წამოვდექით და გაღმა ჭალებში დავიწყეთ ცქერა. მომღერლები არ ჩანდნენ. ხმაზე ეტყობოდა. რომ გუნდი მღეროდა, მაგრამ სად? ცნობისმოყვარეობამ აგვიტაცა და მაღლობზე ავედით. ახლა მთელი სიგრძით გამოჩნდა დოლრას იქითა მხარე სოფელ მაზერიდან ბეჩოს იქითა ქედის ძირამდე მომ-ღერლები მალე დავინახეთ. შდუგრას მთის ძირში შეგროვილიყვ-ნენ კოლმეურნე მთიბავები და სახლში წამოსვლის წინ მღეროდ-ნენ მზისა და თავისუფლების სადიდებელ ჰიმნს „ლილეს". მაღ-ლობზე მდგარნი დოლრას ნაპირიდან შედარებით დაშორებული ვიყავით და ამიტომ სიმღერის ხმაც უკეთ აღწევდა ჩვენამდე. გუნ-დის ხმას აძლიერებდა მთების გამოძახილი. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა. თითქოს უშბაც ფერხულში იყო ჩაბმული და თავის ძლიერი ხმით ბანს აძლევდა მომღერლებს. მაზერსაც მხარი მოება მათთვის და შდუგრასაც. თითქოს თვით მღვრიე დოლრას ტალღე-ბიც აჰყოლოდნენ „ლილეს" ჰიმნს. კარგა ხანს გაგრძელდა სიმღერა. კარგა ხანს ვუგდებდით ყურს სულგანაბულნი. ბოლოს თანდათა-ნობით შესუსტდა მომღერალთა ხმა. ხოლო, როცა უშბის მწვერ-ვალს მზის უკანასკნელი სხივი მოსწყდა, სიმღერაც შეწყდა. ახლა კვლავ მდინარე დოლრას გუგუნი ჩაგვესმა. შეუპოვრად ეხეთქე-ბოდნენ მისი მღვრიე ტალღები უზარმაზარ ლოდებს. ცოტა ხანს კიდევ ვიცდიდით სიმღერის განახლების მოლოდინში. თან გვინ-დოდა გაგვეგო, თუ რასთან დაკავშირებით მღეროდნენ მთიბავები „ლილეს" შდუგრას ძირას. სიმღერა არ განახლდა და მაშინ შინის-კენ დავიძარით. ჩვენი ცნობისმოყვარეობა პირველმავე შემ-ხვედრმა ახალგაზრდებმა დააკმაყოფილეს. მაზერელ კოლმეურნეებს

დღეს ჭალებში თიბვა მოუთავებიათ. ამასთან დაკავშირებით მათთვის დიასახლისებს ჯერი და ცოტა სასმელი მოუტანიათ. როცა ჩვენ დოლრას ნაპირას ჩავედით, მთიბავები სადილს სიმღერით ამთავრებდნენ. თურმე „ლილეს“ ხშირად მღერიან აქ შრომის დროს. მზისა და თავისუფლების სადიდებელი ჰიმნი თავისუფალ ხალხს დღეს შრომის ჰიმნად გადაუქცევია.

უშხვანარის მისადგომებთან კიდევ ერთხელ დაგვეწია „ლილეს“ ხმა. მივხვდით — მაზერელი კოლმეურნეები სიმღერით შედიოდნენ თავიანთ სოფელში.

შინმოსულებს მაკრინესთან თბილი და გემრიელი ვახშამი დაგვხვდა. ნავახშმევს მალე დავწექით, რადგან დილას ადრე უნდა ავმდგარიყავით და გზა განგვეგრძო ენგურის ნაპირების ჩასწვრივ.

თქმულება ჩიყვზე

ჯერ კიდევ ქვემო სვანეთში ვიყავით, როცა ჩემი ამხანაგები ჩიყვით დაინტერესდნენ და სოფლელ ახალგაზრდებს ამის შესახებ სიტყვა ჩამოუგდეს.

— ჩიყვი თურმე ძველად იყო გავრცელებული ჩვენში, — პასუხობდა მათ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ყმაწვილი, — ზოგს ადამიანის თავისოდენა ჩიყვი ჰქონია.

ჩიყვიანობას შეც მოვესწარი, მაგრამ მე მხოლოდ ერთი ჩიყვიანი მახსოვს — მეზობელი სოფლელი ლუკა. ძალიან დიდი ჩიყვი ჰქონდა და, როგორც კი ჩვენი სოფლის გზებზე გამოჩნდებოდა, მაშინვე ავედევნებოდით ბავშვები და ვაბრაზებდით. უფროსებს გვიჯავრდებოდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლიდით. ლუკაც ადრე მოკვდა. ახლა მხოლოდ ზოგ წყაროს შერჩა „ჩიყვიანი წყაროს“ სახელი. დი, აი, ჩემზე ათი-თორმეტი წლით უმცროსი თანასოფელი ამ ამბავს ისე ჰყვება, როგორც ძველ თქმულებას.

ჩიყვის კერები ფართოდ იყო გავრცელებული მთელი დედამიწის ზურგზე, მაგრამ მათი სიხშირე განსაკუთრებით მთიან რაიონებში შეიმჩნეოდა. ასეთი რაიონები იყო: ჰიმალაი, ალპები, კარპატები, ამერიკის მთიანი მხარეები, ეთიოპია და სხვა. ძველად ჩიყვს ჩვენს მთებშიც მკვიდრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული.

ჩიყვს დიდი უბედურება მოსდევდა. იქ, სადაც დაავადება



ფიქვი ლოდზე ენგეფოის ბეობაში.

ხშირი იყო, ბევრი იბადებოდა ურუ-მუნჯი და კრეტინი. ჩიყვის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემა იყო ყველგან.

ძველი მკვლევარები ჩიყვის განვითარების ახსნის საკითხს ცალმხრივად უდგებოდნენ. ისინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ერთ რომელიმე ფაქტორს, რომელიც ჩიყვის განვითარებას უწყობს ხელს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ საკითხში თავიდანვე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ჩიყვის გარშემო შეიქმნა რამდენიმე თეორია. ამ თეორიებს შორის საყურადღებოა: 1. იოდის უკმარობის თეორია, რომელიც ჩიყვის გამომწვევ მიზეზად თვლის ორგანიზმში იოდის სიმცირეს; 2. ე. წ. წყლის თეორია, რომელიც ჩიყვის განვითარებას მოსახლეობის სასმელი წყლის ქიმიურ შემადგენლობასთან აკავშირებს, და 3. ინფექციურ-ტოქსიკური თეორია, რომლის მიხედვითაც ჩიყვს წარმოშობს ინფექციური ბაქტერიები.

ძველად სვანეთში ჩიყვის განვითარების თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილი პირობა არსებობდა. ჩანს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა სასმელი წყალი. ზოგიერთ წყაროს დღემდე შერჩენია „ჩიყვიანი წყაროს" სახელი. სადაც ეს წყაროებია, ჩიყვიც მასიურად ყოფილა გავრცელებული მოსახლეობაში... იგი გავრცელებული ყოფილა ამა თუ იმ მდინარის აუზშიც. მაგალითად, ყველა მკვლევარი და მოგზაური, რომელიც კი სვანეთის ჩიყვს შეხებია, ერთხმად მიუთითებს მდინარე ხელედურას ხეობაზე. ამ ხეობაში მდებარე სოფლებიდან კი გამოირჩეოდა სოფელი ხელედი. მაგრამ თვით ხელედშიც არათანაბრად იყო გავრცელებული ჩიყვი. ის გაცილებით ძლიერ იყო მოღებული ქვემო ხელედში, ვიდრე ზემოში. ხალხურ ზეპირსიტყვაობაში ამის შესახებ ნათქვამია:

„ზემო ხელედი — ყველა ბლუები,
ქვემო ხელედი — ყველა ჩიყვიანები".

ან კიდევ:

„ზემო წანაში — ყველა ბანძეულები,
ქვემო წანაში — ყველა ჩიყვიანები".

მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონია ჩოლურის თემშიც.

აქ ყველგან ერთი და იგივე კანონზომიერებაა. ყოველთვის სოფლის ან თემის ქვემო ნაწილია მონათლული ჩიყვიანების ბუდედ. ჩანს, ზემო სოფლელები, ან სოფლის ზემო ნაწილში მცხოვრებნი იყენებდნენ მდინარე წყალს და აბინძურებდნენ, ქვემოუოები კი უკვე გაჭუჭყიანებული წყლით სარგებლობდნენ. ეს უწყობდა ხელს მათთან ჩიყვის ძლიერ განვითარებას.

სვანეთში ჩიყვის განვითარებაა ხელს უწყობდა აგრეთვე ბოსტნეული კულტურების სიმცირეც. ბოსტნეული კულტურები ადამიანის ჯანმრთელობისათვის მრავალმხრივაა სასარგებლო. თვით ჩიყვის განვითარებისათვის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შემდეგს: ის მწვანე მასა, რომელსაც ადამიანი ბოსტნეული კულტურების სახით ღებულობს, შეიცავს ორგანიზმისათვის ადვილად მისაღებ იოდს. მეორეც, ბოსტნეული კულტურები შეიცავენ ორგანიზმისათვის აუცილებლად საჭირო ვიტამინებს. ვიტამინების ნაკლებობა კი ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ჩიყვის განვითარებისათვის.

მართალია, ძველად სვანეთის მცხოვრებნი უხვად იყენებდნენ ბოსტნეული კულტურების შემცველ ველურ ბალახებსა და ხილს, მაგრამ ველურ ხილს არ შეეძლო ბოსტნეული კულტურების სრულფასოვანი შეცვლა.

უფრო სწორი იქნება, თუ მოკლედ ვიტყვით, რომ ძველ სვანეთში ჩიყვის განვითარების ყველაზე ძლიერი ფაქტორი იყო დუჭირი ცხოვრება, სიღარიბე. მხოლოდ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას შეეძლო მოესპო ჩიყვი და ეს ასეც მოხდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სვანეთში ხალხის ცხოვრება მკვეთრად გაუმჯობესდა. გაყვანილი იქნა გზები, რამაც შესაძლებელი გახადა მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქტების მიწოდება, გაიხსნა საავადმყოფოები და საექიმო პუნქტები; ხალხი კულტურასა და განათლებას დაეწაფა. გაჩაღდა ჩიყვის წინააღმდეგ ბრძოლა.

სხვა მრავალთა შორის, რომელთაც თავისი წვლილი აქვთ შეტანილი ჩიყვთან ბრძოლის საქმეში, განსაკუთრებული პატივისცემით უნდა აღინიშნოს აწ განსვენებული ექიმის, შესანიშნავი ალპინისტის, მოქალაქის და ადამიანის დოცენტ იოსებ ასლანიშვილის სახელი. ის იყო ბრწყინვალე მკვლევარი ჩიყვის გავრცელების მიზეზებისა საერთოდ და კერძოდ სვანეთში. ის მუდამ ახლოს

იდგა ხალხთან და ეხმარებოდა მათ. ამიტომაა, რომ იოსებ ასლანიშვილის ხსოვნას წმინდად ინახავს ცხენისწყლისა და ენგურის ხეობებში მცხოვრები ხალხი. სხვათა შორის, სოფელ უშხვანარში მაკრინე ქურდიანთანაც მეცნაურა კედელზე დაკიდებული, ჩარჩოში ჩასმული სურათი.

— ეს ვინ არის? — თითით ვანიშნე პორტრეტზე მაკრინეს.

— ო, ეს კარგი კაცის სურათია, ჩვენი სოსო ასლანიშვილია. არ იცნობთ?

მაკრინე ადგა, კედელთან მივიდა და მანდილის ყურით პორტრეტზე გადაფარებული მინა გაწმინდა. მის მოქმედებაში ცხადად დავინახე ის დიდი სიყვარული, რომლითაც აქაურ ხალხში სარგებლობდა იოსებ ასლანიშვილი.

გაქრა ჩიყვი სვანეთში, ახალმა ცხოვრებამ დაამარცხა საუკუნეების განმავლობაში ფესვმტკიცედ გამჯდარი სენი. დღეს მასზე მხოლოდ თქმულება დარჩა, რომელსაც მოკლედ და უდარდელად მოუყვა ჩემს ამხანაგებს სასაშელი თმაქოჩორა ბიჭი.

შუადღის მზე დასცქერის ენგურის ღრმა და ვიწრო ხეობას. ხმაურით მოჰქრიან მდინარის მღვრიე ტალღები. შეუპოვრად ებრძვიან ისინი ორპირად ამართულ კლდეებს და ცდილობენ კალაპოტის გაფართოებას. ამ ადგილას გალიაში დამწყვდეულ ძლიერ ნადირს ჰგავს ენგურ-მდინარე. ფანტასტიკური ურჩხულივით მიიგრაგნება კლდოვანი კალაპოტის ხვეულებში. მდინარის ორივე მხარეზე ციცაბოდ ამართული მაღალი ფერდობები ტყითაა შემოსილი. ჯერ ფოთლოვანი ტყე, შემდეგ წიწვოვანი და შემდეგ ისევ ფოთლოვანი. სულ ზევით კი ალპური ხალიჩები ან შიშველი კლდეებია, რომელთაც მდინარის ნაპირიდან თვალი ძლივს სწვდება. თოვლიანი მწვერვალები კი უკვე არსად ჩანს. დილიდან თანდათანობით ვშორდებოდით მათ და, აი, უკვე მთლიანად ამოეფარნენ თვალს. ყველაზე ამაღელვებელი მაინც უშბასთან გამომშვიდობება იყო. ბეჩოდან ალიონზე წამოსულები ეცერს გამოვცდით თუ არა, უკან მივისედეთ და ერთხელ კიდევ გავოცდით ბუმბერაზი უშბის შესახედაობით. მას ამაყი თავი ამჯერად სრულიად უღრუბლო სივრცეში აღემართა. წელს ზევით

მზის სხივები ეთამაშებოდნენ, ხოლო წელს ქვევით ჩრდილი ნაბადივით ეხვია. ამ ადგილიდან უშბა ენგურის ხეობის უძლეველ გუშაგს ჰგავს. წარსულში ალბათ მომხდურ მტერს შიშის ზარს სცემდა მრისხანე იერით. დღეს კი მოგზაურობის მოყვარულთა გაოცებას იწვევს.

უკან დავტოვეთ გოლიათი მთები, მაგრამ ენგურის ხეობაშიც გოლიათურ იერს ატარებს ყველაფერი. ტყეში — წიფელი, ნაძვი და სოჭი, მდინარის პირას — უზარმაზარი ტინები, ხოლო თვით კალაპოტში — ვეება ლოდები. ადგილობრივი მოსახლეობა დევის ქვებს უწოდებს მათ. ძველი დროიდან აქვთ ამ ლოდებს შერქმეული ეს სახელი. ძველი რწმენით ბოროტი დევები უზარმაზარი ძალისანი იყვნენ. ისინი ცდილობდნენ დაუდეგარი მდინარის დაგუბებას და ხალხის მოხრჩობას. ამიტომ კლდიდან დიდ ლოდებს გლეჯდნენ და მდინარეში ყრიდნენ, მაგრამ ამაოდ. გოლიათური ძალისა იყო ენგურ-მდინარეც. თავისი ტალღებით ეჯახებოდა ლოდებს და მათ აქეთ-იქით ყრიდა. აი, ერთი ასეთი ლოდი ჩვენს თვალწინაა. ის შედარებით ღრმად გდია მდინარეში და ენგურის მომცრო ტოტი ჰყოფს ჩვენგან. საერთოდ, ჩვეულებრივი ლოდია, მაგრამ ზედ ფიქვი ამოსულა. სწორედ ამით მიიქცია ჩვენი ყურადღება და მის პირდაპირ შევდექით. ეს როგორ?! ლოდზე ფიქვს ფესვი გაუდგამს! მოზრდილი ხე ტინის ნაგლეჯზე, სადაც ნიადაგის ნატამალი არ ჩანს. ან რა გააჩერებს ნიადაგს! ადიდებისას ენგურის ტალღები უსათუოდ თავზე გადაევლებიან ლოდს. ერთხელ კიდევ ახმაურდნენ ჩვენი ფოტოაპარატები. ბუნების ერთი მომხიბვლელი სურათი კიდევ აღბეჭდეთ ფოტოფირზე.

— სჯობს აქ დავუცადოთ ავტომანქანას, — გვეუბნება ხელმძღვანელი, — აქ იყოს ჩვენი ტურისტული ლაშქრობის დასასრული, აქ, ენგურის შუაში დაწოლილ უზარმაზარ ლოდზე ამოსულ ფიქვთან.

უხმოდ ვეთანხმებით. მდინარის ნაპირას დაყრილ ქვებზე ვსხდებით და ავტომობილის მოლოდინში ყველა მოგონებებს ვეძლევით. მოსაგონარი კი ალბათ ყველას ერთი და იგივე გვაქვს, რაც იმ მოგზაურობის დროს ვნახეთ და განვიცადეთ. მდინარესთან ყველაზე ახლოს მე ვიყავი და ლოდზე ამოსულ ფიქვს გავყურებდი. თვალწინ მორიგეობით ჩაირბინეს იმ სურათებმა, რომლებმაც მოგზაუ-

რობაში დამაინტერესეს. მე ვხედავდი წარსულის მავნე ტრადიციების ნაშთებთან დაჭიდებულ ვაჟკაც თემრაზს, გამარჯვებით კმაყოფილსა და დინჯშემოყრილს; ვხედავდი უშგულელ ახალგაზრდა ზურაბს, თავაზიანსა და დინჯს; ვხედავდი კალელ მექორწილეებს და ლასდილის ზეკარით გადმოსულ ავტომანქანაში მოცეკვავე ქალვაჟს, ვხედავდი დარბაისელ უშგულელ კოლმეურნეებს, მათ ახალ სახლებსა და ძველ კოშკებს. ვხედავდი შუბისწვერად ამართულ გორაზე აშენებულ კვირიკეს ძველთაძველ ეკლესიას, უღვირის მთაზე ცისფერ ტბას, მულახის თემის ლამაზ სოფლებს, მესტიის რაიონულ ცენტრს — მოასფალტებული ქუჩებით, ახალი სახლებით და მდიდარი ეთნოგრაფიული მუზეუმით. ვხედავდი მაკრინე ქურდიანს, ალპინისტების მეგობარს და ალპინიზმის ენთუზიასტს, მის ეზოს სოფელ უშხვანარში — უშბის და მაზერის ძირას. ვხედავდი საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ ალპინისტს ბექნუ ხერგიანს, დინჯსა და ჩაფიქრებულს; ვხედავდი სვანეთის ულამაზეს მთებს — შემოსილთ მარადი მყინვარებით; ამ მთათა ტყით შემოსილ ფერდებს, მათ ტანზე ჩამომდინარ მდინარეებს, ჩანჩქერებსა და ჩქერალებს. ვხედავდი მომავლის მგზავრს, რომელიც ჩვენს კვალზე იელის და ჩვენზე მეტ საინტერესოს და სასიხარულოს ნახავს; ვხედავდი ყოველ ამას და გული სიამაყით მევსებოდა, რომ მუხლმა გამიძლო, გულმა არ მიმტყუნა.

ტკბილი ფიქრები ავტომობილის გუგუნმა დაგვიფრთხო. შოფერს დავენახეთ და მანქანა ჩვენს პირდაპირ გაეჩერებინა. მანქანაზე მოვთავსდით. ერთხელ კიდევ გავხედე აღმა ენგურის ხეობას. ლოდზე ფესვგადგმულ ფიჭვს ნიავი არხევდა და თითქოს თავის რხევით გზა მშვიდობისას გვისურვებდა. კიდევ რამდენიმე წუთი და ჩვენი მანქანა ლაღად მიჰქროდა ენგურის ნაპირების ჩასწვრივ. ხეობა თანდათან ფართოვდებოდა.

ᲮᲐᲠᲩᲔᲕᲘ

შორეული მთების სურნელი 5
სამი ციხე და ხალხის ისტორია 9
ვენახიანი სვანეთი 12
ძველისა და ახლის გიდილი 19
ცხენისწყლის სათავეებისაკენ 29
ლასდილის ზეკარზე 42
ურგული 59
ენგურის ნაპირების გასწვრივ 72
„გაურ გავხენ“— ხალდელთა ლაშქრული 76
ოქრომჭედლობის დიდოსტატები 84
უშბა 91
ლალი და ბეთქილი 92
მეგზურობიდან ოსტატობისაკენ 99
მომავლის ლეგენდა 102
უშბის გმირი 106
მზისა და თავისუფლების სადიდებელი ჰიმნი 110
ოქმულება ჩიყვზე 116